

ქვეყნის მხარდაჭერა

■ გიორგი ბარბაქაძე

საქართველოსათვის ღია ეკონომიკაზე ორიენტაციის აღებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებელია, რომ საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში, რაც მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირების მყარი გარანტი იქნება. ხოლო ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონე დიდად იქნება დამოკიდებული ქვეყნის საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვის და მის მიერ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის ხარისხზე. ამიტომაც საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლა და სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება გადამწყვეტ როლს ითამაშებს საქართველოს ეკონომიკის აღორძინების საქმეში. ამავე დროს, სრულიად არასაკმარისად და მიმდინარე პოლიტიკური პროცესების არაადექვეტურად უნდა იქნას მიჩნეული ეკონომიკური განვითარების ტემპები და რაც მთავარია, ხასიათი.

ეკონომიკური განვითარების მკაფიო სტრატეგიის უქონლობის გამო, დაბალია ქვეყნის სარესურსო, სამრეწველო, ტექნოლოგიური და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენების დონე. უნიკალური გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბება და რამდენიმე საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტის განხორციელების დაწყება, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი არასათანადო ყურადღების პირობებში, შეიძლება გახდეს ქვეყნის ცალმხრივი, დაუბალანსებელი განვითარების მიზეზი.

გარდამავალ ეტაპზე მყოფ ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი პირველია ერთობლივი შიდა პროდუქტის ვარდნის თვალსაზრისით 1989-1996 წლებში (1989 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 34%). სამრეწველო პროდუქციის მოცულობის თვალსაზრისით ვარდნა თითქმის ასპროცენტიანი იყო (1989 წლის მაჩვენებლის 15,4%).

ეკონომიკის ასეთი მასშტაბებით რღვევის მიზეზები შემდეგია:

- ✓ სამოქალაქო ომი (მსხვერპლი მოსახლეობაში, სამრეწველო ობიექტების ნგრევა, სატრანსპორტო და ელექტროგადამცემი ინფრასტრუქტურის მოშლა);
- ✓ პოლიტიკური არასტაბილურობა;
- ✓ ტრადიციული ბაზრებისა და სავაჭრო პრიორიტეტების დაკარგვა;
- ✓ შიდა ბაზარზე მოთხოვნის კლება;

- ✓ კაპიტალის გადინება;
- ✓ „ტვინების გადინება“.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მაჩვენებლების მიხედვით, 1997 წლის შუა პერიოდში საქართველო, თუმცა რუსეთს ჩამორჩებოდა, მაგრამ წინ უსწრებდა დღეს ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების საშუალო მაჩვენებლებით. ამასთანავე, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მდგომარეობა მაკროეკონომიკური მონაცემების შესაბამისად. სტატისტიკის დეპარტამენტის ცნობით, 1997 წელს ინფლაცია 7 პროცენტამდე დაეცა. იმავე წყაროს მიხედვით, მთლიანი შიდა პროდუქტი 1997 წელს 11,3 პროცენტით გაიზარდა 1996 წელს დაფიქსირებული 11,3 პროცენტიანი ზრდის შემდეგ. 1998 წელს წინასწარი მონაცემებით დაფიქსირებულია ინფლაცია - 10,7 პროცენტი, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა კი - 4 პროცენტი. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შორის, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლით (1996 და 1997 წლებში) საქართველო ბევრად უსწრებდა ყველა დანარჩენს. ფაქტიურად მხოლოდ მას ჰქონდა ამ წლებში ზრდის ორნიშნა მაჩვენებელი.

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი კიდევ უფრო იზრდება. მისი დაფარვის ერთადერთ წყაროს საერთაშორისო ორგანიზაციების სახსრები წარმოადგენენ. ცხადია, ასეთი სიტუაცია ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებს დამოუკიდებელ ქვეყანას. მაშასადამე, სიტუაციის გაუმჯობესების იმედად ექსპორტის საშუალო და გრძელვადიანი ზრდალა რჩება.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის, კერძოდ ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სრულყოფა, რომლის გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ადგილობრივი წარმოების გაფართოება, დასაქმების ზრდა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა. რამაც უნდა დააჩქაროს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესი.

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი, რომელიც ასახავს ექსპორტ-იმპორტის მოცულობას, დარგობრივ სტრუქტურას და სეზონურობას. მისი მეშვეობით ვადგენთ, თუ რა

საქონლითა და რა მოცულობით ვაჭრობს საქართველო საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან საქართველოს ეკონომიკაში დამკვიდრდა ქვეყნისათვის არასასურველი საერთო ტენდენცია, რაც საგადაამხდლო ბალანსის უარყოფით სალდოში გამოიხატებოდა. უკვე 1992 წელს საგადაამხდლო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის უარყოფითმა სალდომ 247,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მას შემდგომიგზი ზრდას განიცდის. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა ეკონომიკის ბევრ სფეროში, მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის სალდო კვლავ უარყოფითია და 1997 წელს რეკორდულ მაჩვენებელს 426,1 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. (აქ გათვალისწინებულია ოფიციალური ტრანსფერებიც), ხოლო 1998 წლის პირველ ნახევარში ამ მაჩვენებელმა 247,4 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

რომ არა ოფიციალური ტრანსფერები, რომლებსაც საქართველო ღებულობდა და ჯერ კიდევ ღებულობს, მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის სალდო გაცილებით დიდი იქნებოდა. მიმდინარე ოპერაციებს შორის უდიდესი ნაწილი საგარეო ვაჭრობაზე მოდის. ამიტომაც თავდაპირველად აქცენტი სწორედ მასზე გაკეთდეს. იმისათვის, რომ უფრო რეალური სურათი შეიქმნას, საჭიროა მოვახდინოთ შეფასებითი მაჩვენებლებისაგან აბსტრაქტირება და მთლიანად დავეყრდნოთ ოფიციალურ ციფრებს. მართალია რეგისტრირებული ექსპორტი-იმპორტის მოცულობა არ შეესაბამება რეალურ სიტუაციას, მაგრამ ისინი ტენდენციების გამოვლენის საშუალებას მაინც იძლევიან. 1994-1998 წლებში საქართველოს საგარეო ვაჭრობა შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1994-1998 წლებში*

ცხრილი №1


	1994 წ.	1995 წ.	1996 წ.	1997 წ.	1998 წ.
ექსპორტი	186,0	151,2	198,8	239,8	194,0
იმპორტი	353,2	391,6	687,7	943,5	1048,6
სალდო	-167,2	-240,4	-487,9	-703,7	-854,6
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	539,2	542,8	886,5	1183,3	1242,6
ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში, %	34,50%	27,86%	22,43%	20,27%	15,61%
იმპორტის ექსპორტით დაფარვის კოეფიციენტი, %	52,66%	38,61%	28,91%	25,42%	18,50%

1994 წელს საქართველოდან 38 ქვეყანაში ექსპორტირებულ იქნა 186 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია, ხოლო 47 ქვეყნიდან იმპორტირებულ იქნა 353,2 მილიონი აშშ დოლარის საქონელი. 1995 წელს ექსპორტის 18,7 პროცენტიანი კლების კვალობაზე მისმა

მოცულობამ 151,2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მოიცვა 48 ქვეყანა, მაშინ როდესაც იმპორტმა ზრდა განიცადა (10,8 პროცენტით წინაწელთან) და მისი მოცულობა 64 ქვეყნიდან გაუტოლდა 391,6 მილიონ აშშ დოლარს. 1996 წელს მსოფლიოს 51 ქვეყანაში ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 198,8 მილიონი აშშ დოლარი (წინა წელთან 31,6 პროცენტით გაიზარდა), ხოლო 78 ქვეყნიდან იმპორტის მოცულობამ შეადგინა 686,7 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 75,3 პროცენტით).

დიაგრამა №1

საქართველოს იმპორტის დინამიკა წლების მიხედვით



1997 წლის მონაცემებით კი საქართველოდან 59 ქვეყანაში ექსპორტირებულ იქნა 239,8 მილიონი აშშ დოლარის პროდუქცია (20,6 პროცენტიანი ზრდა), ხოლო 89 ქვეყნიდან იმპორტის მოცულობამ შეადგინა 943,5 მილიონი აშშ დოლარი (37,2 პროცენტიანი ზრდა).

1998 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1242,6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 194 მილიონი აშშ დოლარია (შემცირდა 19,1 პროცენტით), ხოლო იმპორტი - 1048,6 მილიონი აშშ დოლარი (გაიზარდა 11,14 პროცენტით), მაშინ როდესაც, წინა წლის შესაბამისად იყო 239,8 და 943,5 მილიონი აშშ დოლარი.

როგორც ვხედავთ უკნასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საერთო მოცულობა ზრდას განიცდიდა, მაგრამ სამწუხაროდ ექსპორტის ზრდის ტემპები საგრძნობლად ჩამორჩებოდა იმპორტის ზრდის ტემპებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტი და ექსპორტი ურთიერთდამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და თითოეული მათგანის ზრდა ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის ამაღლებაზე მიუთითებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი რამაც განაპირობა საქართველოს საგადაამხდლო ბალანსის სალდოს უარყოფითობა, არის ის ფინანსური დახმარება, რომელსაც ქვეყანა ღებულობს საზღვარგარეთიდან, თუმცა მისი მოცულობა თანდათანობით მცირდება. სალდოს უარყოფითობა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში

* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1994-1998 წლებში.

მნიშვნელოვანი მატება განიცადა უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ. მაგალითად, თუკი 1996 წელს უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 100 მილიონ აშშ დოლარს ოდნავ გადაამეტა, 1997 წელს მათი მოცულობა ზოგიერთი შეფასებით 203 მილიონი, ხოლო სხვა შეფასებებით 220 და 242,6 მილიონი აშშ დოლარსაც მიაღწია. საქართველოს საინვესტიციო ცენტრის მონაცემებით, 1997 წლის დეკემბერში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობამ 113 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია. ღირებულების შესაბამისად, ინვესტიციების მთავარ მიმართულებას სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და კავშირგამბულობა წარმოადგენდა. ცენტრისავე მონაცემებით, 1996 წლის 5 თვის განმავლობაში, როდესაც ახალი უცხოური ინვესტიციები დაბეგვრისაგან გათავისუფლდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 80 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია. 1997 წლის რეგისტრირებული მონაცემები მხოლოდ 20 მილიონი აშშ დოლარს უჩვენებს. როგორც, ცენტრი ვარაუდობს, რეალური ინვესტიციების მოცულობა უფრო მეტი უნდა იყოს, რადგან ინვესტიციების რეგისტრაცია მხოლოდ 100 000 აშშ დოლარზე ზევით არის სავალდებულო და არავითარი აშკარა სანქცია არ არებობს რეგისტრაციის თავიდან აცილებისათვის. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და GET-ის მონაცემებით, ინვესტიციების რეალური მოცულობა დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარია. 1998 წლის პირველ ნახევარში უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეადგინა 199,7 მილიონი აშშ დოლარი. ინვესტიციების მცირე მასშტაბები აქამდე დიდ წუხილს იწვევდა. მაგრამ ამ ბოლო დროს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მოიმატა. არსებობს იმის იმედიც, რომ გაიზრდება ადგილობრივი ინვესტიციების წილიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოცულობა შიდა ვაჭრობაში აქამდე უმნიშვნელო იყო.

ქვეყანაში ადგილი აქვს შემოსავლების საერთო ზრდას, მაგრამ იმის გამო, რომ ადგილობრივი წარმოება ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას, იმპორტზე მოსახლეობის დამოკიდებულება მაღალი რჩება. ექსპორტის ზრდის ჩამორჩენა აიხსნება იმითაც, რომ საქართველოში წარმოებული პროდუქცია ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და დაბალკონკურენტუნარიანია.

ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს მიერ ჩატარებულ იქნა საგარეო ვაჭრობის სარკისებური შედარება. რა პრობლემები წარმოაჩინა ამ აღრიცხვამ? პირველ რიგში ადგილი ჰქონდა ტრანზიტული, რეექსპორტირებული და იმპორტირებული ტვირთების აღრიცხვიანობის ერთმანეთში აღრევას. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და აქედან გამომდინარე საჭიროა ამ საკითხისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. იმპორტის რეგისტრირების გაუმჯობესების გვერდით აუცილებელია სატრანზიტო და რეექსპორტული ტვირთების ქვეყნის ტერიტორიაზე გავლის მაქსიმალური ხელ შეწყობა და სასაზღვრო-საბაჟო დოკუმენტაციის გაფორმებისა და მიღების გამარტივება.

სარკისებური აღრიცხვის მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს ექსპორტის მოცულობა მაინც მკვეთრად ჩამორჩება იმპორტს და ამით მხარს უმაგრებენ ექსპერტთა იმ ჯგუფის აზრს, რომელიც სავაჭრო ბალანსში რეალურად მნიშვნელოვანი დეფიციტის არსებობას აღიარებენ. მაშინ ისმება კითხვა როგორ ფინანსირდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტი ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების ნაკლები ცვლილებების პირობებში? აქ გასათვალისწინებელია მრავალი მომენტი. კერძოდ, ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოდის

საექსპორტო სანარმოების ფინანსური პრობლემის გადასაწყვეტად შეიძლება დანესდეს შელავათები ახალ კაპიტალდაბანდებაზე.

საექსპორტო სანარმოების ფინანსური პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა ინვესტიციების ზრდა. ამიტომ შეიძლება დანესდეს შელავათები ახალ კაპიტალდაბანდებაზე, მაგრამ არა მარტო უცხოურზე, როგორც ეს ადრე იყო, არამედ ყველა ინვესტიციებზე. მართალია უცხოური ინვესტიციების შემოდინება დადებითად აისახება საგადასხდელო ბალანსზე, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ინვესტიციების დიდი ნაწილი ხმარდება საზღვარგარეთ სხვადასხვა დანადგარების და მოწყობილობების შექმნას, რომლებიც საქართველოს საბაჟოს მიერ ფორმდება როგორც იმპორტი.

კაპიტალი უცხოეთში მომუშავე თანამე- მამულებსაგან ოჯახე- ბისათვის გამოგზავნილი თანხების სახით. თუმცა ეს უკანასკნელი რუსეთის

კრიზისის შემდეგ შემცირდა, რადგან საქართველოს მიგრანტთა უმეტესობა რუსეთში საქმიანობს. ამასთან ერთად, ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების ნაწილი არ რეგისტრირდება, უზრალოდ იმის გამო რომ არარეგისტრირებაზე არავითარი სანქცია არ არსებობს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საგარეო სავალუტო ოპერაციების აღრიცხვის ისეთი მექანიზმის შემოღება, რომელიც უპირველესყოვლისა არ შეზღუდავს საგარეო ვაჭრობას და ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში და ამასთან ერთად, წარმოადგენას მოგვცემს უცხოური ვალუტის გადინება-შემოდინებაზე. ამას

უნდა დაემატოს უცხოეთიდან მიღებული გრანტები და კრედიტები, რუსეთის სამხედრო ბაზების და უცხო ქვეყნებისა წარმომადგენლობების თანამშრომლების მიერ მიღებული შემოსავლები. იმპორტის მოცულობის გაანგრიშებისას გასათვალისწინებელია, რომ მასში შედის ჰუმანიტარული და დიპლომატიური ტვირთები კონსიგნაციით და კრედიტით შემოზიდული საქონელი. ეს ყველაფერი რეალურად გვაძლევს წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ფინანსირდება იმპორტი.

დღეს სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიზანია ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ისეთი დარგების განვითარებას, რომელიც რეალურად კონკურენტუნარიანები იქნებიან, როგორც შიდა ისე საგარეო ბაზრებზე. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩატარებულმა ფასების ლიბერალიზაციამ გააძლიერა კონკურენცია შიდა ბაზარზე, რამაც გამოავლინა ბევრი საბჭოურ ეპოქაში შექმნილი სანარმოს არაკონკურენტუნარიანობა და მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ისინი.

როდესაც საქართველოს საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტზე ვსაუბრობთ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ალბათ ის საწყისი, ძირითადი ფაქტორი რამაც განაპირობა კიდევ დამოუკიდებელი საქართველოსათვის პრობლემები საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში. საბჭოთა კავშირში მოქმედმა გეგმიურმა ეკონომიკამ

საქართველო და მოკავშირე რესპუბლიკები ურთიერთზე სასიცოცხლოდ დამოკიდებული გახადა. მართალია 1989 წლის მონაცემებით საქართველოს მთლიანი წარმოებული პროდუქციის 25,1 პროცენტი „ექსპორტში“ გაჰქონდა, მაგრამ აღნიშნული პროდუქციის სხვა ქვეყნებზე მიწოდება საერთო საკავშირო გეგმით იყო გათვალისწინებული და ქართველ მწარმეებს საექსპორტო საქმიანობის განხორციელებისათვის არავითარი ცოდნა ან გამოცდილება არ ესაჭიროებოდათ. დარგობრივი სტრუქტურა, რომელიც 70 წლოვანი კომუნისტური მართვის პირობებში საქართველოში ჩამოყალიბდა პასუხობდა არა ქვეყნის, არამედ საბჭოთა კავშირის ინტერესებს, ისე რომ საქართველოს ეკონომიკის დამოუკიდებლად ფუნქციონირების შესაძლებლობები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ 1991-1994 წლებში საქართველოს წარმოების მოცულობა თითქმის 6-ჯერ შემცირდა.

1989 წელს საქართველოს ექსპორტის მოცულობა 5,5 მლრდ. სავალუტო მანეთი, ხოლო იმპორტი — 3,4 მლრდ. სავალუტო მანეთი იყო.

შესაბამისად სალდო დადებითი იყო და შეადგენდა 2,1 მლრდ. სავალუტო მანეთს. მაგრამ ამ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში წარმოებული პროდუქცია მხოლოდ მცირედით ასახავდა ქვეყნის მოთხოვნას და ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იყო პროდუქციის სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანა. როდესაც საქართველო დამოუკიდებლად გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, დიდი დისბალანსი წარმოიშვა ექსპორტსა და იმპორტს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რაც გამონვეული იყო საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით მიღებული ადგილობრივი მოთხოვნა-მიწოდებას შორის სტრუქტურული შეუსაბამობით.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომლებიც მიღწეულ იქნა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის თვალსაზრისით, ეკონომიკის ზრდისა და სამეწარმეო კლიმატის გაუმჯობესებისა, საქართველოს ექსპორტი ჯერაც შორს არის მისი წარსულის მაჩვენებლებისა და პოტენციური შესაძლებლობებისაგან. დღესდღეობით შექმნილ პირობებში საქართველო ვერ შეძლებს თავისი საგარეო საფინანსო დეფიციტის ამოვსებას საერთაშორისო დონორებიდან ფინანსური სახსრების მოდინების ზრდის გარეშე, რაც ნაკლებად რეალურია. ამასთან, საგარეო დეფიციტი მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ეკონომიკის განვითარებასა და რეფორმის წინსვლას.

საქართველოს ექსპორტი ჯერაც შორს არის მისი წარსულის მაჩვენებლებისა და პოტენციური შესაძლებლობებისაგან.

ამიტომაც საქართველოს სასწრაფოდ ესაჭიროება ექსპორტის მხარდამჭერი კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზებს დასახავდა. საჭირო ხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ კურსად ექსპორტის ზრდის ტენდენციის დასახვა და მისი მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის შექმნა. ეს პროგრამა უნდა მოიცავდეს ცალკეული რეფორმებისა და ეკონომიკური პოლიტიკის ელემენტებს, რომელთა მიზანი იქნება ექსპორტის ზრდა და საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღება.

TACIS- ის ექსპერტების აზრით ექსპორტის სტიმულირებისათვის საჭიროა შემდეგი ამოცანების განხორციელება:

- ექსპორტის მასტიმულირებელი რეჟიმების შექმნა;
- უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის კამპანიის გაჩაღება;
- საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის

ორგანიზაციის შექმნა;

- საექსპორტო კრედიტებისა და ექსპორტის დაზღვევის სისტემების შემუშავება;
- საექსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და სამართალდამცავი გარემოს გაუმჯობესება;
- თავისუფალი ზონების შექმნა;
- მცირე საწარმოების განვითარება;
- მსხვილი საწარმოების პრივატიზაციისა და რესტრუქტურისაციის დასრულება;
- ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
- მომსახურების ექსპორტის ორგანიზაცია.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოში არსებული მდგომარეობის შედარება მეზობელ და სხვა აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენს შემთხვევაში აქცენტი გაკეთდა სომხეთსა და აზერბაიჯანზე, როგორც ჩვენს უშუალო მეზობლებზე და აგრეთვე ცენტრალური ევროპის ქვეყნებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორვატია, სლოვაკეთი და სლოვენია, რომლებიც ტერიტორიის სიდიდისა და მოსახლეობის რაოდენობის, აგრეთვე უახლოესი ისტორიის გათვალისწინებით შედარებით ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან.

1997 წლის მონაცემებით ექსპორტის რეალური ზრდის ტემპების მიხედვით საქართველო დასახელებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე იმყოფება, თუმცა ეს სრულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდების საშუალებას, ვინაიდან როგორც ჩანს აბსოლუტური მონაცემებით საქართველოს ექსპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. ამასთან ექსპორტის ამგვარი ზრდა 1993-94 წლების საერთო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ ბუნებრივი მოვლენაა. ამის დადასტურებაა სხვა ქვეყნების გამოცდილებაც, რომლებმაც შედარებითი ნაკლები დაცემა (და არა მსგავსი კრიზისი) განიცადეს 1991-92 წლებში და მომდევნო პერიოდში, კერძოდ 1994-95 წლებში საგრძნობი ტემპებით გაზარდეს ექსპორტის მოცულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა ჩამოთვლილ ცხრა ქვეყანას შორის, რომლისთვისაც ორი (1994-1995) წლის განმავლობაში დამახასიათებელი იყო ექსპორტის კლება.

საინტერესო მაჩვენებელს წარმოადგენს ექსპორტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, რომელიც უფრო რეალურ შეხედულებას გვიქმნის ამა თუ იმ ქვეყნის ექსპორტის მდგომარეობის შესახებ. საქართველო ამ შემთხვევაშიც სამწუხაროდ ბოლო ადგილზე იმყოფება

დასახელებულ ცხრა ქვეყანას შორის და მისი კოეფიციენტი მხოლოდ 8,5 პროცენტის ტოლია. ამ მხრივ შესანიშნავ მაგალითს იძლევა ჩეხეთი, რომლის მიერ მთლიანი წარმოებული პროდუქციის 67,4 პროცენტი საზღვარგარეთ ექსპორტის სახით გაიტანება. ჩეხეთს სულ მცირედით ჩამორჩებიან სლოვაკეთი (63,4 პროცენტი) და სლოვენია (58,3 პროცენტი). ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება მის უშუალო მეზობლებს სომხეთსა და აზერბაიჯანს.

საქართველოს ექსპორტის ძირითად შემადგენელ სასაქონლო პოზიციებს წარმოადგენენ: შავი და ფერადი ლითონები, ხილი, ციტრუსი, ჩაი, აზოტოვანი სასუქები, ალკოჰოლური სასმელები; ხოლო იმპორტში სჭარბობენ - ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი, შაქარი, სიგარეტი და სხვა. უფრო ზუსტად საქართველოს ძირითადი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში №2.

განვიხილოთ საქართველოს ექსპორტის და იმპორტის დინამიკა 1994-1998 წლებში ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით:

• *მინერალური წყლები.* 1994 წელს აღნიშნული პროდუქციის ექსპორტმა 2,2 მილიონი დოლარი შეადგინა და მომდევნო წელს 1,9 მილიონ დოლარამდე გაიზარდა, 1996 წელს კი 160 პროცენტისა ზრდის შედეგად 4,9 მილიონ დოლარს, ხოლო 1997 წელს 250 პროცენტისა ზრდის მაჩვენებლით 17,6 მილიონ დოლარს მიაღწია. აღნიშნული გარემოების შექმნას უდავოდ შეუწყო ხელი ამ სფეროში განხორციელებულმა პრივატიზაციამ და დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციების შემოდინებამ. აგრეთვე სახელმწიფოს მიერ სწორი პოზიციის დაკავებამ, რის საფუძველზეც დარგში კონკურენციული გარემო ჩამოყალიბდა.

ასევე, დასაფიქსირებელია სახელმწიფო პოლიტიკა მინერალურ წყლებთან დაკავშირებით. რადგან „ბორჯომის“ ქარხნების მართვის უფლება მთავრობამ ერთხელ უკვე (10 წლის ვადით) გადასცა კერძო კომპანიებს, რომლებმაც განსაზღვრული რაოდენობის ინვესტიცია დააბანდეს. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე შესაძლებელია კომპანიებმა ეს უფლება დაკარგონ. ასეთი პოლიტიკა უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ქვეყნის იმიჯზე და ნამდვილად შეამცირებს უცხოურ ინვესტიციებს საქართველოში.

• *ჩაის ექსპორტისათვის დამახასიათებელია დიდი მერყეობები.* ასე მაგალითად, თუკი 1994 წელს ჩაის ექსპორტი 11,5 მილიონი დოლარი იყო, 1995 წელს - 8,9 მილიონი დოლარი, 1996 წელს გაიზარდა 16,9 მილიონ დოლარამდე, ხოლო 1997

წელს კვლავ შემცირდა – 13,9 მილიონ დოლარამდე. თუმცა 1996 წელს ჩაის პროდუქციის დიდი ექსპორტი შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ წელს თურქმენეთში გაზის დავალიანების დასაფარავად გადაგზავნილი იქნა 11,8 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქცია (რაც ამ წელს ჩაის ექსპორტის 70,2 პროცენტი იყო) და თანაც შედარებით მაღალ ფასებში (1 კგ. – 1,36 დოლარი). რეალურად 1997 წელს ამ მხრივ სიტუაცია უფრო სახარბიელო იყო, ვინაიდან ჩაის წარმოება მთლიანობაში გაიზარდა და ექსპორტი თანაბრად განაწილდა რამოდენიმე ქვეყანაზე, კერძოდ რუსეთი – 36,9 პროცენტი, უზბეკეთი – 24,5 პროცენტი, თურქმენეთი – 23,7 პროცენტი. ხოლო 1 კილოგრამი ჩაის საშუალო ფასმა 0,92 დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე 1 კგ. ჩაის ფასი ხშირ შემთხვევაში 5 დოლარს აღემატება. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს იმ რეზერვებზე რაც ქართული ჩაის ექსპორტთან დაკავშირებით არსებობს, კერძოდ კი ჩვენს პროდუქციას შესაძლებლობა ექნება ფასობრივი კონკურენციის განევისა და რაც უფრო მთავარია, ჩაის ხარისხზე განეული დანახარჯების მიუხედავად მისი რეალური ღირებულება არ გადააჭარბებს მსოფლიო ფასს. ეს მომენტი კარგად იქნა გაზრებული გერმანული ფირმა „მარტინ

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი
10 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანასთან
1995 წელს (მილიონი აშშ დოლარი)

ცხრილი №3

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	საღლი
	მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა	542,8	151,2	391,6	- 240,4
	მათ შორის ქვეყნების მიხედვით:				
1	თურქეთი	115,0	34,9	80,2	- 45,3
2	რუსეთი	96,3	47,0	49,3	- 2,3
3	აზერბაიჯანი	56,0	12,7	43,2	- 30,5
4	თურქმენეთი	48,1	6,9	41,2	- 34,3
5	ბულგარეთი	31,2	5,7	25,5	- 19,8
6	სომხეთი	30,1	18,9	11,2	7,7
7	რუმინეთი	28,2	-	28,2	- 28,2
8	აშშ	18,6	0,6	17,9	- 17,3
9	უკრაინა	12,7	5,7	7,1	- 1,4
10	ესტონია	12,0	0,03	12,0	- 12,03
	10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან სულ:	448,2	132,4	315,8	- 183,4

ბაუერის“ მიერ, რომელმაც 1997 წლის ივნისის მდგომარეობით 11 პროექტში 3,7 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჰქონდა განხორციელებული და რომლის მეშვეობითაც ქართულმა ჩაიმ ევროპის ბაზარზე ჰპოვა გასასვლელი. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იმ პოტენციიდან, რაც ქართულ ჩაის გააჩნია, საჭიროა სხვა უცხოური ინვესტორების მოზიდვაც, რათა საბოლოო ჯამში „მარტინ ბაუერმა“ მთლიანად არ ჩაიგდოს ხელთ ჩაის წარმოება საქართველოში (ამის საშიშროებას ქმნის თუნდაც მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციების გეოგრაფიული განაწილება), რასაც მომავალში მონოპოლიური მოგებების ტენდენცია აქვს.


• **აზოტოვანი სასუქები.** თუკი ჩაის ექსპორტისათვის მოცულობებში დიდი მერყეობებია დამახასიათებელი, აზოტოვანი სასუქების ექსპორტი პირიქით სტაბილური ზრდით გამოირჩევა. 1994 წელს პროდუქციის ამ ექსპორტმა 2,4 მილიონი აშშ დოლარი, 1995 წელს – 7,3 მილიონი, 1996 წელს – 11,9 მილიონი და 1997 წელს – 13,8 მილიონი დოლარი შეადგინა. სტაბილური ზრდის განმაპირობებელი სასუქების საერთაშორისო სტანდარტებით წარმოება და რაც ყველაზე მთავარია ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდების საგრძნობი გაუმჯობესებაა. სასუქების ექსპორტი ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორცაა თურქეთი (5,5 მილიონი დოლარი), აზერბაიჯანი (2,2 მილიონი დოლარი), სომხეთი (3,8 მილიონი დოლარი) და გერმანია (1,1 მილიონი დოლარი).

• **შავი ლითონები.** ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდის საქართველოს ეკონომიკა კავშირის ინტერესებს პასუხობდა და არა საკუთრივ საქართველოსას, ნათლად გამოვლინდა მეტალურგიულ წარმოებაში. რომ არა საბჭოთა კავშირი და მისი პოლიტიკა, ქართველებს არასოდეს არ დასჭირდებოდათ დამოუკიდებლად ისეთი გიგანტების მშენებლობა, როგორებიც რუსთავის მეტალურგიული კომბინატი ან თუნდაც ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანაა. აღნიშნული დარგი ენერგოტევად დარგთა რიცხვს განეკუთნება და მისი ფუნქციონირება დამოუკიდებელი საქართველოს პირობაზე ძალზედ გაჭირდა. სწორედ ამიტომაც 1994-1996 წლებში (რომ აღარაფერი ვთქვათ 1991 წლის შემდეგ წარმოების კატასტროფულ ვარდნაზე) შავი ლითონების ნაწარმის ექსპორტის წილი ექსპორტის საერთო მოცულობაში მცირდებოდა. 1996 წლის 1994 წელთან შედარებით შემცირდა შავი მეტალურგიის პროდუქციის ძირითადი სახეობების წარმოება. ასე მაგალითად, ნაგლის წარმოება დაეცა 1994 წელთან შედარებით 35,1 პროცენტით, ფოლადის მიღებისა - 16,8 პროცენტით. 1997 წელს შეიმჩნეოდა სიტუაციის მცირეოდენი გაუმჯობესება (რაც ამ სფეროში ჩატარებულმა პრივატიზაციამ განაპირობა) და 1996 წელთან შედარებით შავი ლითონის მიღების ექსპორტის 15,7 მილიონი დოლარიდან 17,1 მილიონ დოლარამდე გაზრდა მოჰყვა. თუმცა მდგომარეობა ჯერ კიდევ არასახარბიელოა, მაგალითისათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა თავისი შესაძლებლობების მხოლოდ 10-12 პროცენტის დატვირთვით ფუნქციონირებს.

• **ფეროშენადნობი.** 1994-1996 წლებში ამ პროდუქციის ექსპორტი 15,9 მილიონიდან 7,7 მილიონ დოლარამდე შემცირდა, რაც ძირითადად წარმოების ვარდნით იყო გამოწვეული. 1997 წელს

სიტუაცია გარკვეულწილად გაუმჯობესდა და ექსპორტის მოცულობამ 15,5 მილიონს მიაღწია. აღნიშნულ ფაქტს ხელი შეუწყო უცხოელი პარტნიორის დახმარებით წარმოების

დიაგრამა №2



ამოქმედებამ და რეალიზაციის უზრუნველყოფამ.

- **ღვინოები.** ამ პროდუქციის ექსპორტისათვის 1994-1997 წლებში სწრაფი ზრდაა დამახასიათებელი. 1995 წელს ზრდა იყო 55 პროცენტი, 1996 წელს – 9 პროცენტი, ხოლო 1997 წელს – 232 პროცენტს შეადგენდა. პროდუქციის ძირითადი მომხმარებელია რუსეთი, სადაც 1997 წელს მთელი ექსპორტის 85,4 პროცენტის რეალიზება მოხდა. ასევე მსხვილ მომხმარებლებს განეკუთნებიან უკრაინა – 8,1 პროცენტი და ნიდერლანდი – 3,2 პროცენტი.

- **სპილენძის მადანი და კონცენტრატი.** სამთო-მეტალურგიული კომპლექსის პროდუქციითა შორის 1994-1996 წლებში წარმატებით ვითარდებოდა სპილენძის მადნის კონცენტრატის ექსპორტი. 1996 წელს კი თავი იჩინა წარმოების შემცირებამ, რასაც თან მოჰყვა ექსპორტის შემცირებაც 13,2 მილიონი დოლარიდან 7,2 მილიონ დოლარამდე. აღნიშნული პროდუქციის მთელი მოცულობა ექსპორტირებულ იქნა ბულგარეთში და რუმინეთში.

- **ციტრუსები.** 1994-1996 წლებში განუწყვეტილად ვითარდებოდა ამ სახის პროდუქციის ექსპორტი, რაც ძირითადად წარმოების ზრდით და რაც მთავარია რუსეთთან და უკრაინასთან (ძირითად მომხმარებლებთან) სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესებით იყო განპირობებული. 1997 წელს ცუდი სეზონის გამო ციტრუსების წარმოება გარკვეული დონით შემცირდა, რაც შესაბამისად ექსპორტზეც აისახა.

- **ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები.** 1994 წლიდან 1996 წლის ჩათვლით სპირტისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტი ვარდნას

განიცდიდა, რაც ამ სფეროში დაბალკონკურენტული პროდუქციის წარმოებით იყო განპირობებული. 1997 წელს ქართული სპირტიანი სასმელების ხარისხის გარკვეული გაუმჯობესების შედეგად ადგილი ჰქონდა ექსპორტის 130 პროცენტთან ზრდას წინა წელთან შედარებით.

ეხლა შევეცადოთ დავადგინოთ საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული მიმართულებანი. უნდა აღინიშნოს, რომ 1994-1997 წლებში გაფართოვდა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია. კერძოდ, თუკი 1994 წელს სავაჭრო ოპერაციები 54 ქვეყანასთან განხორციელდა, 1995 წელს – 70 ქვეყანასთან, 1996 წელს – 83 ქვეყანასთან, ხოლო 1997 წელს – 94 ქვეყანასთან. 1995-1997 წლებში პარტნიორი ქვეყნების ზრდასთან მოჰყვა იმ ქვეყნების რიცხვის 18-დან 12 შემცირება, რომლებთანაც საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა.

ეხლა კი დავადგინოთ ის ქვეყნები, რომლებიც საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ. ამაში დაგვეხმარება ცხრილები №3, 4, 5 და 6.

როგორც ცხრილებიდან ჩანს უმსხვილეს პარტნიორთა შორის საქართველოსათვის კვლავ რუსეთი და თურქეთი რჩებიან.

1995 წლის უმსხვილეს პარტნიორთა სიაში თურქეთი პირველ ადგილზე იდგა და საქონელბრუნვის მოცულობა დაახლოებით 115 მილიონი დოლარი იყო. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ 70 წლოვანი იზოლაციის შემდეგ საქართველოს საშუალება მიეცა ვაჭრობა განვიითარებინა მის უშუალო მეზობელთან და ამას დაემატა საქართველოს მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურის შეცვლა ახალი, მათთვის მიუჩვეველი პროდუქციის სასარგებლოდ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაზარზე თურქული პროდუქციის გაბატონებას ხელი შეუწყო, საქართველოს მოსახლეობის

ადინისტრაციული სისტემის დეფექტები მნიშვნელოვნად აპირებს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის ეფექტურობას

დაბალი შემოსავლების გამო დაბალმა ფასებმა. 1996 წელს სავაჭრო ბრუნვა თურქეთთან ოდნავ შემცირდა, მაგრამ 1997 წელს მან მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა და 144 მილიონი აშშ დოლარს მიაღწია, ხოლო 1998 წელს 116,5 მილიონ აშშ დოლარამდე დაეცა. აღსანიშნავია, რომ საქონელბრუნვის გაფართოება ძირითადად მოხდა იმპორტის საგრძნობი გადიდების ხარჯზე, მაშინ როდესაც ექსპორტი 1998 წელს 1995 წელთან შედარებით 10,8 მილიონი დოლარით შემცირდა.

თურქეთში ექსპორტის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენენ: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქები, შავი ლითონები

და მათი ნაწარმი.

განსაკუთრებული სწრაფი ზრდა საქონელბრუნვის თვალსაზრისით განიცადა რუსეთთან ვაჭრობამ და ბოლო სამი წელია რუსეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. ამგვარი სწრაფი ზრდა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ტრადიციული კავშირების მოშლის შემდეგ მიმდინარობს აღდგენა ამ კავშირებისა. ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ თუკი 1995 წელს რუსეთთან ვაჭრობის თვალსაზრისით ექსპორტი და იმპორტი თითქმის ერთმანეთის ტოლი იყო, მომდევნო წლებში განსაკუთრებული ზრდა განიცადა იმპორტმა, მაშინ როდესაც ექსპორტი უმნიშვნელოდ იმატებდა.

რუსეთი კვლავაც რჩება უდიდესი სავაჭრო პარტნიორი და 1998 წელს საქართველოს მთელი ექსპორტის 29 პროცენტი მასზე მოდიოდა. რუსეთში ექსპორტის სახით ძირითადად გააქვთ ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

ბაზარზე მოთხოვნა ქართულ ნაწარმზე საკმაოდ მაღალია, მაგრამ ამ მოთხოვნის გარკვეული ნაწილი კმაყოფილდება ადგილობრივი ძალებით, უფრო ზუსტად ქართული პროდუქციის ფალსიფიცირების საშუალებით. საჭიროა მოხდეს ძალთა მობილიზება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს რუსულ ბაზარზე ფალსიფიკატორთა საქმიანობა, რაც ექსპორტის გაფართოების მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოდან უკრაინაში ძირითადად გააქვთ ციტრუსები, უალკოჰოლო და

ქართული პროდუქციის ექსპორტის რეალური მოცულობა გაცილებით ჩამორჩება მის შესა-კლებლობას

ალკოჰოლიანი სასმელები. განსაკუთრებული საექსპორტო მუხლი არის ციტრუსები, რომლის ექსპორტის მოცულობა 1996 წელს გარკვეულწილად შემცირდა, რაც უკრაინის მთავრობის 1996 წლის მნომბრის დადგენილებით იყო განპირობებული, რომლის თანახმადაც

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანასთან 1996 წელს (მილიონი აშშ დოლარი)

ცხრილი №4

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	საღლო
	მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა	885,5	198,8	686,7	- 487,9
	მათ შორის ქვეყნების მიხედვით:				
1	რუსეთი	171,1	56,8	114,3	- 57,5
2	თურქეთი	98,4	25,9	72,5	- 46,6
3	აზერბაიჯანი	96,0	24,8	71,2	- 46,4
4	ბულგარეთი	50,7	12,2	38,5	- 26,3
5	აშშ	44,8	1,4	43,5	- 42,1
6	უკრაინა	40,3	5,4	34,9	- 29,5
7	დიდი ბრიტანეთი	39,3	8,4	30,9	- 22,5
8	რუმინეთი	38,8	2,1	36,7	- 34,6
9	სომხეთი	36,2	20,5	15,7	4,8
10	იტალია	31,4	1,7	29,7	- 28,0
	ათივე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან სულ:	647,0	159,2	487,9	- 328,7

ციტრუსები, ჩაი, უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები, შავი ლითონები და მათი ნაწარმი, ხოლო იმპორტის ძირითადი კომპონენტებია ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ფარმაცეპული პროდუქცია, სხვადასხვა სახის მოწყობილობა-დანადგარები და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული პროდუქციის ექსპორტის რეალური მოცულობა გაცილებით ჩამორჩება მის შესაძლებლობებს. ამ თვალსაზრისით მრავალი ბარიერი არსებობს, რომელთა გადალახვა ხელს შეუწყობს ექსპორტის გაფართოებას. რუსეთის

იმპორტირებულ ციტრუსებზე წესდებოდა 20 პროცენტის საბაჟო ტარიფი. ამან საგრძობლად შეაფერხა ციტრუსების იმპორტი რის შედეგადაც საქართველოს ჩარევის შედეგად წლის ბოლოს უკრაინამ მოხსნა მსგავსი შეზღუდვა ქართული პროდუქციის მიმართ.

ძირითად საექსპორტო პროდუქტს ბულგარეთში წარმოადგენს სპილენძის მადანი და მისი კონცენტრატი, რომელიც მთელი ექსპორტის დაახლოებით 90 პროცენტია.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, ინვესტიციების მოზიდვისათვის ქვეყნის

რაც ხელისუფლების პოლიტიკისადმი უნდობლობას იწვევს. Wall Street Journal Europe -ის

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანასთან 1997 წელს (მილიონი აშშ დოლარი)

ცხრილი №5

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
	მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვა	1160,8	230,1	930,7	- 700,6
	მათ შორის ქვეყნების მიხედვით:				
1	რუსეთი	193,6	68,6	125,0	- 56,4
2	თურქეთი	144,0	30,0	114,0	- 84,0
3	აზერბაიჯანი	140,6	25,1	115,5	- 90,4
4	აშშ	74,4	4,2	70,2	- 66,0
5	უკრაინა	63,9	8,4	55,5	- 47,1
6	ბულგარეთი	54,8	8,7	46,1	- 37,4
7	ვირჯინიის კუნძულები	53,2	0,4	52,8	- 52,4
8	იტალია	46,3	5,1	41,2	- 36,1
9	დიდი ბრიტანეთი	46,1	4,2	41,9	- 37,7
10	გერმანია	45,8	5,9	39,9	- 34,0
	ათივე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან სულ:	862,7	160,6	702,1	- 541,5

სამართლებრივი ბაზა სტაბილური, თვალსაჩინო და გამჭვირვალე უნდა იყოს.

საქართველოს ფართომასშტაბიანი სამართლებრივი არასტაბილურობა ახასიათებს,

მიერ (1995 წლის დეკემბერი - 1996 წლის იანვარი) საქართველო, ტაჯიკეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად, კლასიფიცირებულ იქნა, როგორც ქვეყანა, სადაც სანარმოები ყველაზე დიდ

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსი 10 უმსხვილეს პარტნიორ ქვეყანასთან 1998 წელს (მილიონი აშშ დოლარი)

ცხრილი №6

№	ქვეყნები	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
	საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სულ	1242,6	194,0	1048,6	-854,6
	მათ შორის:				
1	რუსეთი	265,4	54,2	211,2	-156,9
2	თურქეთი	140,6	24,1	116,5	-92,3
3	აზერბაიჯანი	109,0	18,3	90,7	-72,4
4	გერმანია	96,9	12,4	84,5	-72,1
5	აშშ	84,5	10,8	73,6	-62,8
6	დიდი ბრიტანეთი	76,3	1,1	75,2	-74,0
7	უკრაინა	40,6	6,5	34,1	-27,5
8	შვეიცარია	40,0	5,4	34,6	-29,1
9	იტალია	39,1	9,0	30,1	-21,1
10	ბულგარეთი	34,0	3,1	30,9	-27,8
	ათივე უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთან სულ	926,4	145,1	781,3	-636,2

სირთულეებს აწყდებიან სამართლებრივი და ნორმატიული ბაზის უკიდურესი არასტაბილურობის გამო. მართალია, სიტუაცია ამ მხრივ გაუმჯობესდა, მაგრამ მენარმეების შეფასებით სამართალდამცავი ორგანოები ძალზე სუსტია.


საქართველოში საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციებს არეგულირებს სხვადასხვა კანონი და ნორმატიული აქტი. მათ შორის წამყვან

საბაჟო მოსაკრებელი.

ექსპორტი მთლიანად არის განთავისუფ-

ექსპორტი განთავისუფლებულია საბაჟო, დამატებული ღირებულების გადასახადისაგან და აძვიზისაგან, მაგრამ ხელს უშლის, 0,3 პროცენტის საბაჟო მოსაკრებელი

საქართველოს ექსპორტი 1998 წელს უმთავრესი სავაჭრო ქვეყნების მიხედვით* სქემა №1



როლს ასრულებს საგადასახადო და საბაჟო კოდექსები, კანონები საბაჟო ტარიფის, გადასახადისა და საბაჟო მოსაკრებლების შესახებ. დღეისათვის საბაჟო მოსაკრებელი ექსპორტი-იმპორტზე საბაჟო ღირებულების 0,3 პროცენტს უდრის. საბაჟო ღირებულება კი განისაზღვრება საქონლის საკონტრაქტო ღირებულების მეშვეობით. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია არ ცნობს პროდუქციის ღირებულებიდან გამომდინარე მოსაკრებლებს. ამიტომ საქართველოს თუ კი მასში განწევრიანება და ასევე ექსპორტის ხელის შეწყობა უნდა, საჭიროა დანესდეს ფიქსირებული

ფლებული საბაჟო გადასახადისაგან, აქციზისაგან და დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ასევე ექსპორტის ხელ შეწყობის მიზნით საექსპორტო წარმოების ნედლეული და მასალები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ამ უკანასკნელის ტექნიკური მხარე იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის შემოტანისას უნდა გადაიხადონ დღგ ან დატოვონ საბანკო გარანტია. ხოლო ქვეყნის ტერიტორიიდან მზა პროდუქციის გატანისას გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოების მიერ უბრუნდება დღგ-ს გადახდილი თანხა, ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტიურად ექსპორტირებული მზა პროდუქციის მოცულობის მიხედვით.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ, დსთ-ს ფარგლებში მოქმედებდა შეთანხმება, რომლის თანახმად დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის საქონლის ექსპორტი-იმპორტი იბეგრებოდა დღგ-თი საქონლის წარმოშობის პრინციპის მიხედვით. რაც იმას ნიშნავს რომ დსთ-ში ექსპორტი იბეგრებოდა დღგ-თი, ხოლო დსთ-დან იმპორტი კი მისგან განთავისუფლებული იყო. ამიტომაც ექსპორტიორები ხშირად ცდილობდნენ საქონლის ღირებულების ხელოვნურად შემცირებას ან მას საერთოდ არ არეგისტრირებდნენ საბაჟოზე. ახალი საგადასახადო კოდექსის თანახმად, რომელიც ძალაში გასული წლის 1 იანვარს შევიდა, დსთ-ს ფარგლებში განხორციელებული ექსპორტი და იმპორტი ისეთივე წესით იბეგრება დღგ-თი და საბაჟო გადასახადით, როგორც საზღვარგარეთის ნებისმიერ სხვა ქვეყანასთან. დღეისათვის უკვე აღარ გამოიყენება ექსპორტის კვოტირება. ლიცენზირებადი საექსპორტო-საიმპორტო საქონლის ჩამონათვალი მკვეთრად შეიზღუდა, გაუქმდა რაოდენობრივი შეზღუ-

საექსპორტო წარმოების ნედლეული და მასალები განთავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან

დვები, ზოგიერთი ორგანიზაციებისათვის შეღავათები და უპირატესობები ექსპორტი-იმპორტის განხორციელების პროცესში. გაუქმდა

* წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1999 წლის იანვარი.

ასევე საგარეო - სავაჭრო კონტრაქტების სავალდებულო რეგისტრაცია და საექსპორტო ამონაგები თანხის 32 პროცენტის ეროვნული ბანკისათვის სავალდებულო მიყიდვის ვალდებულება.

რაც შეეხება ლიცენზირებას საგარეო ვაჭრობაში, დღეისათვის ის გამოიყენება მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობის, ეროვნული უშიშროებისა და გარემოს დაცვის აუცილებლობის შემთხვევაში. სწორედ გარემოს დაცვის საბაზით იქნა ამ სიაში შეტანილი სულ

სატარიფო და არასატარიფო ბარიერები დაბალია. სამწუხაროდ, მრავლადაა არამდგრადი, კორუმპირებული ხასიათის ადმინისტრაციული შეზღუდვები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის და არაპროგნოზირებადს ხდის სავაჭრო რეჟიმს. აღნიშნული გავლენას ახდენს ფასებზე, ზიანს აყენებს კონკურენციას და საშუალებას აძლევს სამთავრობო მოხელეებს, რომელთა ხელფასები მიზერულია, საკუთარი ჯიბეების გასქელების მიზნით ეძიონ ნაპრალები კანონმდებლობაში. მიდრეკილება ადმინისტრაციული ჩარევებ-

საბაჟო ტარიფები საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში **

ცხრილი № 7

საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	რუსეთი	უკრაინა	თურქეთი
ექსპორტი - 0%	ექსპორტი-0%	ექსპორტზე-70%	ექსპორტზე-1-დან 500%-მდე	ექსპორტი-0%	ექსპორტი-0%
ექსპორტზე და იმპორტზე - საბაჟო მოსაკრებელი -- 0,3%	იმპორტზე 0-დან 10%-მდე	იმპორტზე 0-დან 70%-მდე	იმპორტზე - 2-დან 30%-მდე	იმპორტზე 0-დან 10% მდე	იმპორტზე 5-დან 100%-მდე
საბაჟო ტარიფი - 0,5% და 12%					

ცოტახნის წინ ხე-ტყის ექსპორტი. ლიცენზირების მიზანი არ არის საგარეო ვაჭრობის რაოდენობის ან ღირებულების შეზღუდვა (გამონაკლისს მხოლოდ ხე-ტყის ექსპორტი წარმოადგენს). დღეისათვის ლიცენზირებული იმპორტის ნუსხას მიეკუთვნება მედიკამენტები, იარაღი, ასაფეთქებელი ნივთიერებები, ბირთვული იარაღის მასალები, ნარკოტიკული და მცენარეთა დაცვის საშუალებები. რაც შეეხება ექსპორტს აკრძალვას ექვემდებარება მხოლოდ 3 სასაქონლო ჯგუფის ქვეყნიდან გატანა (ხელოვნებისა და ანტიკვარული ნიმუშები, იარაღი და საბრძოლო მასალები). ლიცენზირებული ექსპორტის ჩამონათვალი დაყვანილია 4 პოზიციამდე, მათ შორისაა: ხე-ტყის მორები, მცენარეული და ცხოველური წარმოშობის წამლის ნედლეული, ადამიანის ორგანიზმიდან მიღებული ნივთიერებები, კავკასიური სოჭის თესლი..

საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში არსებული საერთაშორისო ვაჭრობის დაბეგვრის რეჟიმი მოცემულია ცხრილში №7.

თეორიული თვალსაზრისით სავაჭრო რეჟიმი ძალზე ხელსაყრელია. ერთი სიტყვით, ქალაქებში

ბისადმი, რაც ხშირად კორუფციის ფორმას იღებს, საკმაოდ ხშირია და იგი დიდ ზიანს აყენებს სავაჭრო რეჟიმს.

ქართველი მენარმეები იმ ბარიერებს შორის, რომლებიც წინააღმდეგობას უქმნის კერძო სექტორის განვითარებას, ხშირად პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ხელისუფლების სტრუქტურების ნეგატიურ დამოკიდებულებას ასახელებენ. მათი თქმით, ეს სტრუქტურები სულ იმის მცდელობაში არიან, როგორმე ნაპრალები გამოძებნონ კანონმდებლობაში და იოლი სარჩო იშოვონ „ლიმონის განურვიტ“ მანამდე, სანამ დამნიფდებოდეს. აქ უფრო მეტად საყოველთაო მექრთამეობა იგულისხმება, ვიდრე საგადასახადო ბარიერები. თუ მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფო მოხელეების ოფიციალურსა და კერძო მენარმეების შემოსავლებს შორის არსებულ უფსკრულს, ამგვარი პოზიცია ლოგიკურად მოსალოდმენელიც კი იყო. საჯარო სამსახური ვერ იქნებოდა შემოსავლების წყარო, ადმინისტრაციული ძალაუფლების თითოეული ელემენტი ბაზარზე რომ არ იყიდებოდეს...
ზემოთ დასახელებული კვლევის შედეგების

* CEPAR- ის ანალიტიკური ანგარიში №10

** წყარო: საქართველოს სავაჭრო ვაჭრობა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №14 , თბ., 1998

*** ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია და პოლიტიკა, ლეგალიზაციის ანგარიში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, Tacis-ის ევროპის საექსპორტო სამსახური, 1998 წელი აპრილი, გვ. 17

მიხედვით, ტაჯიკეთის შემდეგ საქართველოს მეორე ადგილზე დგას დსთ-ს ქვეყნებში კორუფციის მასშტაბების მიხედვით. კორუფცია უფრო პროგნოზირებადი და დასაჯერებელია დსთ-ს ქვეყნებში, ვიდრე სხვაგან. რაც არ შეიძლება ხელსაყრელად ჩაითვალოს ბიზნესის განვითარებისათვის, აქედან გამომდინარე ექსპორტის ნახალისებისა და გაფართოებისათვის.

არსებული ნორმების თანახმად, ექსპორტიორები მხოლოდ შეზღუდული საექსპორტო საბაჟო რეჟიმით სარგებლობენ. ეს შემდეგში გამოიხატება:

- ✓ საქონლის საბაჟოს ანაწილში განთავსება;
- ✓ ბაჟისაგან გათავისუფლება (საბანკო გარანტიების საფუძველზე);
- ✓ იმპორტირებული ან ექსპორტირებულ ნედლეულზე მოკრებილი ბაჟის უკან დაბრუნება მისი გადამუშავების შემდეგ.

არავითარი შეღავათები არ არის გათვალისწინებული საექსპორტო წარმოების ძირითად ფონდებში შესატანი მონაცემების იმპორტზე. ასევე პრობლემებთან არის დაკავშირებული საბაჟო შეღავათების რეალური ამოქმედება. განსხვავებით ბევრი ქვეყნის კანონმდებლობისაგან, რომელიც ექსპორტიორებისათვის მრავალ შეღავათს ითვალისწინებს, მათ შორის თავისუფალი ზონის მსგავს დაუბეგრავ სტატუსსაც, თავისუფალ ზონებში ინფრასტრუქტურის ფლობის, ისე საგანგებო ზონებში შექმნილი სხვა შეღავათების სარგებლობის უფლება მხოლოდ ისეთ საწარმოებს უნდა მიეცეთ, რომელთა საექსპორტო ორიენტაცია დარგობრივი კუთვნილებაა და ზომა ან მდებარეობა წინასწარ დადგენილ საინვესტიციო პოლიტიკას შეესაბამება.

თავისუფალი ზონები ექსპორტის ხელშეწყობის მძლავრი ინსტრუმენტია. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავისუფალი ზონის შექმნით რომელიმე 100 პექტარზე ამქვეყნიური სამოთხე შეიქმნება. თავისუფალი ზონა არასდროს არ არის ექსტრატერიტორიული სივრცე. მას იმ შემთხვევაში მოაქვს წარმატება, როდესაც საერთო საინვესტიციო კლიმატის პირობებში საერთო საექსპორტო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. თავისუფალი ზონის პროგრამა ათეულობით ქვეყანაში ხორციელდება წარმატებით. მაგრამ ამდენივეა იმ ქვეყნების რიცხვიც, სადაც თავისუფალი ზონები მხოლოდ იმ მიზნით შემოიღეს, რათა ქვეყანაში შექმნილი არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი გაენეიტრალებინათ.

საქართველოში თავისუფალი ზონის შექმნის საკითხი რამდენიმე წლის წინ დაიწვა. საუბარი იყო ამგვარი ზონის შექმნაზე ფოთისა და ბათუმის

პორტებში. თავისუფალი ზონის იდეა აღქმულ იქნა, როგორც ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური ძალაუფლების დაკარგვის პერსპექტივა და ამდენად, უარყოფილ იქნა.

გარდამავალმა პერიოდმა ყველაზე დიდი ზიანი სწორედ ქვეყნის ექსპორტს მიაყენა, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, საქართველო მჭიდროდ იყო ინტეგრირებული ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან. დსთ-ს ზოგიერთი სხვა ქვეყნისაგან განსხვავებით, საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩაღებული კონფლიქტების ფონზე, დაკარგა თავისი უწინდელი კავშირები რუსეთის ფედერაციასთან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ თავისი ერთობლივი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტს სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია წარმოადგენდა, რომელიც ექსპორტზე გადიოდა, საქართველოს პრაქტიკულად არ ჰყავდა კონკურენტი დსთ-ს სუბტროპიკული კულტურების ბაზარზე. აგროგადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია მთლიანად ადგილობრივ ნედლეულზე (ბამბის გარდა) იყო დამოკიდებული. ცხადია, ამგვარმა „მონოპოლიური მდგომარეობამ“ პროდუქციის დაბალი ხარისხი განაპირობა. ამას დაემატა ისიც, რომ სამოქალაქო ომის შედეგად დაიკეტა აფხაზეთის გზა, რომლის საშუალებითაც მიედინებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ჩრდილოეთის ბაზრებისაკენ. რაც შეეხება მსუბუქ მრეწველობას (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ელექტრომონოცილობების ანაწილი), რომელსაც ქვეყნის ექსპორტში მეორე ადგილი ეკავა მძიმე დარტყმა განიცადა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზრების რღვევის, ისე პროდუქციის დაბალი ხარისხის გამო. მრეწველობის სხვა დარგებთან დაკავშირებით საქართველო დიდად იყო დამოკიდებული ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნედლეულსა და ტექნოლოგიებზე.

საქართველო სამშენებლო ტექნიკასა და მონოცილობებს, ანუ რადიო-ელექტრო ტექნიკასა და სატრანსპორტო საშუალებებსაც უშვებდა. ამ სახის მრეწველობის დიდი ნაწილი გაქრა. ავტომობილების ანაწილი 80-იანი წლების ბოლოს წელიწადში 5 000 ცალიდან დღესდღეობით 100-200 ცალამდე დაეცა. ხოლო ლოკომოტივებისა კი - წელიწადში 250 ცალიდან (80-იანი წლების ბოლოს), რაც იმ დროისათვის საფრანგეთისა და იტალიის ამგვარ მაჩვენებლებს ერთად აღემატებოდა, წელიწადში 2-3 ცალამდე. საბაჟო დეპარტამენტის ცნობით, საქართველოში 300-მდე რეგულარული ექსპორტიორია, თუმცა, საბაჟოს სიების შემონახვის შედეგად Tacis -ის ექსპერტებმა მხოლოდ ასიოდე ეფექტური

* EBRD (1997), Transition Report 1997, London, Page 39

ექსპორტიორის აღმოჩენა მოახერხეს.

ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, რომელიც საქართველოს აწუხებს ის არის, რომ იმ როლის გამო, რომელსაც იგი ყოფილ საბჭოთა კავშირში ასრულებდა. მისი საექსპორტო პოტენციალი საქონლისა და მომსახურების ფართო ასორტიმენტს მოიცავდა, დაწყებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, როგორცაა ჩაი და ციტრუსები, დამთავრებული „სუხოის“ ტიპის რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავებით (რომლებიც „იაკ-58“ კომერციულ თვითმფრინავებად გარდაიქმნა - მათი ჩვენება ლე ბურჟეს ავიაგამოფენაზე მოხდა). მაგრამ გამარჯვებულს მხოლოდ ბაზარი გამოავლენს.

ექსპორტიორების უმრავლესობის განცხადებით მათ მიერ წარმოებული პროდუქტები საუკეთესო ხარისხისაა. ამგვარი პასუხები იმაზე მიუთითებს, რომ მენეჯერებს აკლიათ ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. მართალია,

სამართლებლო რეატიკული

ზოგიერთმა ექსპორტიორმა გარკვეული ხნით შეიძლება კიდევ მოახერხოს დაბალი ხარისხის პროდუქციის გასაღება ცენტრალური აზიის ქვეყნებში, მომავალში ეს კიდევ უფრო გართულდება, რადგან ცენტრალური აზიის ბაზარი უცხოელი ინვესტორებისა და ექსპორტიორების სამიზნეს წარმოადგენს. ფასები კიდევ ერთ სუსტი მხარეა ქართული საწარმოებისა, რომლებმაც უკვე დაკარგეს ფართო ბაზრები და მცირე მასშტაბების გამო იძულებულნი არიან თავიანთ პროდუქციას მაღალი ფასი დაადონ (მაგალითად, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში სატვირთო ავტომანქანების აწყობა ფაქტიურად ხელით ხდება, არ მუშაობს კონვეიერული სისტემა, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. თუმცა ხელით აწყობილი მანქანები უფრო ხარისხიანია, მაგრამ ძვირია).

ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის გადამწყვეტია მსოფლიო ეკონომიკაში პერსპექტიული ადგილის მოძებნა, ანუ მასში გააზრებული, შერჩევითი ინტეგრაცია. ეს კი სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკისაგან მოითხოვს არსებული მცირე რესურსების არა ტრადიციულ, არამედ ქვეყნის მომავალი კონკურენტუნარიანობისათვის გადამწყვეტ დარგებში მიმართვას, რაც დროულად უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების დადგენისას.

საქართველოს მრავალი სახის მინერალური რესურსები გააჩნია, დაწყებული მარგანეციდან, დამთავრებული ნავთობითა და გაზით, თუმცა მათი მარაგები არც თუ ისე დიდია. მაგრამ პრივატიზაციის დაჩქარებასა და საინვესტიციო

კლიმატის გაჯანსაღებას უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ერთობლივი საწარმოების შექმნა შეუძლია. ისინი ამ რესურსების წარმოებითა და ექსპორტირებით იქნებიან დაკავებულნი. მინერალური რესურსების ექსპორტი ამჟამად ყველაზე მომგებიანი საქმეა, რადგან ექსპორტიორებს შეუძლიათ იქონიონ უცხოური ფირმების დაფინანსების იმედი. მსოფლიო ბაზარი ამ პროდუქტებთან დაკავშირებით დიდ იმედებს მაინც არ იძლევა. ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიოში ასოცირდება განვითარებად ქვეყანასთან, სადაც სამრეწველო პროდუქციის წარმოების ან მომსახურების განვითარების ნაკლები საშუალებებია. საქართველოს გააჩნია საკმარისი კვალიფიციური მუშახელი და ბაზაც, რათა

მდინარეები მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენცილით ხასიათდება

მომავალში განავითაროს მსუბუქი მრეწველობისა და მომსახურების სფეროები.

საქართველოს დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი კარგი საფუძველია ელექტროენერჯის ექსპორტისათვის (ერთი კილოვატი ელექტროენერჯია 0,03 აშშ დოლარი ღირს, თუმცა თურქეთი მზადაა 0,07 აშშ დოლარიც კი გადაიხადოს)*, თუმცა ამ სფეროს განვითარება დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, რაც ალბათ უცხოეთიდან უნდა მივიღოთ.

საქართველოს მდინარეები მაღალი ჰიდროენერგეტიკული პოტენცილით ხასიათდება; კერძოდ, ქვეყნის მდინარეების პოტენციური სიმძლავრე არის 18,2 მილიონი კვტ, რასაც შეესაბამება პოტენციური ენერჯია 159,4 მილიარდი კვტსთწელიწადში, მათ შორის მსხვილ მდინარეებზე მოდის 50 პროცენტი, საშუალო მდინარეებზე - (2-100 მგვტ) - 35 პროცენტი და მცირე მდინარეებზე - 15 პროცენტი. დიდი და საშუალო მდინარეების ტექნიკური ჰიდროენერგეტიკული რესურსები აღწევს 81 მილიარდ კვტსთ წელიწადში, მათ შორის 73 პროცენტი მოდის დასავლეთ საქართველოზე. სამწუხაროდ, ქვეყნის მდინარეების ჩამონადენი (დარეგულირების გარეშე) ზამთარში ჯამურის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენს, ხოლო ზაფხულში - დარჩენილ ორ მესამედს.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად ეფექტური ნაწილი შეადგენს 31,6 მილიარდი კვტსთ წელიწადში, მათ შორის ენგურზე მოდის 31,7 პროცენტი, რიონზე და მის შენაკადებზე - 23,2 პროცენტი, კოდორზე - 16,7 პროცენტი, თუშეთის ალაზანზე - 10,2 პროცენტი, მტკვარზე და მის შენაკადებზე (არაგვი, ხრამი,

* ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია და პოლიტიკა, ლეგალიზაციის ანგარიში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, Tacis-ის ევროპის საექსპერტო სამსახური, 1998 წელი აპრილი

ფარავანი) - 10,4 პროცენტი, ბზიფზე - 4,6 პროცენტი, ხოლო ყველა დანარჩენ მდინარეზე - მხოლოდ 3,2 პროცენტი. ჰიდრორესურსების ენერგოგამოყენება საქართველოში 25 პროცენტს შეადგენს და ბევრად ჩამოუვარდება მოწინავე ქვეყნებს.

ჰესებზე არსებულ სიმძლავრეთა ათვისების გადიდების დიდ ეკონომიკური მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებში წარმოებული 1 კვტსთ ელექტროენერგიის თვითღირებულება 100-ჯერ უფრო იაფია, ვიდრე ჰესებზე*.

მაშასადამე, როგორც ზემოთ ვთქვით, ამჟამად საქართველოში არც ბუნებრივი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების დონე და არც მოქმედი ჰიდროელექტროსადგურების გამოყენება დამაკმაყოფილებელი არ არის. ორივე მაჩვენებლის დონის ამაღლება მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ქვეყნის შემდგომი ელექტროფიკაციის გზაზე.

დასახელებული ორივე პრობლემიდან პირველი რიგის ამოცანაა არსებული ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება. ამჟამად, საქართველოს ჰესები საკმაოდ ხანდაზმულია და

ადმინისტრაციულ რაიონში. მცირე ჰესებზე გამოიმუშავებულმა ელექტროენერგიამ შეიძლება დააკმაყოფილოს ამ რაიონების სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების მოთხოვნილება. გარდა ამისა, ზედმეტი ელექტროენერგია შეიძლება მიენოდოს წარმოების სფეროს. მცირე ჰესები გაცილებით იაფად შეიძლება მოეწყოს არსებულ საირიგაციო სისტემებზეც. ასეთი წყალსაცავები და არხები განსაკუთრებით ბევრია კახეთში. ქვეყანაში მცირე ჰესების მშენებლობა უნდა განხორციელდეს გეგმაზომიერად და სათანადო პროექტებით, დაცული უნდა იყოს ეკოლოგიური და სხვა ტექნიკური მოთხოვნები. თითოეული ასეთი ჰესის მშენებლობას დასჭირდება 2-3 წელი და იგი ფასდაუდებელი წვლილი იქნება ქვეყნის განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ მარტო მცირე ჰესების მშენებლობა საკმარისი არ იქნება. საქართველოს მდიდარი ჰიდროენერგორესურსები, მათი ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდეს აგრეთვე შედარებით მსხვილი ჰიდროენერგომშენებლობა. ამ მიზნით გარკვეული ურთიერთსასარგებლო პირობების დაცვით უნდა გამოვიყენოთ, როგორც ადგილობრივი, ისე მოზიდული უცხოური ინვესტიციები. ასეთი შესაძლო ობიექტებია ხუდონ ჰესი და ნამოხვან ჰესი. ორივე ობიექტი კარგადაა

**მომხმედ ჰესებზე ჩასატარებელი სარეაბი-
ლიტაციო სამუშაოების საორიენტაციო ღირებუ-
ლება 32 მილიონი აშშ დოლარია**

ცნობილი და შესწავლილი. წარსულში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრით ისინი საჭირო და მეტად მნიშვნელოვანი გახდება

მათი ასაკი ძირითადად 40-60 წელია. ისინი გაცვენენ როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად. ამდენად, მომქმედ ჰესებზე აუცილებელია პირველ რიგში ჩატარდეს სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამას მოითხოვს ენგურის, ხრამის, ვარციხის, ტყიბულის, რიონის ჰიდროელექტროსადგურები. აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების საორიენტაციო ღირებულება, პროგრამა TACIS -ის შეფასებით 32 მილიონი აშშ დოლარია**.

საქართველოს ესაჭიროება, როგორც შედარებით მსხვილი, ისე მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურები. ქვეყნის მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გამო, შედარებით მსხვილი ჰესების მშენებლობის დაწყება უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში, ალბათ, მიზანშეწონილი არ არის. რაც შეეხება მცირე ჰესებს, მათი მშენებლობა კერძო და ნაწილობრივ უცხოური კაპიტალის მოზიდვით შეიძლება მოკლე დროში განხორციელდეს. ასეთი ჰესების მშენებლობის შესაძლებლობას შესაბამისი პოტენციალი გააჩნია ქვეყნის თითქმის ყველა

ჩვენი ქვეყნისათვის. გარკვეული ხარჯები ამ პროექტების რეალიზაციისათვის უკვე განეულია, განსაკუთრებით ხუდონ ჰესზე. ახალი საპროექტო მონაცემებით ამ უკანასკნელს წლიურად შეეძლება გამოიმუშავოს 1400 მილიონი კვტსთ ელექტროენერგია.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს, მაგრამ მათ სხვა სამრეწველო დარგის საწარმოებთან შედარებით გაცილებით სწრაფად შეუძლიათ გამოისყიდონ ეს სახსრები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების ზონები მოსახლეობის დასვენებისა და გაჯანსაღების მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენს. აქვე უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ გერმანიის ბუნების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ჯარიმები თესებზე, ატომურ ელექტროსადგურებზე და ქარის ელექტროსადგურებზეც კი, ჰესებზე ასეთი რამე არ

* გელუბაშვილი, მ., საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები და მათი ეფექტიანად გამოყენების პერსპექტივები. ეკონომიკის აქტუალური საკითხები, VII ტომი, თსუ, თბ., 1998

** იქვე

არის გათვალისწინებული.

აღნიშვნის ღირსია ჰიდროელექტროსადგურების ერთი მნიშვნელოვანი მხარეც, როგორც ცნობილია, გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ქვეყნის მდინარეები მდიდარია წყლით, ჩვენს ჰიდროელექტროსადგურებს შეუძლიათ გამოიმუშაონ ჭარბი რაოდენობის, ენ. სეზონური ელექტროენერგია, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებით საკმაოდ ძვირად ფასობს, ამდენად ჩვენს ჰესებში გამოიმუშავებული ჭარბი სეზონური და იაფი ელექტროენერგია ყოველთვის შეიძლება მივყიდოთ მეზობელ ენერგოსისტემებს ან დეფიციტის დროს განსაზღვრულ პირობებში გაიცვალოს ბაზისურ ენერგიაზე.

საბაზრო ეკონომიკა ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროენერგეტიკული რესურსების, როგორც ათვისების, ისე მათი ექსპლუატაციისათვის. როგორც ვნახეთ, კაპიტალ-დაბანდებანი ჰესებში მალე ნაზღაურდება და მოგებასაც იძლევა, ამიტომ აქ კერძო ინვესტიციების მოზიდვა, თუ იგი არსებობს, არ უნდა გაჭირდეს.

საქართველოში ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები; უკვე დაიწყო ჰესების პრივატიზაცია. მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით, საქართველოში ნებადართულია 30 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესების განსახელმწიფოებრიობა. ამ წესით პრივატიზირებულია 11 მცირე ჰესი.

რაც შეეხება აგროგადამამუშავებელი დარგების პროდუქციის ექსპორტს, რამდენადაც ექსპორტის მოცულობის შემცირება პროდუქციის მოცულობასთან (ყურძენი, ჩაის ფოთოლი, ციტრუსები) შედარებით უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა, ექსპორტიორებისათვის ნედლეული პრობლემას არ წარმოადგენს. მაგრამ, როგორც ერთმა ღვინის ექსპორტიორმა აღნიშნა, თუ ექსპორტის მოცულობა კვლავ უნინდელ მასშტაბს მიაღწევს რუსეთის ბაზარზე, მაშინ ექსპორტიორები ნამდვილად აღმოჩნდებიან რესურსების უკმარისობის პრობლემის წინაშე.

თუ აგრო და მინერალურ რესურსებს გამოვრიცხავთ, ექსპორტიორებს არ უნდა

ძირითადად, უცხოეთიდან შემოდის.

იმ დროს, როდესაც თითქმის ყველა სანარმოს განხცადებით, საქონლის ექსპორტისას საბაჟოზე მათ არ ჰქონიათ რაიმე სერიოზული პრობლემა, მაგრამ ექსპორტიორების თქმით, გარკვეული შეფერხებები არის მასალების შემოტანასთან დაკავშირებით. მენარმებს მებაჟეების სიხარბესთან უხდებათ ბრძოლა. ეს გარემოება საბაჟო რეფორმას მოითხოვს.

სამშენებლო მომსახურებაში საქართველოს შეუძლია მიაღწიოს გარკვეულ უპირატესობებს. ამ სფეროში არსებობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც აქვთ გამოცდილება. დღესდღეობით ამ მომსახურებით ევროპის ბაზარზე გამოდის იტალია და თურქეთი. პირველს გააჩნია უპირატესობა მაღალხარისხიან პროდუქციის წარმოების სეგმენტში (სამუშაოს ასრულებენ მანქანა-დანადაგარებით და ადგილობრივი მუშახელით), ხოლო მეორე კი უფრო დაბალ ხარისხიან, მაგრამ იაფ პროდუქციას ქმნის (თავისი მუშა-ხელით ახდენენ მშენებლობას). საქართველოს შეუძლია იგივე სეგმენტზე (შედარებით დაბალხარისხიანი და იაფი წარმოება) თავისი იაფი მუშა-ხელით გავიდეს ევროპის ან დსთ-ს ბაზარზე. რუსეთში ამჟამად ქართული ფირმებისა და მუშა-ხელის მიერ სრულდება მრავალი სამშენებლო მომსახურება (მაგალითად, მეტროს, მრავალსართულიანი ბინების მშენებლობა). ასევე, ალბათ, გარკვეული იმედები შეიძლება არსებობდეს ხის გადამამუშავებელი და სამშენებლო მასალების - განსაკუთრებით მარმარილოს - წარმოებასთან დაკავშირებით.

მართალია, საქართველოს სახნავ-სათესი მიწების ფართობი შეზღუდულია, საქართველოს ხელსაყრელი კლიმატი და ნაყოფიერი მიწები გააჩნია. ამასთანავე, საეჭვოა, რომ ჩვენ შევძლოთ იმ განსაკუთრებული მდგომარეობის დაბრუნება, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ბაზარზე გვეკავა. ანუ როდესაც იგი „სამხრეთული“ პროდუქტების პრიორიტეტული მიმწოდებელი იყო კავშირის ქვეყნებისათვის, დაწყებული ჩაით, დამთავრებული ციტრუსებით. თუმცა,

რესურსების ყველაზე კონკურენტუნარიან პროდუქტებზე კონცენტრაციის გზით, მას სავსებით შეუძლია მოიპოვოს თავისი კუთვნილი წილი, როგორც დსთ-ს ბაზარზე ისე მის გარეთ. სუფრის ყურძენი, სუბტროპიკული ხილი და ბოსტნეული, ღვინოები, მინერალური წყალი, ეთერზეთები, სუნელები, ნიგოზი, თხილი ეს ის პროდუქტებია, რომლებსაც საბჭოთა კავშირში დიდი აღიარება ჰქონდა და დღესდღეობითაც აქვთ დსთ-ს ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობა. თუმცა რაც შეეხება სუბტროპიკული ხილის წარმოებაში

საქართველოს შეუძლია ექსპორტში გაიტანოს გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში არსებობული იაფი ჰიდროელექტროენერგია.

ჰქონდეთ ადგილობრივი მარაგების იმედი. ასეთი პროდუქტები ან საერთოდ არ არსებობს, რადგან ქართულ ფირმებს ისინი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ, ანდა, თუ არსებობს, მათი ხარისხი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ეს განსაკუთრებით შეფუთვისას ეხება. მაგალითად, ღვინის ექსპორტს რაც შეეხება, როგორც ბოთლი, ისე ეტიკეტი,

საქართველოს არც თუ ისე დიდი უპირატესობა გააჩნია. საბჭოთა კავშირში ერთადერთი რესპუბლიკა იყო საქართველო, სადაც შეიძლებოდა ამ ხილის მოყვანა (ბამბის გარდა). ხოლო მაშინდელი ერთიანი სახელმწიფო

აპრილის №266 ბრძანებულებიდან).

ამჟამად აღინიშნება ქართული ჩაით დაინტერესების ზრდა უცხოელ იმპორტიორთა მხრიდან. ამაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მსოფლიოში ჩაიზე ფასების ზრდა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინფორმაციით 1997 წელს საქართველოდან ექსპორტირებული იყო დაახლოებით 13 ათასი ტონა ჩაი.

საქართველოს შუშალია საგზაწველი მოსახურებაში თავისი მაღალკვალიფიციური იაფი მუშა-ხალით გავიდეს ევროპის ან დსთ-ს ბაზარზე.

პოლიტიკით ერჩივნათ ქვეყანაში ეწარმოებინათ უფრო ძვირად, რათა არ შემოეცანათ იმპორტით და უცხოური ვალუტა არ გადაეხადათ. დღესდღეობით კი საქართველოს გაუჭირდა სხვა სამხრეთულ ქვეყნებთან კონკურენცია, რადგან ზოგან სუბტროპიკული ხილი მოჰყავთ წელიწადში ორჯერ.

გაჩეხილი პლანტაციების აღდგენა და არსებულის განახლება საკმაოდ მსხვილ გრძელვადიან ინვესტიციებს მოითხოვს, ვინაიდან ჩაის ახალი ბუჩქის ყვავილობა იწყება მე-4-მე-5 წელს, ხოლო ფორმირება მთავრდება მე-7-მე-8 წელს. სრულმოსავლიანობას ჩაის ბუჩქი აღწევს მე-10 - მე-12 წელს.

უკანასკნელი წლების ეკონომიკური კრიზისის შედეგები მწვავედ იგრძნობა ჩვენთან

ჩაის დარგის აღორძინებისათვის, მსოფლიო ბაზრებზე მისი პრესტიჟის ამაღლებისათვის აუცილებელია საკმაოდ მსხვილმასშტაბიანი

ჩაის დარგში არსებული მდგომარეობა წლების მიხედვით*

ცხრილი №8

	1989	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
ჩაის წარმოება, ათ.ტ.	497	517	452	212	133	62	37	32	35	80	90	110
სათესი ფართობი, ათ.ჰა.	65,1	63,9	63,9	58,3	58,3	40,8	40,8	40,8	40,8	x	x	x
პირობითი მოსავლიანობა, 1 ჰ-დან	7,63	8,09	7,07	3,63	2,28	1,52	0,91	0,78	0,85	x	x	x

ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგში - მეჩაიეობაში.

საქართველოში ჩაის კულტურის განვითარება იწყება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მისი აკვანი აჭარა იყო, სადაც ამ კულტურის მოყვანის შესაბამისი პირობებია.

დღესდღეობით არსებული პლანტაციები თითქმის მთლიანად დაკნინებულია, მძიმე მდგომარეობაშია ჩაის ფაბრიკები, მთელი რიგი რაიონების მოსახლეობა უმუშევარია. ამის შედეგად მასობრივად იჩეხება ჩაის პლანტაციები. აღსანიშნავია ისიც, რომ 80-იან წლებში ქვეყნიდან გადიოდა წარმოებული ჩაის 80%-ზე მეტი. უკანასკნელ წლებში კი ქართული ჩაის გასაღების ბაზრები თითქმის დაკარგულია.

ჩაის დარგში არსებული მძიმე მდგომარეობა ჩანს თუნდაც შემდეგი მონაცემებიდან (1998-2000 წლების საპროგნოზო მაჩვენებელი აღებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25

ინვესტიციები. სპეციალისტთა გაანგარიშებით - 40-45 მლნ. ლარი. ცხადია, რომ ქმედითი სახელმწიფო დახმარებისა და მხარდაჭერის გარეშე აღნიშნული თანხების მოზიდვა შეუძლებელი იქნება. ამასთან მოსაძებნია სახელმწიფო მხარდაჭერის ოპტიმალური ვარიანტები, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მეჩაიეობასთან მიმართებაში, არამედ ზოგად ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

ამჟამად საქართველოს მთავრობის მიერ აღებულია ჩაის დარგის სუბსიდირების კურსი. 1997-2000 წლებში ამ დარგის აღორძინებისათვის გამოყოფილია ან გამოეყოფა შემდეგი თანხები (ცხრილი №9)

გარდა ამისა, პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის № 266 ბრძანებულების შესაბამისად დასმულია სპეციალიზებულ საბარათო აუქციონებზე პრივატიზირებული ჩაის ფაბრიკების კრედიტორული დავალიანებების

* 1994 წლიდან მონაცემები მოცემულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ჩაის პლანტაციების გარეშე.
 ** მოხსენება საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების შესახებ, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 1998

ჩამონერის საკითხი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მხრიდან მეურნე სუბიექტებისათვის პირდაპირი ფინანსური დახმარების განწევა განხილული უნდა იქნეს რამოდენიმე ასპექტში.

მაკროეკონომიკურ დონეზე სტრუქტურული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს

ჩაის დარგის სუბსიდირებისათვის გამოყოფილი და გამოსაყოფი თანხები

ცხრილი №9

წელი	თანხა (ლარი)	წყარო
1997	1.000.000	პრეზიდენტის ფონდი
1998	3.000.000	სახელმწიფო ბიუჯეტი
1999	10.000.000	სახელმწიფო ბიუჯეტი
2000	12.000.000-15.000.000	სახელმწიფო ბიუჯეტი

წარმოადგენს ეკონომიკურად ეფექტიანი სამეურნეო ერთეულების მხარდაჭერა და სტიმულირება, არაეფექტიანი ეკონომიკური სტრუქტურების ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, მეურნე სუბიექტების საქმიანობის საბაზრო პრინციპების დანერგვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება მრავალი ხერხის გამოყენებით, რომელთაგან შეიძლება გამოვყოთ: ადმინისტრაციული (ლიცენზიები, ქვოტები, ფასებზე, შემოსავლებზე, სავალუტო კურსზე, სააღრიცხვო განაკვეთზე კონტროლი და ა.შ.), სამართლებრივი (სამეურნეო კანონმდებლობა, წესები, ნორმები და ა. შ.), პირდაპირი (სუბვენციები, შეღავათიანი კრედიტები და ა. შ.) და ირიბი (ფულად-საკრედიტო, საგადასახადო, საამორტიზაციო, სავალუტო, საბაჟო პოლიტიკა და ა. შ.).

პირველ ორ ინსტრუმენტს აქვს კანონის, ბრძანების ძალა და მათი გამოყენება, როგორც წესი, არითვალისწინებს ეკონომიკურ ინტერესებს და სტიმულებს. ეკონომიკის რეგულირების პირდაპირი და ირიბი მეთოდების გამოყენების დროს სახელმწიფო შეღავათიან პირობებში აყენებს ცალკეულ დარგს (საწარმოს) ან უწევს პირდაპირ ფინანსურ დახმარებას.

კერძო მენარმეების სუბსიდირება ეკონომიკის რეგულირების პირდაპირ მეთოდს წარმოადგენს, ანუ სახელმწიფო, ბიუჯეტის გადამანაწილებელი ფუნქციის მეშვეობით, ეკონომიკის სხვადასხვა დარგიდან ამოღებულ გადასახადებს წარმართავს რომელიმე კონკრეტული დარგის ან საწარმოს მხარდასაჭერად. საბაზრო ეკონომიკის

პირობებში ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკის რეგულირების პირდაპირი მეთოდების გამოყენება ეწინააღმდეგება ეფექტური სტრუქტურული გარდაქმნების და ქვეყნის ეკონომიკური გაჯანსაღების ამოცანებს. საბაზრო ურთიერთობებში მათი ჩართვა ამახინჯებს ფასებისა და დანახარჯების რეალურ თანაფარდობას, ეკონომიკის ცალკეული რგოლების რეალურ კონკურენტუნარიანობას. აქედან გამომდინარე, ასუსტებს ბაზრის მარეგულირებელ ფუნქციას. არასაკმარისად ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების, ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ინსტიტუტების არაეფექტური სისტემის, დაბალი სამართლებრივი, საშემსრულებლო, საფინანსო, საგადაამხდელო დისციპლინის, ზოგადად ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე დაკრძოდ, ამა თუ იმ სუბსიდიის გამოყენების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის უქონლობის პირობებში კი საბიუჯეტო სუბსიდია გამოყოფა შეიძლება კორუფციის პირდაპირ წყაროდ იქცეს. გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რომელიმე დარგის პირდაპირ სახელმწიფო დაფინანსებას როგორც წესი მოჰყვება ამ დარგში დასაქმებულ პირთა ჯგუფის პირადი შემოსავლების მკვეთრი ზრდა. სწორედ სახელმწიფოს პირდაპირი განმანაწილებლობითი ფუნქციის შეზღუდვა წარმოადგენს კორუფციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ქმედით იარაღს. ყოფილ საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობაში საბიუჯეტო სუბსიდია უაღრესად მაღალი დონის პირობებში არსებული სასურსათო კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო სწორედ სახელმწიფო ინვესტიციების ეფექტიანობის უზრუნველყოფის რეალური მექანიზმების უქონლობა.

ეკონომიკის ირიბი რეგულირების დროს სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს არა უშუალოდ წარმოებასა და მოხმარებაზე, არამედ მწარმოებლის და მომხმარებლის სამეურნეო საქმიანობაზე, ქმნის ეკონომიკურ გარემოს, რომელიც წაახალისებს კონკურენციას.

პირდაპირი და ირიბი მეთოდები ითვალისწინებს რეგულირებისა და სტიმულირების ისეთი ფინანსურ-ეკონომიკური მეთოდების გამოყენებას, როგორცაა:

- პირდაპირი სუბსიდიები;
- შეღავათიანი კრედიტები (მათ შორის უპროცენტო);
- გარანტიები;
- საგადასახადო განაკვეთების რეგულირება;
- კომერციული კრედიტის სარგებლის სუბსიდირება;
- სახელმწიფო შესყიდვები;

— ცალკეული დანახარჯების კომპენსაცია (მაგალითად, ენერჯის, სანვავის და სხვა);

— ავანსები;

— სახელმწიფო და კერძო წყაროებიდან ინვესტიციების ერთობლივი დაფინანსება და მრავალი სხვა.

ჩვენთან, საბაზრო მექანიზმების და თვითრეგულაციების განუვითარებლობის პირობებში, ეკონომიკის რეგულირება რომელიმე ერთი მეთოდის გამოყენებით შეუძლებელია. მით უმეტეს მცდარია აქცენტის გადატანა რეგულირების პირდაპირ მეთოდებზე, რადგანაც ამ შემთხვევაში ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ხარისხი და ეფექტიანობა ყველაზე უფრო დაბალია.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს საბიუჯეტო პირდაპირი სუბსიდიების განაწილებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების ქმედითი მექანიზმი, რაშიც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით ე.წ. ჩაის სუბსიდიის მაგალითზე. საკმარისია გავიხსენოთ ის, რა ბედი ეწია სახელმწიფო კრედიტების უმეტესობას. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ვერხერხდება გაცემული თანხების დაბრუნება, რის გამოც ბიუჯეტს მნიშვნელოვანი თანხები აკლდება, ხოლო გაცემული კრედიტების გამოყენების ეფექტიანობა აბსოლუტურად უმნიშვნელოა. არადა ცნობილია, რომ კრედიტის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია დაბრუნებადობა, რაც აიძულებს მსესხებელს ეფექტურად გამოიყენოს აღებული სახსრები. სუბსიდიების დროს თანხების გამოყენების ეფექტურობის მეტ-ნაკლებად ზუსტი დადგენა მეტად რთულია. საქართველოში არ არსებობს არც ამის კრიტერიუმები და მექანიზმი, არც ამის შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მეჩაიოების დარგის რეაბილიტაციისათვის მთავრობის მიერ აღებული სახელმწიფო მხარდაჭერის კურსი (ანუ პირდაპირი სუბსიდირება) არაეფექტურია.

საქართველოსათვის მისაღები და მსოფლიოში აღიარებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფორმა შეიძლება გახდეს *საკონტრაქტო სისტემა*, ე.ი. სახელმწიფო

საქართველოში ამჟამად არ არსებობს საბიუჯეტო პირდაპირი სუბსიდიების განაწილებისა და მათი ეფექტიანი გამოყენების ქმედითი მექანიზმი.

შეკვეთებისა და შესყიდვების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული, სამართლებ-

ბრივი, პირდაპირი და ირიბი რეგულირების სინთეზს. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს „სახელმწიფო ბაზრების“ სისტემა, აშშ-ში - ფედერალური საკონტრაქტო სისტემა და ა. შ. მისი მეშვეობით კერძო ბიზნესი ებმება სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში. შეკვეთების დაფინანსებისა და განაღდების დროს გამოიყენება მენარდეს დანახარჯების ანაზღაურების როგორც ირიბი, ისე პირდაპირი მეთოდები. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონტრაქტების დადება ატარებს არა ერთჯერად, შემთხვევით ხასიათს, არამედ ფუნქციონირებს მთელი სისტემა, რომლის

დარგის რეაბილიტაციისათვის მიერ სახელმწიფო მხარდაჭერის კურსი (ანუ პირდაპირი სუბსი-არაეფექტურია

შემადგენლობაში არიან ადმინისტრაციული, საარბიტრაჟო, კვლევითი და მაკონტროლებელი ორგანოები. კონტრაქტების დადება ხდება საკონკურსო წესით, როგორც წესი, ვაჭრობების მეშვეობით.

საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 მლნ. ლარი გათვალისწინებულია „ჩაის კულტურის რეაბილიტაციის ღონისძიებებზე“.

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის განაწილების მიზნით გამოცხადდა ტენდერი, რომელიც ჩატარდა 8 ლოტად (ცხრილი №10).

ტენდერში გაიმარჯვეს ფირმებმა:
 1998 წელს ჩაის სუბსიდირებაზე გათვალისწინებული 3 მლნ. ლარის განაწილება

ცხრილი №10

რეგიონი	ლოტების რაოდენობა	თანხა (ათ. ლარი)
აჭარა	1	460
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4	298
		296
		403
		363
გურია	2	500
		340
იმერეთი	1	340

1. შ.პ.ს. „პრესტიჟი“ (აჭარის ლოტი);
2. შ.პ.ს. „ოქროს სანმისი“ (იმერეთის ლოტი);
3. შ.პ.ს. „ჩაისუბტროპიკი“ (სამეგრელო - ზემო სვანეთის ზუგდიდი-ხოზის ლოტი);
4. სააქციო საზოგადოება „ქართული ჩაი“ (გურიის

* მოხსენება საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების შესახებ, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 1998

ოზურგეთის ლოტი, გურიის ლანჩხუთი-ჩოხატაურის ლოტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სენაკი-ჩოხატაურის ლოტი);

5. შ.პ.ს. „ბაკო“ (სამეგრელო-ზემო სვანეთის ნალენჯიხის ლოტი);

6. შ.პ.ს. „ტამანი“ (სამეგრელო-ზემო სვანეთის მარტვილის ლოტი).

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების გამოყოფისა და ათვისების პროცესში (როგორც ეს მოსალოდნელიც იყო) უკვე ამჟამად აღინიშნება დარღვევები:

1. სატენდერო პირობების თანახმად თანხების გამოყოფა უნდა მომხდარიყო ოთხ ტრანშად:

1998 წ. 30 იანვრამდე — 800 ათასი ლარი

1998 წ. 20 თებერვლამდე — 900 ათასი ლარი

1998 წ. 1 მარტამდე — 820 ათასი ლარი

1998 წ. 1 აპრილამდე — 480 ათასი ლარი

2. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 25 აპრილის ბრძანებულების მე-4 პუნქტის მიხედვით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1998 წლის 1 მაისამდე უზრუნველყო 3 მლნ. ლარის განაღდება, რაც ვერ განხორციელდა.

3. ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით გამოყოფილი თანხების დიდი ნაწილის განაღდება უნდა მოხდეს ურთიერთჩათვლების წესით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე ეკონომიკის რეგულირების საბაზრო მექანიზმების დამკვიდრების, კორუფციასთან ქმედითი ბრძოლისა და მეჩაიეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი იძლევა შემდეგი სახის დასკვნებს*:

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მხოლოდ პირდაპირი სუბსიდირების წესით ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და მეურნე სუბიექტების დაფინანსება ეწინააღმდეგება როგორც საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრიორიტეტებს, ისე საბიუჯეტო დეფიციტის შემცირების მიზნებს.

2. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების და მისი ცალკეული რგოლების ფინანსური მხარდაჭერის ძირითად ფორმას უნდა წარმოადგენდეს საკონტრაქტო სისტემა.

3. 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ჩაის კულტურის რეაბილიტაციის ღონისძიებებზე გათვალისწინებული თანხების გამოყოფა და გამოყენება მიმდინარეობს სატენდერო პირობებისა და „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევით.

4. მეჩაიეობის რეგიონებში სახელმწიფო-სადმი მოსახლეობის ნდობის შენარჩუნების და არასასურველი სოციალურ-პოლიტიკური შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ჩატარებული სამუშაოების შესაბამისი ანაზღაურება სრულად უნდა მოხდეს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ოდენობით. აღნიშნული უნდა იყოს აყვანილი განსაკუთრებულ კონტროლზე.

5. ჩვენი ქვეყნის მეჩაიეობის აღორძინების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრეზიდენტის წინაშე დაისვას საკითხი 1999-2000 წლებში მეჩაიეობის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის ალტერნატიული ფორმების გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

აღსაღნიშნავია, რომ საქართველოს გააჩნია პრეფერენციები საფეიქრო მრეწველობაში, რამაც ხელი შეუწყო ამ დარგის პროდუქციის ექსპორტირებას.

საბჭოთა კავშირის დროს საქართველოდან, მზა ტანსაცმლიდან, მხოლოდ აბრეშუმის პროდუქცია გადიოდა უცხოეთის ქვეყნებში. ქართული აბრეშუმი ცნობილი იყო თავისი ხარისხით. მის წარმოებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს.

ამჟამად ქვეყანაში რამდენიმე ფაბრიკა მუშაობს, რომლებიც უცხოელი მომხმარებლებისათვის ტანსაცმელს აწყობს. ორი მათგანი („საქართველოს მოდელების ცენტრი“ და „იმერეთი“) გერმანული ფირმა „ლებეკის“ ქვეკონტრაქტორებს წარმოადგენს. შრომის ნაყოფიერება, საერთო აზრით, საქართველოში გაცილებით დაბალია, ვიდრე თურქეთში.

საქართველოში უწინ 10-ზე მეტი ფეხსაცმლის ფაბრიკა იყო და ექსპორტის მოცულობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მნიშვნელოვან მასშტაბებს აღწევდა. დღესდღეობით ეს ბაზარი დაკარგულია. თუმცა, არსებობს ერთი პრივატიზებული და იტალიური კომპანიის მიერ შესყიდული სანარმო, რომელიც ნაწილობრივ ახერხებს თავისი პროდუქციის

ქართული აბრეშუმი ცნობილია თავისი ხარისხით და შესაქლებელია მისი წარმოების განვითარება

ექსპორტზე გატანას.

მომხარებაში მაღალი ხვედრითი წილი უკავია მსუბუქი მრეწველობის (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი) პროდუქციას. ეს თავისთავად შემოსავლების ზრდასთან ერთად გამოიწვევს ამ საქონელზე მოთხოვნის გაზრდას სხვებთან შედარებით. ამასთან, მოთხოვნაა მაღალ ხარისხიან პროდუქციაზე (დღესდღეობით

* მოხსენება საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების შესახებ, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 1998

შემოსავლების სიმცირის გამო მოთხოვნა უმეტესად არის დაბალი ხარისხის საქონელზე, თუმცა დიზაინს მაინც მნიშვნელობას ანიჭებენ. შემოსავლების ზრდა კი გაზრდის მოთხოვნას მაღალი ხარისხის პროდუქციაზე). საქართველოში დიდი ყურადღება ექცევა საქონლის დიზაინს. ეს ყოველივე ხელს შეუწყობს საქართველოში ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოებას.

ასეთივე მდგომარეობა ხელოსნობისა და საიუველირო ნაწარმის წარმოებაში, რომელშიც საქართველოს მდიდარი ტრადიცია გააჩნია. ამგვარი ნაწარმის ექსპორტი ჯერ კიდევ ჩასახვის სტადიაშია, თუმცა მას ფართო პერსპექტივები გააჩნია. ერთ კერამიკის მწარმოებელ საწარმოს მთელი თავისი პროდუქცია გერმანიაში გააქვს, თუმცა, იგი მხოლოდ ქვეკონტრაქტების საფუძველზე ამზადებს პროდუქციას და ერთ მყიდველზეა დამოკიდებული. ეს მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოებს გააჩნიათ საწარმოო სიმძლავრეები, მაგრამ აკლიათ პროდუქციის განვითარებისა და მარკეტინგის უნარი, რაც ასე აუცილებელია საექსპორტო წარმოებისათვის.

უახლოეს მოგავალში საქართველო ნავთობისა და ელექტროენერჯის ძირითადი სატრანზიტო მაგისტრალი გახდება

მეორე მაგალითია შპს „გუგა“, რომელიც ერთი წლის წინ დაარსდა ერთი ქართველი დეკორატორისა და ერთი ფრანგი მწარმის მიერ. მათ ლითონის სტრუქტურისა და ტრადიციული სადურგლო ნაწარმის კომბინაციის გზით მეტად ორიგინალური ავეჯის ნიმუშები შეიმუშავეს. წარმოებამ, რომელშიც 8 პირია დასაქმებული, შესძლო მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვება უცხოელ მოქალაქეებს შორის (გასაღებული პროდუქციის 90 პროცენტი), რაც აშკარად მიუთითებს საექსპორტო პოტენციალზე. ქართველ მწარმეებს, თუ მომავალში მიუწვდებათ ხელი საკრედიტო და საბაზრო ინფორმაციაზე, შეუძლიათ უკეთ ისარგებლონ კვალიფიციური მუშახელით და მოძებნონ გზები უცხოური ბაზრებისაკენ.

საქართველო მრავალი დასახელების საქონლის სატრანზიტო დერეფანს წარმოადგენს და იმედი აქვს, რომ მომავალში ნავთობისა და ელექტროენერჯის ძირითადი სატრანზიტო მაგისტრალი გახდება. 1997 წლის ნოემბერში ხელმოწერილი მემორანდუმის საფუძველზე აზერბაიჯანი თურქეთს ელექტროენერჯიას სწორედ საქართველოზე გავლით მიჰყიდის. მას შემდეგ, რაც საქართველოში 500 კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი აშენდება, რაც ორი წლის შემდეგ მოხდება, ამ ენერჯის 20 პროცენტს მიიღებს, რაც,

დაახლოებით, 100 მილიონ დოლარს უდრის. თურქეთს ასევე აინტერესებს რუსეთის ელექტროენერჯისა და გაზის ტრანზიტიც, რაც საქართველოს გავლით უნდა მოხდეს.

ჩვენ ჯერაც გამოუყენებელი ტურისტული პოტენციალი გაგვაჩნია. ტურიზმის საფუძველს იძლევა მისი უძველესი ისტორია, აღმოსავლური და დასავლური კულტურის სინთეზი, რბილი კლიმატი და ლამაზი ლანდშაფტი. ამ დარგში ინვესტიციების მოზიდვას ტურიზმის განვითარების კარგად მოფიქრებული გრძელვადიანი პროგრამა შეუწყობს ხელს.

პირველყოვლისა საქიროა ქვეყანაში ტურისტებისათვის სტაბილური (უშიშარი) მდგომარეობის ჩამოყალიბება და ტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარება. საქართველოში სამთო და კულტურული ტურიზმის მეტი შესაძლებლობაა, რადგან შავი ზღვის სანაპირო ზოლში სეზონი მცირე დროით (თითქმის ერთი თვით) არის შეზღუდული.

მრავალი ექსპერტის მიერ ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე რეალურ საექსპორტო მომსახურებად აღიქმება. ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისია, რომ 1997 წელს წინა წელთან შედარებით ტურისტული

მომსახურების ექსპორტმა 520%-იანი ზრდა განიცადა და 46.9 მილიონია დოლარი შეადგინა. 1997 წელს ასევე მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა ტურისტული მომსახურების იმპორტმა და 10 მილიონიდან 156,1 მილიონ დოლარამდე ავიდა.

ტურიზმი საექსპორტო დარგია და უნდა იყოს ჩაყენებული სხვა საექსპორტო საქონელთან ანალოგიურ სიტუაციაში.

კანონით „ტურიზმის შესახებ“ ტურისტული მომსახურება, როგორც საექსპორტო დარგი არ იზეგრება დღგ-ით. მაგრამ ასეთი რამ არ არის გათვალისწინებული „საგადასახადო კოდექსით“. ამას ემატება ისიც, რომ არსებობს საკურორტო და სასტუმრო ადგილობრივი გადასახადები. „საქართველოს საგადასახადო კოდექსის“ კარი XIII, მუხლი 211 მმიხედვით განასაზღვრულია შემდეგი: „საკურორტო გადასახადს ფიზიკური პირები

ტურიზმის ხელშესაწყობად საკურორტო სასტუმროები უნდა განთავსდნენ დაგატავული ღირებულების გადასახადისაგან

იხდიან საკურორტო ადგილებში დასვენებისა (მკურნალობისა) და საკურორტო მომსახურების მიღებისათვის. გადასახადის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება ერთ კაცზე 10 ლარით“. იგივე კარის მუხლი 212 განსაზღვრულია: „სასტუმროს გადასახადს იხდიან ის იურიდიული და მწარმე

ფიზიკური პირები, რომლებიც შესაბამისის ქალაქის (რაიონის) ტერიტორიაზე ფიზიკურ პირებს სათანადო ანაზღაურების ფასად გადასცემენ დროებით საცხოვრებელ ფართს სასტუმროებში, პანსიონატებში, მოტელებში, კემპინგებსა და სხვა ანალოგიურ ობიექტებში. სასტუმროს გადასახადის განაკვეთის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება დროებითი

დედამინის ყველაზე მდიდარი სანავთობე რეგიონის - საუდის არაბეთიდან ყაზახეთამდე, ჩრდილოეთ კუთხეს წარმოადგენს. უმსხვილესი სახელმწიფოების ინტერესები სწორედ ამ რეგიონში ეჯახება ერთმანეთს;

◆ კავკასიის კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება.

კავკასია დერეფანს წარმოადგენს კასპიისა და შავ ზღვებს შორის. იგი არის, აგრეთვე, ბუფერული ზონა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ოთხი ათასი წლის განმავლობაში ეომებოდნენ ერთმანეთს დიდი იმპერიები

კავკასიის ოკუპაციისა და მასზე კონტროლის დამყარების მიზნით. დღესაც კავკასია გეოპოლიტიკური თვალსაზრისით სამიზნეს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისათვის (კონტროლის დამყარება დსთ-სა და საკუთარ სამხრეთ საზღვრებზე, საქართველოს შავი ზღვის პორტებზე გასასვლელი, კონკურენცია საკუთარ და კასპიის ნავთობის საბადოებს შორის, კასპიის ნავთობის მაგისტრალზე კონტროლი), თურქეთისათვის (გასასვლელი კასპიის ზღვაზე და ნავთობის ტრანსპორტირება დასავლეთში, კულტურული სიახლოვე, კავკასიური დიასპორები საკუთრივ თურქეთში), დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისა (გასასვლელი კასპიის ნავთობზე) და, მცირე დონით, ირანისათვის (კულტურული სიახლოვე აზერბაიჯანთან და ფანჯარა გარე სამყაროსთან ნახევარბლოკადის პირობებში).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის ეფექტურ გამოყენებაზე. ევროაზიული კორიდორის რეალურად ამოქმედება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უცხოური ფირმების, მათ შორის ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვისათვის. ამასთან, არ ვგულისხმობთ მხოლოდ სატრანსპორტო გადაზიდვებს და

საკურორტო და სასტუმრო ადგილობრივი გადასახადები პირდაპირ ხელის შეხველი ფაქტორია ტურიზმის განვითარებისა

საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ფასის არა უმეტეს 2 პროცენტით".

ჯანდაცვის სფერო პრიორიტეტად უნდა ჩაითვალოს, როგორც საექსპორტო მომსახურება. საქართველოში არსებობს მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. ცალკეულ სფეროებში ისინი ცნობილი იყვნენ საბჭოთა კავშირის მასშტაბით (მაგალითად: ონკოლოგია, ტრავმატოლოგია, დიაგნოსტიკა). ასევე ჯანდაცვის სფეროს განვითარებას შეუძლია ხელი შეუწყოს ისეთი სამკურნალო კურორტების არსებობამ, როგორებიცაა აბასთუმანი, ბორჯომი და სხვა. გარკვეული რეგიონალური მასშტაბით (კავკასია პირველ ეტაპზე) საქართველომ უნდა მოიზიდოს ამ დარგის მომხმარებლები.

ტურიზმისა და თუ სხვა საექსპორტო დარგის გასავითარებლად საჭიროა ინვესტიციების მოდინება. უცხოელი ინვესტორები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხს ხვალინდელი გლობალური ბაზრების სექტორში განიხილავენ, ჯერ სწავლობენ ბაზრებს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძებენ პროდუქციის ყველაზე მეტად კონკურენტუნარიან ადგილებს. ეს სრული სიმართლეა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში. ქართველი ინვესტორები, მსგავსად სხვა ქვეყნების ინვესტორებისა, აქტიურად ეძებენ უცხოელ ინვესტორებს. პოლი-

ტიკური რისკების ფაქტორმა ჩვენთან, ისევე როგორც სხვა დამოუკიდებელ ქვეყნებში, ისეთივე მნიშვნელობა შეიძინა

ჯანდაცვის მომსახურების ექსპორტი ხელს შეუწყობს საბარათელოში არსებული მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის გამოცდილებასა და სამკურნალო კურორტების არსებობას

საქართველოს საექსპორტო კომპანიებისათვის და ქართული თუ უცხოური კაპიტალისათვის, როგორც უცხოური ინვესტიციებისათვის.

მთელი კავკასია (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია) ინვესტორების მიერ შეფასებულია, როგორც მაღალი პოლიტიკური რისკის მქონე რეგიონი. ეს შეხედულება რამოდენიმე მოსაზრებაზეა დაფუძნებული:

◆ კავკასია „ნავთობის სწორკუთხედის“,

ნავთობსადენის გატარების საკითხს. ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ საქართველო შეიძლება მათთვის ცენტრალური აზიის, რუსეთის სამხრეთ რეგიონებისა და შორეული აღმოსავლეთის ბაზრების ათვისებისათვის რეალურ პლატფორმად იქცეს. კერძოდ საქართველოში შეიძლება განხორციელდეს ამწყობი, შემფუთავი და ნაწილობრივი გადამუშავების ოპერაციები. მართალია, ასეთი

სანარმოები იმპორტის მაღალი შემადგენლობის გამო მცირე დამატებით ღირებულებას ქმნიან, მაგრამ სამაგიეროდ მაღალი შრომატევადობით ხასიათდებიან და ხელს უწყობენ სამუშაო

საქართველოსთან.

სახელმწიფო მოხელეთა და კერძო მენარმეთა დიდ ნაწილი იმ აზრისაა, რომ იმპორტის მოცულობა უნდა შემცირდეს, რათა დაეცეს შემოტანილი საქონლის კონკურენტუნარიანობა, შემცირდეს სავაჭრო დეფიციტი და გაუმჯობესდეს საგადასხდელო ბალანსი.

პროტექციონიზმის პროპაგანდას აქტიურად ეწევა ბევრი ოფიციალური პირი, კერძო მენარმე და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენელი. ზოგიერთი მათგანი მიზეზად ასახელებს დაბალ ხარისხიანი, ადამიანისათვის მავნე, საქონლის შემოსვლას ქვეყნის შიგნით. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ ეკონომიკურ ლიტერატურაში ეგერთ ნოდებული „სპეციფიურობის მეთოდი“, რათა მივალწიოთ მაქსიმალურ შედეგს პრობლემის წყაროზე ზემოქმედებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ავირჩიოთ ორი გზა: ერთი, მოსახლეობის გათვითცნობიერება (მას-მედიის დახმარებით) ჯანმრთელობისათვის მავნე საქონლის შესახებ. ან მეორე - შემოვიღოთ ხარისხის ნორმები. ის საქონელი, რომელიც მათ ვერ დააკმაყოფილებს აეკრძალოთ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანა. მაგრამ საინტერესოა თუ, რამდენად მოხდება საბაჟოზე აკრძალული საქონლის შემოტანის

საბრთველოში შეიქმნა განვითარების ადგილი, შეფუთვაში და ნაწილობრივ გადასუფთავების სანარმოები

ადგილების შექმნას, ამის გამო განვითარების პირველ ეტაპზე ნამდვილად საჭიროა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად არის ჩარეული კავკასიაში მიმდინარე პროცესებში. რეგიონი უცხოელი ინვესტორების დიდი უმრავლესობის მიერ კვლავაც განიხილება, როგორც სახიფათო ზონა, სადაც შენელებული მოქმედების ბომბი მუშაობს.

საქართველოს გრძელვადიანი განვითარების პოტენციალი თვალსაჩინოა: უმოკლესი გზა კასპიის ნავთობის დასაველეთისაკენ ტრანსპორტირებისათვის, ენერგეტიკის (ჰიდროენერგეტიკის) მასშტაბური პოტენციალი, მინერალური რესურსების მარაგები, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და სამეცნიერო კადრების მაღალი დონე.

ინვესტიციების მცირე მასშტაბები აქამდე დიდ წუხილს იწვევდა. მაგრამ ამ ბოლო დროს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მოიმატა. არსებობს იმის იმედიც, რომ გაიზრდება ადგილობრივი ინვესტიციების წილიც, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოცულობა შიდა ვაჭრობაში აქამდე უმნიშვნელო იყო.

1995 წელს მისი შემოღების დღიდან ლარი დოლარის მიმართ პრაქტიკულად სტაბილური იყო. რაც საგარეო ვაჭრობის პირობებში იმას ნიშნავს, რომ ქართული საქონელი, როგორც შიდა, ისე გარე ბაზარზე, გაცილებით უფრო ძვირია და სხვა ქვეყნების პროდუქციასთან შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანია. თუმცა ამ ბოლო

როგორც მსოფლიო ბაზარზე განვიანებს უფრო ეფექტური გზა, ის საქონლის წარმოება, რომელიც არ იყო დაცული საბაჟო ტარიფებით

შეზღუდა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ის ფაქტი, რომ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს იმ საქონლის წარმოება უფრო ეფექტური გახდა, რომელიც საერთაშორისო კონკურენციაში იყო ჩართული. მაგალითად თურქეთში ზოგიერთი დარგის პროდუქციის წარმოება დაცული იყო საბაჟო ტარიფებით, ზოგიერთი კი ჩართული იყო უცხოურ საქონელთან კონკურენციაში. ეს უკანასკნელნი უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ და გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე თავიანთი ეფექტური წარმოებით.

შსსრული ინვესტიციების უმრავლესობის მიერ საბრთველო კვლავაც განიხილება, როგორც სასიფათო ზონა

დროს ლარის კურსი სწარაფად დაეცა, მაგრამ ექსპორტის გაუმჯობესება, მაინც არ გამოიწვია, რადგან ვალუტის გაუფასურების მიზეზი იყო რუსეთის კრიზისი და ამან გამოიწვია რუსეთში საქართველოდან ექსპორტის შემცირება. თუმცა ზოგიერთ ქვეყანასთან შეინიშნება ზრდა წინა წელთან შედარებით. მაგრამ ექსპორტის შემცირება მხოლოდ ამ კრიზისის ბრალიც არ არის, რადგან შემცირება აღინიშნა სხვა ქვეყნებთანაც, რომლებსაც მნიშვნელოვანი ექსპორტი აქვთ

ინვესტიციების რეკლამას ისევე, როგორც გარდამავალ ეტაპზე მყოფ სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ექსპორტის განვითარების თვალსაზრისით.

საქართველოს სამრეწველო სანარმოების ამჟამინდელი მდგომარეობა, როდესაც ისეთი წარმოებებიც კი, როგორიც ღვინის ქარხნებია,

მოძველებული დანადგარებით მუშაობენ, დიდი რაოდენობით დაბანდებებს მოითხოვს. ფულის ერთ-ერთ წყაროს რეგისტრირებული საწარმოების მიერ ფასიანი ქაღალდების გაყიდვა წარმოადგენს. სამწუხაროდ, სამართლებრივი ბაზის არასრულყოფილება და ნდობის ფაქტორის უქონლობა ხელს უშლის აქციებით ვაჭრობის დამკვიდრებას. მეორე წყაროს უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. თუმცა, როგორც ქვემოთ არის აღნიშნული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინება მინიმალურია. კიდევ ერთ წყაროს კომერციული ბანკები წარმოადგენენ, თუმცა, ეს უკანასკნელი ქართულ საწარმოებზე კრედიტების გაცემისაგან თავს იკავებენ. ამის მიზეზი რამდენიმეა: გარანტიების დაცვის სირთულე, სისტემატური რისკი, რეალისტური საექსპორტო პროექტების უქონლობა, დაბალი დონის მენეჯმენტი (ზოგი მწარმე საწარმოსა და პირად ანგარიშებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევს). ასეთ პირობებში ბანკებს უფრო საწარმოთა აქტივების შექმნა აინტერესებთ, ვიდრე მათთვის კრედიტების გაცემა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, TACIS -მა, IFC -მა და საერთაშორისო რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა რამდენიმე საკრედიტო ხაზი გაუხსნეს საქართველოს ბანკებს. მათ შორისაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის კრედიტი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის (რომლებშიც დასაქმებულთა რიცხვი 250-ზე ნაკლებია; თამბაქოსა და სპირტიანი სასმელებით მოვაჭრე საწარმოების გამოკლებით). ამ კრედიტების საპროცენტო განაკვეთი წელიწადში 20 და 24 პროცენტს უდრის, რაც კრედიტის ვადაზეა დამოკიდებული. ასეთი პირობები ბევრად სჯობია კომერციული ბანკების განაკვეთებს, რომლებიც წელიწადში 40-60 პროცენტს აღწევს. მეორეს მხრივ, ბანკები არ რისკავენ 2 წელზე მეტი ხნით გასცენ კრედიტები, ხოლო კლიენტებს ხშირად ქრთამის გადახდა უხდებათ, რათა ასეთი შეღავათიანი კრედიტები მიიღონ. როგორც Tacis -ის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა მაქსიმალური განაკვეთი, რომლის საფუძველზეც შეუძლიათ საწარმოებს თავიანთი საექსპორტო საქმიანობის დაფინანსება, 10-დან 25 პროცენტამდე მერყეობს (საშუალო მაჩვენებელი 13 პროცენტია).

საქართველოს ექსპორტის მხარდამჭერი სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება უნდა იყოს საექსპორტო წარმოების სუბსიდირება და დაკრედიტება. რადგან ქვეყნის ბიუჯეტი იმდენად მცირეა, რომ ვერ შეძლებს ამ პოლიტიკის გატარებას, საჭირო ხდება ხელის შეუწყონ უცხოური კრედიტების მოზიდვას. სახელმწიფოს თავისი გარანტიით შეუძლია მიიღოს

შეღავათიანი კრედიტები, ვიდრე კომერციულია და გახსნას საკრედიტო ხაზები (როგორებიცაა მაგალითად: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის - მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის სოფლის მეურნეობის კრედიტები).

დღეს საქართველოში არ არსებობს ექსპორტის დაკრედიტებისა და საექსპორტო კრედიტების დაზღვევის არანაირი სისტემა, გარდა ბანკის ჩვეულებრივი კრედიტებისა. არადა განვითარებად ქვეყნებშიც კი აქტიურად იყენებენ ამ მექანიზმებს საკუთარი ექსპორტის წასახალისებლად, მაგალითად დღეისათვის საექსპორტო კრედიტების დაზღვევას მთლიანად ახორციელებენ სამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო ექსპორტის დაკრედიტირებისას კერძო და სამთავრობო სტრუქტურები ხშირად პარტნიორებად გვევლინებიან, ამიტომაც საქართველოში საჭიროა შეიქმნას ექსპორტის

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყო უცხოური საკრედიტო ხაზების გახსნას საექსპორტო საწარმოების დაკრედიტების მიზნით

დაკრედიტებისა და ხელშეწყობის ცენტრი. საქართველოს ეკონომიკის მსგავსი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ეჯახებიან უზარმაზარ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მათი წარმოებისა და ექსპორტის დაფინანსებასთან. ამ პრობლემის დასაბამი ძირითადად წარსულშია, როდესაც დაფინანსება ცენტრალურად იგეგმებოდა და ეძლეოდა საწარმოებს „გოსპლანის“ შესაბამისად. გარდა ამისა, დღესდღეობით საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობას ჯერ კიდევ არ გააჩნია უნარი მოემსახუროს თავის კლიენტებს, როდესაც საქმე ეხება საგარე ვაჭრობის ოპერაციებს.

➤ კერძო ბანკების უმეტესობას არ შეუძლია ან არც კი ესმის კორესპონდენტების ფართო ქსელის შექმნის აუცილებლობა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ექსპორტის გასაღების ქვეყნებში აკრედიტივების გახსნისა და/ან დამტკიცების მიზნით.

➤ მათი შტატის უმეტესობა არც კი იცნობს ექსპორტის ანბანურად მარტივ საფინანსო დოკუმენტებს და პროცედურებს, რომლებიც საჭიროა დაინერგოს კონკურენტუნარიანი მომსახურების გასაწევად.

როდესაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და მსოფლიო ბანკი სასოფლო-სამეურნეო დარგისათვის ან საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გამოჰყოფდა ძლიერად სუბსიდირებული კრედიტის ლიმიტებს, მათ მიერ შეთავაზებული პროცენტული განაკვეთით 8-12

პროცენტის ფარგლებში, შემომწების შედეგად შერჩეულმა ხუთმა ქართულმა კერძო ბანკმა მაინც დაარიცხა პროცენტული განაკვეთი 23,5-25,5 პროცენტის ფარგლებში, უნდა აღინიშნოს რომ, ნაცვლად მათი ჩვეულებრივი 40-50 პროცენტისანი სასესხო განაკვეთისა.

უახლოეს მომავალში საბანკო კრედიტის ლიმიტები დაეთმობა საქართველოს ექსპორტის დაფინანსებას, მსგავსი სქემა ასევე ვერ მოახერხებს საქართველოს პოტენციური ექსპორტიორების სათანადო და იაფ დაფინანსებას, კერძოდ, ამ ტიპის ექსპორტის კრედიტი (ე.ი. 20-24 პროცენტული განაკვეთით) იქნება:

✓ ექსპორტიორებისათვის მიუწვდომელი რეალური პროცენტული განაკვეთისა და ძნელად შესასრულებელი ვალდებულებების თვალსაზრისით;

✓ მცირე და საშუალო ზომის სანარმოებისათვის კი მიუვალა პროცედურების სირთულის და დროის გაჭიმვის გამო.

კომერციულ ბანკებს მიდრეკილება აქვთ

ექსპორტის განხორციელების უწყვეტობის უზრუნველყოფის საკუთარი ექსპორტის წახალისებლად სახელმწიფო მხარდაჭერა ესაჭიროება.

გააზვიადონ ექსპორტის გარიგებებთან დაკავშირებული რისკი და ამიტომ უარს ამბობენ სესხის გაცემაზე ან გარანტიის დანერაზე, ან არიცხავენ მას გადამეტებულ განაკვეთს. ამიტომ, საექსპორტო კრედიტს საკუთარი ექსპორტის წახალისებლად სახელმწიფო მხარდაჭერა ესაჭიროება.

საექსპორტო კრედიტს, როგორც ყველანაირ სესხს, ახასიათებს რისკი იმისა, რომ სესხის ამღები უუნარო აღმოჩნდება ან არ მოინდომებს სესხის დაფარვას შეთანხმებულ დროში.

ქართველ მენარმეთა აბსოლიტურ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს პრეფერენციებზე. ვაჭრობის სამინისტროში იძლევიან „A“ ფორმის სერთიფიკატს, რომელიც საშუალებას აძლევს ჩვენს მენარმეებს ისარგებლონ GSP პრეფერენციებით. საჭიროა დიდი სიფრთხილე რათა ეს პროცედურა არ იქცეს კორუფციის წყაროდ.

1996 წელს ევროკავშირმა სამი წლით 1999 წლამდე გააგრძელა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საქართველოდან ექსპორტირებული საფეიქრო ნაწარმი

გაანთავისუფლა კვოტებისაგან. ამან უნდა დააჩქაროს საფეიქრო მრეწველობაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ერთობლივი სანარმოების შექმნა.

ასევე საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა

შეუწყოს ექსპორტიორებს დსთ-ს ბაზარზე გასასვლელად. ხელმოწერილ უნდა იქნას შეთანხმებები სავაჭრო ურთიერთობების ხელშესაწყობად დსთ-ს ქვეყნებთან. არსებობს შეთანხმებები ორმაგი დაბეგვრის ზცილებებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (იხ. ცხრილი №13), მაგრამ უმეტესობა არსრულდება.

ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს საექსპორტო შესაძლებლობების ზრდას. 1997 წლის 31 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა გააუქმა თავისი 1996 წლის 23 მაისის ბრძანებულება, სააქციო საზოგადოებების აქციების 51 პროცენტის პრივატიზაციის გადადების შესახებ. საპრივატიზაციო სიაში ქვეყნის უმსხვილესი სანარმოები მოხვდა, რომლებიც კვალიფიცირებულნი არიან, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სანარმოები.

ექსპორტი ქართველი მენარმეებისათვის სიახლეს წარმოადგენს. საქართველოს მსხვილი სანარმოების ხელმძღვანელებს ხშირად წარმოდგენა არა აქვთ დასავლეთის ბაზრებზე მიღებულ ხარისხობრივ ნორმებსა და სტანდარტებზე, აგრეთვე, დასავლურ პროდუქციაზე, რომელთანაც უხდებათ მათ კონკურენციის განწევა იმავე დსთ-ს ბაზარზე.

ერთი დარგის ექსპორტიორებმა უნდა შექმნან გაერთიანებები, რათა მოხდეს მათ შორის არსებული გამოცდილებების გაზიარება, რათა ერთიანი ძალებით შევიდნენ მსოფლიო ბაზარზე. თუმცა ამ გაერთიანებებმა არ უნდა მიიღონ მონოპოლიური ხასიათი, რათა შიდა ბაზარზე შეიზღუდოს კონკურენცია, რაც საერთო ჯამში იმოქმედებს მათი წარმოების ეფექტურობაზე და, ბოლოს, დაკარგავენ უცხოეთის ბაზრებზე არსებულ სეგმენტსაც. ძირითადი მიზანი ამ გაერთიანებებისა უნდა იყოს პერიოდული შეხვედრები აზრთა გაცვლის მიზნით.

GTZ -ს პროექტი, რომელიც ხელს უწყობს კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში ჩამბულ ქართველ ექსპორტიორთა მონაწილეობას გერმანიის ბაზრობებზე, კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად რთულია დასავლეთის ბაზარზე გაღწევა. ამ პროექტის კონსულტანტის თანახმად, გერმანულ ბაზრობებზე წარმოდგენილ

უცხოელი ინვესტორები ქართველ პარტნიორებში არასაიმიდო, უცარი გამდიდრების სურვილით ვაჭრობილ, ელემენტარული სააღრიცხვო წესების უცოდინარ აღაშინავენს ხელავენ.

ქართულ საქონელს აკლია კონკურენტუნარიანობა ფასის, ხარისხისა და/ან მიწოდების ვადების თვალსაზრისით. კიდევ ერთი ნაკლი, რომელიც სპეციალური ტესტების საფუძველზე გამომჟღავნდა, ის არის, რომ ძალზე ცოტა

ქართველმა ექსპორტიორმა იცის ინგლისური. ქართული ღვინოები, არაყი და ბრენდი ვერ

წლიური ხელფასები
ტანსაცმლის წარმოებაში

ცხრილი №1

1997 წელი	აშშ დოლარი წელიწადში
ტაიბეი	15 172
პარიზი	15 103
ჰონკონგი	12 276
მადრიდი	10 966
სეული	10 069
სტამბული	7 241
ბანკოკი	2 552
ბუდაპეშტი	2 207
ვარშავა	2 138
მეხიკო	1 724
პრაღა	1 586
შანხაი	1 103
მოსკოვი	1 034
ჯაკარტა	897

უძლებენ დასავლეთის ბაზარზე არსებულ კონკურენციას და ძალზე ცოტა მათგანი უძლებს დღეს ბაზრის კონკურენციას ფასის, ხარისხისა და/ან მიწოდების ვადების თვალსაზრისით. მნიშვნელოვან შეფერხებას შეიძლება წარმოადგენდეს ცივი კლიმატიც კი. მაგალითად, მინერალური წყლები ვერ უძლებს გადაზიდვას რუსული სუსხიანი ზამთრის პირობებში და იყინება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი მარაგები უნდა შეიქმნას და დაფინანსდეს საიმისოდ, რომ რუსეთის ბაზრის მომსახურება მოხერხდეს.

უცხოელი ინვესტორები ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა განვითარებად ქვეყანაში, საქართველოშიც ადგილობრივი პარტნიორებს ეძებენ. თეორიულად საქართველოში უცხოელი ინვესტორების პარტნიორები არიან. მაგრამ უცხოელი ინვესტორები კარგი პარტნიორის მოძებნის სიძნელეს უჩივიან. ხშირად ისინი პარტნიორებში არასაიმედო, უეცარი გამდიდრების სურვილით შეპყრობილ, ელემენტარული სააღრიცხვო წესების უცოდინარ ადამიანებს ხედავენ.

საქართველოს შრომითი რესურსების მიმართებით ორი აშკარა უპირატესობა გააჩნია:

- დიდი რაოდენობით იაფი მუშახელი;
- განათლებული კადრების დიდი არჩევანი.

პირველი უპირატესობა, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების მაღალი დონის პირობებში, საკმაოდ ხანგრძლივი იქნება. დაბალი

კვალიფიკაციის მუშები და მოსამსახურეები თვეში 50 დოლარად მრავლად არიან. სრულ შტატზე ხელფასები 70 დოლარს არ აღემატება. ხელფასების ასეთი დონე საერთაშორისო მონაცემებთან შედარებითაც ხელსაყრელია, მიუხედავად უკანასკნელი ხანების ფულის გაუფასურებისა. და რეალური ხელფასების კლებისა აზრის ზოგიერთ ქვეყანაში.

საქართველოში, სადაც კარგად განათლებული მოსახლეობა ცხოვრობს, ალბათ ასევე ხელსაყრელი პირობები არსებობს იმ დარგებისათვის, რომლებსაც კვალიფიცირებული შრომა ესაჭიროებათ.

რაც შეეხება მეორე უპირატესობას, იგი ფაქტიურად, ორი მიზეზის გამო შეიძლება დადგეს ეჭვქვეშ:

- უნიღვლი ეკონომიკური სისტემის პირობებში მოპოვებული განათლება უფრო სამეცნიერო ხასიათის იყო, ვიდრე ტექნიკურის და, ამდენად, შესაძლოა, მიესადაგება ყველა მათგანისას, განსაკუთრებით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სანარმოს მართვის სფეროებში. ამის გამო, კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების მართვისათვის კადრების მომზადება გახდება საჭირო მენეჯმენტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში, თუმცა, რა თქმა უნდა, არც სამეცნიერო განათლება წარმოადგენს მეორეხარისხოვან ელემენტს. აუცილებელია, ასევე, დღევანდელი და ხვალისდელი მენარმეების (სტუდენტების) მომზადებასა ექსპორტო ტექნიკის სფეროში.

- შრომითი რესურსების მარაგები უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვნად გაუფასურდა. ამის მიზეზი პროფესორთა მოტივაციის უქონლობაა (უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასი, საუკეთესო შემთხვევაში, თვეში 50 ლარია), ტექნიკური მასალებისა და ცნობარების უქონლობა, სასწავლო შენობა-ნაგებობების ნაკლებობა და მცირე სამუშაო ადგილები კურსდამთავრებულთათვის. შრომითი რესურსების ასეთი რთული მდგომარეობა ძალზე დიდ საფრთხეს უქმნის ნებისმიერ გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს*.

რადგანაც საქართველოში წარმოებული პროდუქციის გასაღების ბაზრის უდიდესი წილი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე მოდიოდა, ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს პროდუქციის ტრანსპორტირება დღეს ქვეყნებში, განსაკუთრებით კი რუსეთსა და უკრაინაში, აგრეთვე, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. სამწუხაროდ, ტრადიციული და ამასთანავე უმოკლესი გზა - აფხაზეთის გავლით - უკვე აღარ არსებობს. ამასთანავე პრობლემა არა ტექნიკური, არამედ პოლიტიკური ხასიათისაა და, ამდენად,

* ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია და პოლიტიკა, ლეგალიზაციის ანგარიში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, Tacis-ის ევროპის საექსპორტო სამსახური, 1998 წელი აპრილი, გვ. 27
** UNDP, "Human Development Report, Georgia 1997", Tbilisi, 1997.

მისი მოკლე დროში მოგვარება არ მოხერხდება. ტვირთის მოსკოვამდე მატარებლით გადაზიდვას საშუალოდ 25 დღე სჭირდება, ევროპამდე - დაახლოებით 20 დღე, ხოლო თურქეთამდე - სულ 2 დღე.

საექსპორტო საქონლის გადატანის კარგ მაგალითად გამოდგება ქართული ღვინის ტრანსპორტირება, რომელიც მოყვანილი ყავთ TACIS -ის ექსპერტებს.

Chalice Wine -ს საქართველოს ეკონომიკაში ყველაზე დიდი ინვესტიცია აქვს დაბანდებული ენერგეტიკის დარგებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. ეს არის ძლიერი ერთობლივი სანარმო, რომლის დამფუძნებლები არიან კომპანია „სამება“ და აშშ-ის კონსორციუმი, რომლის ერთ-ერთი წევრი აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯორჯ შულცია. ღვინის წარმოება და ექსპორტი საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა. სატრანსპორტო ხარჯები დაინყო საცობების იმპორტით პორტუგალიიდან, იარღიყებისა ფინეთიდან და ბოთლებისა თურქეთიდან. მაგრამ ნამდვილი თავის ტკივილი Chalice Wine -ის ხელმძღვანელობამ ღვინის ექსპორტმა გაუჩინა. კომპანიის სამიზნეს რუსეთის ბაზარი წარმოადგენდა (პროდუქციის 95 პროცენტი). ტრადიციული და უმოკლესი გზა აფხაზეთის გავლით დაკეტილია. კიდევ ერთი გზა -სამხრეთოსეთის გავლით - ასევე ჩახერგილი იყო საომარი მდგომარეობის გამო. საქართველოს სამხედრო გზა ზამთრობით იკეტება ზვავსაშიშროების გამო. შავი ზღვის მარშრუტი უკრაინის ან რუსეთის გავლით გრძელიც არის და, ამავე მიზეზით ძვირიც. ღვინო ყაზახეთის გზითაც შეიძლება გაიგზავნოს რუსეთში, მაგრამ ეს გზა მეტისმეტად გრძელია. დაბოლოს, Chalice -ი ვერ მისცემს თავს უფლებას ღვინის ბოთლზე 4-5 დოლარზე მეტი ფასი დაადოს. რუსეთის ბაზარი სავსეა ასეთივე ხარისხის იმპორტული ღვინით კიდევ უფრო იაფ ფასებში.

GWS ერთობლივმა სანარმომ, რომლის წევრი Pernod Ricard -იც არის, ეს პრობლემა ნაწილობრივ ქართული ღვინის ჰოლანდიაში ჩამოსხმით გადაჭრა. საქართველოში ხარისხიანი ღვინის ბაზრის გაჩენასთან ერთად, ფირმამ ჩამოსხმა ისევ საქართველოში დაინყო, საიდანაც, შავი ზღვის გავლით, გააქვს იგი რუსეთში (70 პროცენტი). Pernod Ricard -ის წარმომადგენლობის რუსეთში გახსნით, ფირმა უკეთ შეძლებს რუსეთის ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევას. იგი უფრო მაღალი ხარისხის ღვინოებსაც შეიძლება, რომლის ფასი დაახლოებით 8 დოლარია ბოთლზე*.

თუკი მომსახურების ექსპორტს

სტრუქტურულად განვიხილავთ, აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებას მოაქვს. მეორე ადგილზეა კომუნიკაციები, ხოლო მე-3 ადგილზე კიტურიზმი. თუმცა ეს დასკვნები 1996 წლის მონაცემებს ეყრდნობა და თუ გავითვალისწინებთ, რომ 1997 წელს ტურისტული მომსახურების ექსპორტმა შეადგინა 46.9 მილიონი დოლარი, მაშინ იგი მნიშვნელოვნად გადაუსწრებს კომუნიკაციებს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო ტრანსპორტით მომსახურებით ვაჭრობის თვალსაზრისით, საქართველოს მართლაც და მნიშვნელოვანი პოტენცია გააჩნია. ამის საფუძველს იძლევა იმ ორი სტრატეგიული პორტის არსებობა, როგორებიცაა ფოთი და ბათუმი. თუკი მოხდება აღნიშნული პორტების გადაიარაღება და ტექნიკური მხარის დახვეწა, რაც მათ კონკურენტუნარიანობას საგრძნობლად გაზრდის, მაშინ საქართველოს შესაძლებლობა ექნება გახდეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების ცენტრი რეგიონში. იმის გამო, რომ დღევანდელ საქართველოს არ ძალუძს საკუთარი საშუალებით მოახერხოს ამ ორი პორტის მოდერნიზაცია ერთადერთი გამოსავალი პრივატიზაციაა.

საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების თვალსაზრისით გარკვეული გაუმჯობესება შეიმჩნევა. თუკი 1996 წელს საჰაერო ტრანსპორტით მომსახურების სალდო უარყოფითი იყო, 1997 წელს იგი დადებითი გახდა.

ასევე დიდი პოტენცია გააჩნია საჰაერო

საქართველოს, თავისი მდებარეობის უპირატესობიდან გამომდინარე, შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს სტამბულის აეროპორტს

ტრანსპორტს. ამ მხრივ ქართული ავიაკომპანიების ხელში არსებული მოძველებული საჰაერო ხომალდები სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ ამ დარგის განვითარებისათვის და ამიტომაც მნიშვნელოვანი ინვესტიციები საჭირო თვითმფრინავების პარკის განსაახლებლად. საქართველოს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თბილისის აეროპორტს, თავისი მდებარეობის უპირატესობიდან გამომდინარე, შეუძლია სერიოზული კონკურენცია გაუწიოს სტამბულის აეროპორტს და საერთოდ თურქულ ავიაკომპანიებს, რომლებიც მგზავრთა გადაყვანის საქმეში სატრანზიტო ფუნქციას ასრულებენ. იმისათვის, რომ თბილისის აეროპორტმა მსგავსი ფუნქცია შეიძინოს, საჭიროა ქართული ავიაკომპანიების ხელში არსებობდეს თანამედროვე ტიპის საჰაერო ხომალდები, ამას კი სერიოზული ინვესტიციები ესაჭიროება.

მომავალში არანაკლები როლის შესრულება

* ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია და პოლიტიკა, დეკალიზაციის ანგარიში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, Tacis-ის ევროპის საექსპერტო სამსახური, 1998 წელი აპრილი, გვ. 31

შეუძლია რკინიგზასაც, რომელიც უკვე დღეს ემსახურება კავკასიის და შუა აზიისათვის განუთვნილი ტვირთების ტრანსპორტირებას.

მოსალოდნელია, რომ უკვე წელს მილსადენებით მოსახურება საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი საქსპორტო საქმიანობა გახდება. ამის საფუძველს იძლევა ის სამუშაოები, რომლებიც აქამდე ჩატარდა და ამჟამადც მიმდინარეობს აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად. არსებულ მარშრუტებს შორის საქართველოზე ორი გადის, ერთი ე.წ. ჯეიჰანის მარშრუტი და მეორე ე.წ. დასავლური მარშრუტი, ბაქოდან სუფსის ტერმინალამდე (რომელიც უკვე ამოქმედდა). ამ მარშრუტებიდან ერთ-ერთის ამოქმედება მეტად სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის და მას ექნება არა მხოლოდ პირდაპირი არამედ ირიბი ზემოქმედებაც ქვეყნის ეკონომიკაზე. ნავთობსადენებთან ერთად მოსალოდნელია გაზსადენების ამოქმედებაც. ამჟამად ხორციელდება გაზის ტრანზიტი რუსეთიდან სომხეთში. მზადდება პროექტი თურქეთისათვის რუსეთის გაზის მისაწოდებლად. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობთან ერთად აზერბაიჯანიდან შესაძლებელია გაზის მიწოდება ევროპის ქვეყნებისათვის საქართველოს გავლით. არსებული საშუალებებიდან გამომდინარე საქართველოს წლიურად შესაძლებლობა ექნება 12-15 მლრდ. კუბური მეტრი გაზის გატარება.

საქართველოში არ მოიპოვება ისეთი ინდუსტრიული ცენტრები, რომელთა ბაზაზეც მრეწველობის ახალი, კონკურენტუნარიანი დარგების განვითარება გახდებოდა შესაძლებელი.

ინფორმაცია საქსპორტო ბაზრების შესახებ ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია ექსპორტიორებისათვის, დღეისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართველ მენარმეთათვის მარკეტინგულ საქმიანობაში დახმარებაც. ადგილობრივ მენარმეებს ძალიან უჭირთ უცხოეთის ბაზრის გამოკვლევა, ამიტომ სამთავრობო სტრუქტურებმა მაქსიმალურად უნდა შეუწყონ ხელი ამ საქმეში. ადრე ეს ფუნქცია სავაჭრო წარმომადგენლებს უნდა შეესრულებინათ, რასაც ამ უკანასკნელებმა თავი ვერ გაართვეს. დღეს ეს როლი უნდა იკისრონ საქართველოს საელჩოებმა უცხოეთში. მათ მიერ საგარეო ბაზრების გამოკვლევის შედეგები ყველა მენარმისათვის ერთნაირად ხელმისაწვდომი და რაც მთავარია უფასო უნდა იყოს. აუცილებლად საჭიროა საერთაშორისო მარკეტინგის გამოცდილი სპეციალისტების დახმარებით სემინარების ჩატარება. უნდა გაიზარდოს ქართველ მოხელეთა და მენარმეთა კვალიფიკაცია და ცოდნა საგარეო ბაზრის გამოკვლევასა და საქონლის გასაღების თანამედროვე მეთოდების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს „საერთაშორისო სავაჭრო ცენტრთან“

(ITC) ურთიერთობებს, რადგან ეს ორგანიზაცია ფლობს საერთაშორისო ბაზრების შესახებ ინფორმაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აწარმოებს სხვადასხვა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სავაჭრო რეჟიმების გამოკვლევას.

გასულ წლამდე საქართველოს უცხოეთის ქვეყნებში 40 სავაჭრო წარმომადგენელი ჰყავდა. მოგვიანებით მათი ადგილები გაუქმდა და ისინი ვაჭრობის საკითხებში მრჩეველებმა შეცვალეს, რომლებიც საქართველოს საელჩოებში მუშაობენ. ამ მრჩეველებს საგარეო საქმეთა სამინისტრო ნიშნავს, თუმცა ანგარიშებს ისინი ვაჭრობის სამინისტროსაც აბარებენ.

ეკონომიკის სამინისტროს გადამწყვეტილებით უახლოეს მომავალში სავაჭრო პუნქტების შექმნაა გათვალისწინებული.

საექსპორტო ბაზრებზე არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც სისტემატურ, მუდმივად განახლებად და ყოვლისმომცველ ინფორმაციას (მოქმედი ნორმებისა და სტანდარტების, მოთხოვნის, ფასების, იმპორტიორებისა და საბაზრო არსების შესახებ) მიაწვდიდა საქსპორტო კომპანიებს. ასეთი ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვან დაბანდებას წარმოადგენს, როგორც ქართველი, ისე ნებისმიერი სხვა ექსპორტიორებისათვის.

სიახლოვის მიუხედავად, საბჭოთა კავშირი, ცენტრიდანული ტენდენციების შიშით, ხელს არ უწყობდა რეგიონის ინტეგრაციას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მრავალ ეკონომიკურ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, მათ შორის, შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დსთ-ს ქვეყნების უმრავლესობასთან (იხ. ცხრილი №13). 1993 წლის 24 სექტემბერს საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ (ხელშეკრულება დსთ-ს ეკონომიკური კავშირის შესახებ), მაგრამ პარლამენტს მისი რატიფიკაცია ჯერაც არ მოუხდენია. გარდა ამისა, საქართველომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დსთ-ს თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რომლის საფუძველზეც მხარეები ვალდებული უნდა იყოს დაანესონ საერთო საიმპორტო და საექსპორტო ბაჟი, მოსაკრებლები ან სხვა ამგვარი შეზღუდვები საქონელზე, რომელიც ერთი მხარის ტერიტორიაზე არის წარმოებული და მეორე მხარის ტერიტორიაზე შესასვლელად არის განსაზღვრული.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელშეკრულების რატიფიკაცია ჯერაც არ განხორციელებულა. გარდა ამისა, შეთანხმებები რუსეთის ფედერაციასთან იშვიათად მუშაობს. მაგალითად, ხელშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ, რომლის თანახმად დღგ მხოლოდ დანიშნულების ქვეყანაში უნდა იქნას

გადახდილი, რუსეთის ფედერაციის მიერ არ სრულდება. ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ფედერაციის „სუბიექტები“ სრულიად არ ემორჩილებიან ფედერაციის სახელით დადებულ ხელშეკრულებებს.

1996 წლის 22 აპრილს საქართველომ გააფორმა ხელშეკრულება ევროკავშირთან „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“.

ამ ხელშეკრულების ეკონომიკური ასპექტი, რომელიც საქართველოსათვის

ექსპორტიორების ბაზრების შესახებ

ყველაზე ხელსაყრელი სავაჭრო პარტნიორის სტატუსის მინიჭებაში მდგომარეობს, ძალაში შევიდა „შუალედური ხელშეკრულების“ ხელმოწერის დღიდან. ევროკავშირის ბაზრებზე საქართველოს ქვოტაზე დაფუძნებული თავისუფალი გასასვლელი გაუჩნდა.

საქართველო სარგებლობს შეღავათების საერთო სისტემის (Generalized System of Preferences) უპირატესობებით, რომლებიც მას მიანიჭეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ევროკავშირი, კანადა, იაპონია, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთის რესპუბლიკა, შვეიცარია და ამერიკის შეერთებული შტატები. ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ზრა აქვს დადებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. თუ ყველაფერი კარგად განვითარდა, 1999 წლის დასაწყისში საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდება.

საქართველო წარმოადგენს ორგანიზაცია „შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის“ (BSEC) წევრ ქვეყანას, რომელიც 1992 წელს დაარსდა.

TACIS-ის ექსპერტების მიერ ჩატარდა ექსპორტიორთა სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის შედეგებსაც ეხლა განვიხილავთ:

იმ სფეროებს შორის, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვს, ყველაზე ხშირად საქართველოს ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების უკიდურესად მაღალი დონის შემცირებას ასახელებენ. სატრანსპორტო საშუალებების უკმარისობა და სიძვირე მეორე ადგილზე დგას. მესამე ადგილზეა რეკლამა „დამზადებულია საქართველოში“. სხვა საკითხები განსაზღვრულია, როგორც დაბალი ხარისხის პრიორიტეტები. ზოგი მათგანი მართლაც პრობლემას წარმოადგენს, თუმცა, ექსპორტიორები ეჭვობენ, რომ ხელისუფლებას ძალუძს მათი მოგვარება.

არსებობს, აგრეთვე, ექსპორტიორების ორი კონტრასტული ჯგუფი: ისინი, რომლებიც უცხოელი პარტნიორების წყალობით ფინანსურ სიძნელეებს არ განიცდიან და ისინი, რომლებსაც გადარჩენისათვის ფინანსური სახსრებისათვის ბრძოლა უხდებათ. პირველ ჯგუფში

გაერთიანებულ ექსპორტიორებს საქონელი დსთ-ს არანეგრ ქვეყნებში გააქვთ და ექსპორტის მართვა თავიანთ უცხოელ პარტნიორებზე აქვთ გადაბარებული. მათ უმრავლესობას ინფორმაცია ან ექსპორტის მართვის დარგში მომზადება არ სჭირდება, თუმცა, არსებობენ ისეთებიც, რომელთაც კარგად ესმის, რომ უცხოელ პარტნიორებზე მეტისმეტად დიდი დამოკიდებულება სისუსტეს წარმოადგენს.

უმრავლესობა უცხოეთის ინფორმაციას არ ფლობს.

ამდენად მათ ძალზე მცირე რაოდენობის წინადადებები გააჩნიათ ექსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით. მეორე ჯგუფში გაერთიანებული საწარმოები ძალზე რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ერთადერთ იმედად რაიმე საექსპორტო-საკრედიტო სისტემის შექმნა ესახებათ, რომელიც მათ მუშაობის საშუალებას მისცემდა. სატრანსპორტო ხარჯების (დსთ-ს ქვეყნებში) შემცირებასთან ერთად, მათი დანადგარების გასაახლებლად, ისინი შესძლებენ თავიანთი უწინდელი პოზიციების დაბრუნებას დსთ-ს ბაზარზე. სინამდვილეში ეს უწინდელი პოზიციები ძალზე მცდარი მეგზური შეიძლება გახდეს მომავლისაკენ მიმავალ გზაზე.

ამ კონტექსტის გამო, ადგილობრივი ექსპორტიორების უმრავლესობა უცხოეთის ბაზრების შესახებ ინფორმაციას სრულებითაც არ თვლის სავალდებულოდ. რაც შეეხება დსთ-ს ბაზარს, ამგვარი პოზიცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ ექსპორტიორები კარგად იცნობენ თავიანთ ყოფილ მომხმარებლებს. მაგრამ ასეთი პასუხის უფრო რეალური მიზეზი ის არის, რომ ექსპორტიორებს არა აქვთ საექსპორტო საქმიანობის ექსპერტიზის გამოცდილება. საბჭოთა პერიოდის განმავლობაში საბაზრო ინფორმაცია საერთოდ არ არსებობდა, როგორც მართვის ინსტრუმენტი: კითხვაზე, თუ როგორი იყო მათი წილი საქართველოს ბაზარზე, რამოდენიმე ფირმამ საერთოდ ვერ გასცა პასუხი. რაც შეეხება არა დსთ-ს ბაზარზე მოქმედ ექსპორტიორებს, ინფორმაცია ბაზრის შესახებ საკმარისად იქნა მიჩნეული იმ ექსპორტიორების მიერ, რომელთაც სტატისტიკური მონაცემები გააჩნდათ გასაყიდ საქონელთან დაკავშირებით. სინამდვილეში საბაზრო სტატისტიკა სრულებითაც არ არის საკმარისი ინფორმაცია. მაგრამ, რამდენათაც ეს ექსპორტიორები საქონლის რეალიზაციის თვალსაზრისით უცხოელი პარტნიორების იმედად არიან დარჩენილნი, მათ სრულებით არ იციან, თუ რა სახის საბაზრო ინფორმაციაა საჭირო წარმატების უზრუნველსაყოფად.

დიაგნოსტიკაში განსაზღვრული საექსპორტო სტრატეგიის ზოგიერთი ძირითადი ფაქტორი,

მართალია, დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ მათი მნიშვნელობა აშკარაა:

- უფრო კონკურენტუნარიანი გაცვლის კურსი;
- სატრანსპორტო პრობლემების დიპლომატიური და პოლიტიკური გზით მოგვარება;
- საქართველოს კასპიის ნავთობის მთავარი სატრანსპორტო მაგისტრალი უნდა გახდეს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძალიან მალე საქართველომ თავისი ვაჭრობის ლიბერალიზაცია მოახდინა. ამჟამად იგი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას ესწრაფვის. ამასთანავე გამორიცხული არც პროტექციონისტური რეაქციაა, რადგან საქართველო დიდ და მზარდ სავაჭრო დეფიციტს განიცდის. იმპორტულ საქონელზე საბაჟო ტარიფების გაზრდის შემთხვევაში საქართველო რამოდენიმე რისკის წინაშე დადგება:

- თუ პროტექციონიზმის ხარისხი მაღალი აღმოჩნდა, ადგილობრივ ბაზარზე ადგილობრივი პროდუქცია მოიპოვებს გაბატონებულ პოზიციას, რაც ორგვარ ზიანს მიაყენებს, როგორც მომხმარებლებს, ისე ექსპორტს: ზოგიერთი საექსპორტო სანარმოს მასალების ფასი გაიზრდება (მინიმუმ დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საექსპორტო საბაჟო რეჟიმი ცუდად მუშაობს), ხოლო ინვესტიციები და სხვა რესურსები არასწორი მიმართულებად გადანაწილდება (წაკლებად ნაყოფიერ დარგებს გაუნაწილდება);

- თუ პროტექციონიზმის ხარისხი დაბალი იქნება, ზიანი მხოლოდ მომხმარებელთა ხარჯების გაზრდით შემოიფარგლება.

ამავე დროს არსებოს დეფიციტის დაძლევის სხვა საშუალებაც. ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, შეუძლია წარმოების სპეციალიზაციის გზით ეკონომიკის ნაყოფიერების უფრო მაღალ დონეს მიაღწიოს დარგებში, რომლებშიც კონკურენტუნარიანია. ეს გულისხმობს თავისი ბაზრების გახსნას სხვა ისეთ ქვეყნებში წარმოებული საქონლისათვის, რომლებსაც, უპირატესობა გააჩნია საქართველოსთან შედარებით როგორც კონკურენტს.

ექსპორტზე ორიენტირებული ზრდა სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ მაინცდამაინც laissez faire -ის მოდელის მსგავსი პოზიცია დაიკავოს. პირიქით, ხელისუფლებამ აქტიური როლი უნდა ითამაშოს საექსპორტო განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში. საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ თავიანთი პროდუქციის ექსპორტს, აქტიურად უწყობენ ხელს საექსპორტო პროგრამების განვითარებას

(მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია დღესდღეობით გამოხსნის ისეთ პოლიტიკას, რომელიც მათ მსოფლიო ბაზრების დაპყრობაში დაეხმარება). განვითარებული ქვეყნების მაღალტექნიკური ექსპორტი მუდამ სარგებლობდა და მომავალშიც ისარგებლებს მთავრობის მხრიდან პირდაპირი თუ არაპირდაპირი დახმარებით (ამის მაგალითია მასიური R&D პროგრამები, რომლებიც ხშირად თავდაცვითი ხელშეკრულებების, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების, ეკონომიკური და სამრეწველო დაზვერვის, ინტენსიური ტვინების გაყოფის, მასიური ინფრასტრუქტურული ინვესტიციების, საგადასახადო სტიმულების,

ექსპორტი ეროვნულ პრიორიტეტად უნდა იქნას გამოცხადებული საქართველოს პრაიმიდენტისა და პარლამენტის მიერ.

საინვესტიციო და ტრენინგული გრანტების ქვეშ არის ხოლმე შენიღბული). სამწუხაროდ, ასეთი ინსტრუმენტები ხშირად ძალზე ძვირი ჯდება და გარდამავალ ეტაპზე მყოფ ისეთ ქვეყანას, როგორც საქართველოა, მათზე ხელი ვერ მიუწვდება. ყველა ეს „სუბსიდია“ ძალზე ძვირია და საქართველოს არ გააჩნია ნაყოფიერი ბაზა საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ისინი, თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო გრანტებსა და/ან შეღავათიან კრედიტებს. ამიტომაც ჩვენ ყურადღებას მხოლოდ ისეთ პოლიტიკასა და ინსტრუმენტებზე გავამახვილებთ, რომლებზეც საქართველოს ხელი მიუწვდება.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში განევწიანების თვალთახედვით საქართველოს არ მართებს ექსპორტიორების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება, ხოლო საექსპორტო ფასები არ უნდა ჩამოუვარდებოდეს შიდა ბაზარზე არსებულ ფასებს (დემპინგის დეფინიცია). ამ ძირითადი შეზღუდვების გარდა არაპირდაპირი საექსპორტო სუბსიდიები მისაღებია. ექსპორტის ხელშეწყობა, როგორც ქვემოთ არის შემოთავაზებული, პროტესტს არ იწვევს. ამის მსგავსად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესების თანახმად, ასევე დასაშვებია ზოგიერთი სახის საგადასახადო შეღავათები, რომელიც ქვეყნის შიგნით სუბსიდიებად არის მიჩნეული. მისაღებია საექსპორტო კრედიტებიც, თუ მთავრობა, რომელიც სესხს გასცემს, ამას ბერნის კავშირის შეთანხმებების საზღვრებში აკეთებს.

დღევანდელ პირობებში, როდესაც ქვეყანას ასე ესაჭიროება ექსპორტის განვითარება, საქართველოსათვის ყველაზე უფრო ოპტიმალური იქნებოდა ექსპორტისათვის „ნულოვანი დაბეგვრის“ დანესება.

ყველა სახის საიმპორტო საქონლის გათავისუფლება ბაჟისაგან (პირველ ეტაპზე ძირითადი ფონდების მაინც);

• საბაჟო მომსახურებისათვის მოსაკრებლის გაუქმებას, რომელიც ამჟამად საბაჟო ღირებულების 0,3 პროცენტს უდრის;

• სანარმოთა გადასახადის გაუქმება ან, სულ მცირე, მინიმუმამდე დაყვანა საექსპორტო სანარმოებისათვის.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, საბაჟო და საგადასახადო დანაკარგებს, რომლებსაც ექსპორტის ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში ვლბულობთ, მთლიანად ანეიტრალებს საბიუჯეტო შემოსავლები, რომლებსაც სახელმწიფო ექსპორტისა და ეკონომიკური ზრდის შედეგად ღებულობს.

საქართველოს მთავრობის საექსპორტო დარგების ხელშეწყობის სტრატეგია შეიძლება იყოს საგადასახადო სისტემის სრულყოფა და თავისუფალი ეკონომიკური ზონები. ამ საგადასახადო თუ სხვა შეღავათებმა შეიძლება უფრო მეტი უპირატესობა მოიტანოს ვიდრე, რომელიმე დარგის სუბსიდირებამ.

საქართველოს მომავალი საერთაშორისო სპეციალიზაცია, რათა დაეყრდნოს მხოლოდ შერჩეულ საქონელთა ჯგუფებს უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს და გაანალიზდეს მსოფლიო ვაჭრობის მიმართულებები და განვითარების ტენდენციები, შეედაროს ისინი საქართველოს რესურსებსა და პროდუქციის წარმოების პოტენციურ შესაძლებლობებს და მხოლოდ შემდეგ უნდა დაიწყოს ექსპორტის ხელშეწყობის შესაბამისი პოლიტიკის გატარება.

გრძელვადიანი საექსპორტო სტრატეგიის შესამუშავებლად საჭიროა საქართველოს მთავრობამ განიოს ხარჯები (საკუთარი

რათა მომავალში შეიქმნას გრძელვადიანი საექსპორტო სტრატეგია პირველყოვლისა აუცილებელი ხდება ფუნდამენტალური შესწავლა იმ დარგებისა, მაინც რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს პრიორიტეტულად ითვლებოდა, რადგან მაშინდელ საქართველოს რესპუბლიკას საბჭოთა სივრცეში სულ სხვა მდგომარეობა ეკავა,

დღესდღეობით მთავრობის ექსპორტის ყველაზე კარგი დახმარება იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა

ვიდრე მსოფლიო სისტემაში. საბჭოთა კავშირის დროს საქართველო წარმოდგენილი იყო, როგორც „სამხრეთული“ ქვეყანა, სადაც ინარმოებოდა ისეთი სუბტროპიკული ხილი თუ სხვა პროდუქტები, როლის წარმოება სხვა რესპუბლიკებში არ ხდებოდა. დღესდღეობით კი საქართველოს სულ სხვა მისია აკისრია და მისი სტრატეგიაც უნდა შეიცვალოს. ის წარმოადგენს აბრეშუმის გზის ერთ-ერთ დამაკავშირებელ რგოლს (რომელზეც წინ გვექონდა საუბარი).

ზემოთ ნახსენები ფუნდამენტალური ანალიზის ჩასატარებლად შესაძლებელია და კარგი იქნება შეიქმნას „საექსპორტო პრიორიტეტების კვლევის ინსტიტუტი“.

დღესდღეობით მთავრობის ექსპორტის ყველაზე კარგი დახმარება იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა. რადგან ამჟამად საქართველოში გამოიყოფა ინფრასტრუქტურისა და მომსახურების პრიორიტეტი. ამასთან, მისი გაუმჯობესება ხელს უწყობს ნებისმიერი დარგის განვითარებას.

ამისათვის, საჭირო ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული ინფრასტრუქტურის დასავლური სტანდარტებისადმი მიახლოება (საავტო-მობილო, სარკინიგზო გზები და სხვა). ხოლო, რომლის განვითარების საშუალებაც

მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს დარგების ფუნდამენტალურ შესწავლას, რათა განისაზღვროს პრიორიტეტები.

სახსრებით ან უცხოეთიდან მოზიდული გრანტებითა და შეღავათიანი კრედიტებით) იმ დარგების ფუნდამენტალური ანალიზისათვის, რომლებსაც დღესდღეობით ამა თუ იმ სფეროს წარმომადგენლების მიერ მიჩნეულია პრიორიტეტულად. ეს კი უნდა ხდებოდეს დარგში არსებული მდგომარეობის შედარებით ძველთან, თურა შეიცვლა და რამდენად ასევე აუცილებელია მოხდეს შედარება ამ დარგის პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნისა საქართველოსთან.

ამჟამად საქართველოში არ არსებობს დარგის ფუნდამენტალურ გამოკვლევაზე დაყრდნობილი ანალიზი და ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები უფრო მეტად ინტუიციურია.

სახელმწიფოს არა აქვს, უნდა მოხდეს მისი პრივატიზება (მაგალითად, თელასის გაყიდვა), რათა კერძო ინვესტიციებმა შეასრულონ ეს სამუშაოები.

ექსპორტის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ახალ უცხოურ ინვესტიციებს ენიჭება. ახალი უცხოელი ინვესტორები არა მხოლოდ ახალ მონეობილობებსა და ტექნოლოგიებს ჩამოიტანენ, არამედ ახალ კონკურენტუნარიან პროდუქციასაც შეიმუშავენ, ქართველ პარტნიორებს მართვის „ნოუ-ჰაუს“ გადასცემენ და უცხოეთის ბაზრებზე გასასვლელს უზრუნველყოფენ.

სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება ის

ხელსაყრელი ფაქტორია, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული საექსპორტო სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ამის მიუხედავად, უფრო შორეულ პერსპექტივაში აუცილებელი გახდება უფრო კვალიფიცირებული კადრების მომზადება. დამოუკიდებელმა საქართველომ მეცნიერულად კარგად განათლებული შრომითი რესურსები მიიღო მემკვიდრეობაში, რომლებსაც, მეორეს მხრივ აკლიათ ცოდნა ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, არსებობს თანამედროვე ექსპორტიორების მომზადების გადაუდებელი აუცილებლობა. უნდა ყოველმხრივ ხელი შეეწყოს ბიზნესის მართვის სფეროში ოფიციალური განათლებისა და პრაქტიკული ექსპორტის საკითხებში კადრების მომზადების ორგანიზებას. ეს საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის ორგანიზაციის პრიორიტეტად უნდა იქცეს.

მენარმეთა აზრით შეზღუდული მოთხოვნისა და ფასების პირობებში ეკონომიკურად სუსტი საქართველოს წარმოების ხარჯები აღემატება საბაზრო ფასებს და აქედან გამომდინარე მენარმეობაც არამომგებიანი ხდება. ამჟამინდელი ჩამორჩენილი ტექნიკა—ტექნოლოგიების, დაბალი მუშათა კვალიფიკაციის, სუსტი მენეჯმენტის, მწირი ფინანსური რესურსების პირობებში სამამულო პროდუქციის გაძვირება, ანუ მაღალი საბაზრო ფასები ადგილობრივ მენარმეს მისცემს საშუალებას დაფაროს ხარჯები, მიიღოს მოგება და თანდათანობით ჩაებას საფასო კონკურენციაში. ამგვარი მიდგომა, მათი აზრით, უნდა იქნეს გამოყენებული არა ყველა დარგის, არამედ პრიორიტეტული მნიშვნელობის პროდუქციის მიმართ. მენარმეთა აზრით, ამგვარი პროტექციონისტული პოლიტიკით კონკურენცია კი არ შეიზღუდება სამამულო ბაზარზე, არამედ მასში ეროვნული მენარმეების ფართო ჩართვით კიდევ უფრო გაძლიერდება. რაც ჩვენს ეკონომიკას უფრო მეტ დინამიურობას მიანიჭებს.

მაგრამ აქ არსებობს შემდეგი პრობლემები:

◆ არ გაგვაჩნია ზუსტად განსაზღვრული დარგობრივი პრიორიტეტები. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი რომ საქართველოში დღეს არ ტარდება არანაირი სამრეწველო პოლიტიკა. ეკონომიკური რეფორმა ორიენტირს აკეთებს საბაზრო ძალების ამოქმედებაზე, პრივატიზაციაზე, უცხოურ ინვესტიციებსა და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ დარგობრივ სისტემაზე.

◆ ტარიფების მომატება ხელს შეუშლის საქართველოს მსო—ში განვითარებას.

◆ ტარიფების განაკვეთების ზრდამ მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიღოს ეფექტი, როცა კონკრეტული გათვლების საფუძველზე ნაჩვენებია

იქნება რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ადგილობრივი წარმოება სატარიფო პროტექციის გარეშე შეძლებს იმპორტთან კონკურენციას, ან ეფექტურობის იმ დონეს მიაღწევს, როცა საერთაშორისო ბაზარზე გახდება კონკურენტუნარიანი. ამ შემთხვევაშიც ზოგიერთ პრიორიტეტულ დარგში არამიზანშენონილად მიგვაჩნია მაღალი დამცავი ტარიფის შემოღება და ეკონომიკური სტიმულირების და მენარმეთა დახმარების სხვა მეთოდების გამოყენება.

◆ პროტექციონიზმი ქმნის არაეფექტური სანარმოებისათვის იდეალურ პირობებს, ხელს უშლის მწარმოებლურობის ზრდას, ზიანს აყენებს მომხმარებელთა ინტერესებს, აძვირებს საქონელს, ქმნის მძლავრი ლობისტური დაჯგუფების ჩამოყალიბების საშუალებას, რომლებიც მომავალში არ დაუშვებენ ტარიფების შემცირებას.

◆ მაღალი სატარიფო განაკვეთების შემოღება დამატებით პრობლემებს შეუქმნის ხელისუფლებას მოლაპარაკებების დროს მოითხოვოს საგარეო ვაჭრობის შეღავათიანი პირობები პარტნიორი ქვეყნებისაგან.

◆ საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ ქვეყნის მომავალი დამოკიდებული იქნება მის საგარეო-სავაჭრო პოზიციებზე. თუ ორიენტირს იმპორტის შეცვლაზე გავაკეთებთ, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ასეთი სანარმოები მაინც მოითხოვენ უცხოურ დანადგარებსა და ნედლეულს, ანუ იმპორტი გარდაუვალია და თუ ექსპორტი არ გვექნა, იმპორტი მაინც გვექნება და აქედან გამომდინარე, საგარეო ვაჭრობის საღდო მაინც უარყოფითი იქნება. ამიტომაც ექსპორტისა და რა თქმა უნდა, იმპორტის მოცულობის ზრდა ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობაა. დღეს საქართველოს ეკონომიკას აუცილებლად სჭირდება თანამედროვე უცხოური მანქანა-დანადგარებისა და ნახევარფაბრიკატების იმპორტი საკუთარი წარმოებისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, თანაც თუ ექსპორტი არ გვექნა ვერც, საციცოცხლოდ აუცილებელი საიმპორტო საქონელის (მაგალითად: ნავთობპროდუქტები, ხორბალი) შემოტანას დავაფინანსებთ და ვერც საგარეო ვალებს დავფარავთ*.

უკვე იქნა აღნიშნული პრიორიტეტული დარგების დახმარების იდეის მიზანშენონილობა, მაგრამ ამის გასაკეთებლად პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ ასეთი დარგების ნუსხა. დღეს საქართველოში დარგობრივი პრიორიტეტების არჩევისას, ჩვენი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ კრიტერიუმებზე, როგორებიცაა:

- 1. ენერგო და მასალა ტევადობის შემცირება;
- 2. საექსპორტო პოტენციალის გაფართოება;

* საქართველოს საგარეო ვაჭრობა, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, თბ., 1998

3. შიდა ბაზრის მოთხოვნილებათა შეფასება;

4. მოცემული დარგის გავლენა მეურნეობის სხვა სფეროებზე ანუ კლასტერიზაცია.

მოცემული კრიტერიუმების ჩამონათვალი და თითოეული მათგანის მნიშვნელობა ყველა ქვეყნისათვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია ობიექტურ და სუბიექტურ მომენტებზე. პრიორიტეტების განსაზღვრის პრობლემა მთელი სიმწვავეით დგას საქართველოს ხელისუფლების წინაშე. სამთავრობო სტრუქტურები პრიორიტეტულ დარგებად ასახელებენ სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, მომსახურებას. ეს ისედაც ნათელია. აუცილებელია უფრო მეტი კონკრეტიზაცია ქვედარგების მიხედვით, ამისთვის კი საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის ყველა სფეროს, დღევანდელი მდგომარეობისა, არსებული პოტენციალის და მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებების ყურადღებით შესწავლა. ზემოთ ხსენებული კრიტერიუმების საფუძველზე პრიორიტეტების გამოვლენით მთავრობამ შეიძლება წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელი დარგის განვითარება არის ყველაზე საჭირო და რაც მთავარია, ყველაზე პერსპექტიული და შესაბამისად გაატაროს მისი მხარდამჭერი სამრეწველო პოლიტიკა. ასეთი ხელშეწყობის ერთ-ერთ გზას კი წარმოადგენს სუბსიდირება. დღეს საქართველოში ადგილი აქვს მეჩაიობის წარმოების სუბსიდირებას პირდაპირი სუბსიდირების სახით. დაგეგმილია შეღავათიანი კრედიტების გაცემაც. ეს პროცესი უახლოესს მომავალში უნდა გაგრძელდეს, რადგან ტექნოლოგიების უქონლობის, გასაღების ბაზრების დაკარგვისა და მაღალ პროცენტიათი კრედიტების პერიოდში სუბსიდირება იქცა სოფლის მეურნეობის დახმარების ეფექტური იარაღად.

საქართველო პატარა ქვეყანაა, ამიტომ ექსპორტის სერიოზული გაფართოების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. თუ საქართველო აქტიურად არ ჩაება მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში არავითარი ეკონომიკური პროგრესი არ მოხდება. თუ საგარეო ბაზრებზე გვსურს გასვლა უნდა გავითვალისწინოთ ამ მიმართებით ჩვენი უარყოფითი და დადებითი მომენტები: კერძოდ,

- საქართველოს არ გააჩნია კაპიტალი,
- მენარმეთა ფენა ძალიან სუსტია,
- არ გვაქვს ინფორმაცია მსოფლიო ბაზრის კონიუქტურაზე,
- ძალიან დაბალია მენეჯმენტის და მარკეტინგის ცოდნის დონე,
- ძალიან სუსტია უცხოელ სავაჭრო პარტნიორებთან კავშირები,
- უცხოურ ბაზრებზე გასასვლელი არხები შეუსწავლელია,
- ჩვენს სავაჭრო მარკებს არავინ იცნობს,
- ძალზე ძლიერია ბიუროკრატიული აპარატი.

მეორეს მხრივ, საქართველოში სერიოზული ტექნიკური და ინჟინერული კადრები არსებობენ, არსებობს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშა-ხელი, გაგვაჩნია საუკეთესო გოგრაფიული მდგომარეობა, რაც იმას გვაფიქრებინებს რომ უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და საგარეო ბაზრების უკეთესი შესწავლის პირობებში შესაძლებელია მსოფლიო ბაზრებზე გასვლა და ექსპორტის გაფართოება.

საგარეო ვაჭრობის წინაშე არაერთი სერიოზული პრობლემა დგას, რომელთა გადასაჭრელად სასწრაფო ზომებია მისაღები, რათა შემდგომში უფრო მწვავე სირთულეების წინაშე არ აღმოვჩნდეთ. საჭიროა შემუშავებული იქნას ისეთი სტრატეგია, რომელიც ხელს შეუშლის იმპორტის კატასტროფული ტემპებით ზრდას და ხელს შეუწყობს ექსპორტის გაფართოებას. ამ მხრივ ადგილობრივი წარმოების განვითარება უპირველეს პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს და თანაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ დარგებს, რომლებთაც შეუძლიათ სერიოზული საექსპორტო შემოსავლები მოუტანონ ქვეყანას მომავალში. ასევე საჭიროა გამოვლინდეს ახალი საექსპორტო პროდუქციის სახეები. მეტი ყურადღება დაეთმოს პროდუქციის ხარისხს, როგორც ექსპორტის გაფართოების უპირველეს გარანტი. საჭიროა გამოვლენილ იქნას და შესაბამისი პროპაგანდა გავუკეთოდ ქართული პროდუქციის განსაკუთრებულ თვისებებს (ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტისას აქცენტი შეიძლება გაკეთებულ იქნას მის ეკოლოგიურ სისუფთავეზე. ქიმიური სასუქების მიმართ უნდობლობამ შეიძლება გარკვეული პერსპექტივები შეუქმნას ეკოლოგიურ სოფლის მეურნეობას. თურქეთი უკვე ყიდის საქართველოში თავის არაეკოლოგიურ კარტოფილს, თუმცა, საქართველოსაგან ეკოლოგიურ კარტოფილს ყიდულობს). ყველაფერ ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გონივრული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში საქართველოს გააჩნია რეალური შანსი აქტიურად ჩაერთოს მსოფლიოს ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ასევე იმპორტ შემცველი სტრატეგია. თუკი საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ნუსხას გადავხედავთ, ჩანს, რომ ბევრი მათგანი იმ საქონელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა წარმოებაც (რძე, კარაქი, ცხიმები და სხვა) ადგილობრივად შეიძლება და თანაც უკეთესი ხარისხით.

აღნიშნული პროდუქციის წარმოების გაფართოებით შესაძლებელია მიღწეულ იქნას მათზე ადგილობრივი მოთხოვნის ნაწილობრივი დაკმაყოფილება და შესაბამისად იმპორტის

შეზღუდვა.

იმისათვის, რომ საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო თანამეგობრობაში და გახდეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი შემადგენელი უჯრედი, საჭიროა უკვე დღევანდელ ეტაპზე დაისახოს განსაზღვრული სტრატეგია, რომლის მიზანმიმართული შესრულების შედეგად მიღწეულ იქნება ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. უპირველესი საკითხი, რომელიც ამ შემთხვევაში წამოიჭრება არის საქართველოს ეკონომიკის სწორი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი განვითარების მიმართულებების და საშუალებების განსაზღვრა. მომგებიანი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისადმი მხარის აბმით. საქართველოს ეკონომიკას ორიენტაცია უნდა ჰქონდეს ალბულის ისეთ დარგებზე, რომლებიც ნაკლებ ფიზიკურ რესურსებს და მეტ ტექნიკა და მეცნიერტევად რესურსებს მოითხოვენ. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა განსაზღვრულ იქნეს გრძელვადიანი და მოკლევადიანი პრიორიტეტები. როდესაც მოკლევადიან პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ აქ პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის დარგები, რომლებიც ადრეულ წარსულში საქართველოს ეკონომიკის მსხვილ შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნ და რომელთა ექსპორტირებასაც ქვეყანა აწარმოებდა. კერძოდ ეს დარგებია ჩაის წარმოება, ღვინო და ღვინომასალები, ციტრუსები და სხვა. გრძელვადიან ჭრილში აუცილებელია, რომ ეკონომიკამ გეზი აიღოს უფრო პროგრესულ დარგებზე და თანდათანობით, ეტაპობრივად მოხდეს უარის თქმა ზემოთ ჩამოთვლილ სოფლის მეურნეობის დარგებზე. ვინაიდან აგრარული ქვეყანა და განვითარებადი ქვეყანა დღევანდელ მსოფლიოში ასოცირდება ერთმანეთთან. გრძელვადიანი პრიორიტეტული დარგების განვითარების კვალობაზე თანდათანობით მოხდება ზემოთჩამოთვლილი შედარებით არამომგებიანი დარგების შეზღუდვა და რესურსების ახალ მომგებიან დარგებში გადაადინება ანუ ქვეყნის ეკონომიკის გადაორიენტირება, რაც შედარებით უმტიკვენულოდ განხორციელდება. როდესაც პრიორიტეტებზე ვსაუბრობთ, ამოსავალი წერტილი მათი განვითარებისათვის იქნება სანყის ეტაპებზე არსებული სირთულეების მაქსიმალურად შემსუბუქება და მუდმივი სახელმწიფო მხარდაჭერა და ზრუნვა. მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციებიდან გამომდინარე

აქცენტი უნდა იქნეს გადატანილი ახალ დარგებზე, რომლებიც საქართველოში ჯერ-ჯერობით არ ფუნქციონირებენ და არსებულ ზოგიერთ დარგზე ახალი დარგებიდან ყველაზე მეტი მოთხოვნით მსოფლიო ბაზარზე სარგებლობს კომპიუტერული მომსახურება, კერძოდ პროგრამული მომსახურება, მონაცემთა დამუშავება და მათთან დაკავშირებული ტექნიკური და საკონსულტაციო მომსახურება. აღნიშნული დარგის განსავითარებლად საქართველოს ყველაწიერი პირობა გააჩნია. ამასთან კომპიუტერული მომსახურება სპეციფიკური ხასიათის დარგია, რაც გამოიხატება მისი არნახული ტემპებით პროგრესირებაში. ამ დარგს დიდი ხნის ისტორია არ გააჩნია და შესაბამისად მისი შესწავლა დიდ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული. ხოლო გამოცდილება ამ დარგში არ შეიძლება ჩაითვალოს უპირატესობად, ვინაიდან აქ ყველაფერს წყვეტს რაციონლიზატორული საქმიანობა და სიახლეთა დანერგვის უნარი, რის საფუძველსაც გამჭრიახი გონებისა და დიდი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები წარმოადგენენ. კომპიუტერული მომსახურების დარგის განვითარებას საქართველოში არ დასჭირდება დიდი სახსრები, ვინაიდან ამისათვის არ არის საჭირო გრანდიოზული მშენებლობების ან თუნდაც გეგმების შექმნა. აღნიშნული დარგის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მოითხოვს შედარებით მცირე დანახარჯებს, მაშინ როდესაც შემოსავალი მისგან მნიშვნელოვანი იქნება. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ეს დარგები მთლიანად საზღვარგარეთის ბაზრებზე იქნება მიმართული, ადვილი მისახვედრია, რომ შემოსავალი ძირითადად უცხოურ ვალუტაში იქნება.

კომპიუტერული მომსახურება ერთი კომპონენტი უნდა გახდეს ქვეყნის მომავალი დარგობრივი სტრუქტურისა სხვა მსგავსს, ახალ მეცნიერტევად დარგებთან ერთად. რაც შეეხება უკვე არსებული, ტრადიციული დარგების განვითარებას, აქ სტრატეგია შემდეგნაირი უნდა იყოს: საჭიროა თითოეული დარგის შიგნით ამორჩეულ იქნას წარმოების განსაზღვრული ვიწრო სფერო, საჭიროა აღმოჩენილ იქნას ნიშა თითოეული დარგის შიგნით, რომლითაც საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას შეძლებს და ქვეყანას დამატებით სავალუტო შემოსავლებს მოუტანს. თითოეული დარგის შიგნით გარკვეული ნიშის მოძებნა და მასზე ორიენტაციის აღება უნდა გახდეს ამოსავალი წერტილი ზოგადი ეკონომიკური სტრატეგიისა.

ექსპორტის გაფართოვებისთვის შექმნილია გარკვეული ხელშემწყობი პირობები კერძოდ თავად ექსპორტი და მის დასამზადებლად გამიზნული ნედლეული და ნახევარფაბრიკატები

* საქართველოს საგარეო ვაჭრობა, სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი №14 , თბ., 1998

განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან და იბეგრება დღგ-ს ნულოვანი განაკვეთით. ამასთან ერთად ექსპორტი განთავისებულია სააქციზო გადასახადისაგან. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის მკვეთრ ზრდას.

დღეს საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციები უშვებენ სხვადასხვა სახის ბიულეტენებს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. საჭიროა ქვეყნის პოტენციურად კონკურენტუნარიანი დარგების და პროექტების შესახებ ცალკეული ბროშურების შედგენა და საელჩოების მეშვეობით უცხოურ სამეწარმეო წრეებში გავრცელება.

ჩვენი აზრით სახელმწიფო სტრუქტურებისა და დანერგებულების საქმიანობა ისე უნდა იყოს მონყობილი, რომ ერთის მხრივ ნაკლებად ჩაერიონ უშუალოდ სამეწარმეო საქმიანობაში და მეორეს მხრივ, შესაფერისი საკანონმდებლი ბაზის შექმნით, საკონსულტაციო საქმიანობით, უცხოური ბაზრების ათვისებაში აქტიური

დახმარებით, ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით, უცხოელი პარტნიორების მოზიდვით ხელი შეუწყოს მწარმეებს ახალი ბაზრების ათვისებასა და ახალი სავაჭრო კონტაქტების დამყარებაში. სახელმწიფო სტრუქტურების ამოცანას საგარეო ვაჭრობისა და უცხოეთთან კონტაქტების გაფართოების მაქსიმალური ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს და არალიცენზირების დარიგება და სხვა ხელშემშლელი მარეგულირებელი ნორმების შემოღება. ეს უკანასკნელი ხომ საბოლოო ჯამში კორუფციასთან და ბიუროკრატიულ წინააღმდეგობებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც საგარეო ვაჭრობის მაქსიმალური ხელშეწყობისთვის საჭიროა პირველ რიგში არსებული კანონმდებლობის სრულყოფა, საგარეო ვაჭრობის სფეროში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, სახელმწიფო სტრუქტურებში ანაზღაურების დონის ზრდა და კორუფციის ხარისხის მკვეთრი შემცირება.

ცხრილი №2

საქართველოს 10 ძირითადი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფი

1996	მონ. აშშ დოლარი	%	1997	მონ. აშშ დოლარი	%	1998 წელი	მონ. აშშ დოლარი	%
ექსპორტი, სულ	198,8	100	ექსპორტი, სულ	230,1	100	ექსპორტი, სულ	194,0	100
მათ შორის:			მათ შორის:			მათ შორის:		
ნავთობი	17,4	8,8	ელექტროენერჯია	22,6	9,8	ფეროშენადნობები	22,3	11,5
ჩაი	16,8	8,5	მბრუნავი წილები	17,6	7,6	ფუძის ღვინო ნატურალური	15,1	7,8
ფოლადის პროდუქცია	15,7	7,9	ფოლადის პროდუქცია	17,6	7,6	აზოტოვანი მბრუნავი ან ქაშური სასუქები	10,7	5,5
სპილენძის კონცენტრატი	13,4	6,7	ფეროშენადნობი	15,5	6,7	ელექტროენერჯია	9,8	5,1
ელექტროენერჯია	13,1	6,6	ნავთობპროდუქტები	14,4	6,3	კაქალი ახალი ან გამზარი	9,5	4,9
სასუქები	11,9	6	ჩაი	13,9	6	ნავთობი და ნავთობპროდუქტები	9,4	4,9
დაბეჭდილი წიგნები	10	5,1	სასუქები	13,8	6	ჩაი არაშეზღუდული ან არაარაშეზღუდული	8,8	4,5
ციტრუსები	8,2	4,1	ნავთობი	13,4	5,8	წილები ნატურალური, ხელოვნური, მბრუნავი, გზიანი შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერების გარეშე	7,1	3,6
ფეროშენადნობები	7,7	3,9	ღვინო	12,3	5,3	სამკურნალო საშუალებები	6,4	3,3
ნავთობპროდუქტები	6,7	3,4	თევზი და ფილაყი	9,3	4	წილი ნავთობი და ნავთობპროდუქტები	5,7	2,9
დანარჩენი პროდუქცია	77,9	39,2	დანარჩენი პროდუქცია	87,1	37,9	დანარჩენი პროდუქცია, სულ	89,3	46

წყარო: საქართველოს სტატისტიკის საბელაშოვი დეპარტამენტი.

ცხრილი №12

საქართველოს საქსპორტო პროდუქციის პოტენციალის სქემა

წინასწარი დასკვნები ვაჭრობის სამინისტროსათვის
 დაფუძნებული სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და Comtrade -ის
 სტატისტიკურ მონაცემებზე, ექსპორტორების გამოკითხვის შედეგებსა და ITC გამოთვლებზე (ექსპლდებარება და სკესები)

პოტენციალი	მეკავშირები			საშუალო და გრძელვადიანი (2000 წელი)	
	ქართული პროდუქტები	მიზნობრივი პროდუქტები	ბაზრები	ქართული პროდუქტები	მიზნობრივი პროდუქტები
დაბალი	ფოლადის მიწები სატრანსპორტო მოწყობილობები თუჯი და ფოლადი მარგანეცი	რუსეთის პროდუქტები მცირე მოცულობა რუსეთის პროდუქტები გოგირდის შემცველი მდებარეობა+სარისხი	დასთ არა დასთ დასთ არა დასთ დასთ	თავიანთი კონტაინერები ფოლადის პროდუქტები ჩაი გლუქტრო ძრავები სატრანსპორტო მოწყობილობები	ვაჭრობის პროდუქტები რუსეთის პროდუქტები დაბალი კონკრეტულად არაა პროდუქტები
საშუალო	სპილენძის კონცენტრატი ჩაი ხის დაბეჭდვა მარმარილო	უკრაინის ვაჭრობა სარისხის პროდუქტები დაბეჭდვის ნორმები ინფორმაციის დემონსტრაცია საგაბრილო ნიშნები მცირე მოცულობა ინფორმაციის სიმწირე მცირე მოცულობა ფასების მუყაობა სარისხობრივი მძიმე ფაქტორები	არა დასთ დასთ არა დასთ დასთ დასთ არა დასთ დასთ	ხის პროდუქტები ფერი და არაფერი შენადნობები სემინარეჟები ხილვისტენილი კომპლექსური ხილვისტენილი შეცვლილი F&V ხარისხის პროდ.	2 წლიანი შრომა 1 წლიანი შრომა მცირე საწარმოები მცირე საწარმოები შუბო მცირე საწარმოები
მაღალი	სასუქები რკინის შენადნობი ტანსაცმელი	ინფორმაციის სიმწირე ვაჭრობის აკრძალვა ქვემოთაღნიშნული	არა დასთ არა დასთ გერმანია	ნავთობის ტრანზიტები პოლიმერები გაფუძ. ხარისხის დენიონები მინერალური წყლები სასუქები ნავთობის პროდუქტები მაღალი ტექ. საქონელი	მაგისტრალი 10 წელი და მეტი 5 წელი 2 წელი 1 წელი მაგისტრალი ინვესტიციები

* ექსპორტის ხელშეწყობის სტრატეგია და პოლიტიკა, დეკლარაციის ანგარიში, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტრო, Tacis -ის ევროპის საქსპორტო სამსახური, 1998 წელი აპრილი

საქართველოს მიერ ეკონომიკურ სფეროში ხელმოწერილი შეთანხმებანი
საზღვარგარეთის ქვეყნებთან

შეთანხმების სახეობები	შეთანხმებები
შეთანხმებები თაგ. ვაჭრობაზე	1 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და უკრაინის მთაგ. შორის თბ., 19 იანვარი, 92 წ.
	2 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და რუსეთის ფედერაციის მთაგ. შორის. თბ., 3 თებ., 92 წ.
	3 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და უზბეკეთის რესპ. მთაგ. შორის. ტაშკენტი, 3 თებ., 95 წ.
	4 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და სომხეთის რესპ. მთაგ. შორის თბ., 14 აგვ., 95 წ.
	5 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და აზერბაიჯანის რესპ. მთაგ. შორის თბ., 8 მარტი, 96 წ.
	6 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და თურქმენეთის რესპ. მთაგ. შორის. თბ., 12 მარტი, 96 წ.
	7 თაგ. ვაჭრობაზე საქ. რეს. და უზბეკეთის რესპ. მთაგ. შორის თბ., 28 მაისი, 96 წ.
	8 დსთში თაგ. სავაჭრო ზონის შექმნის შეს. მოსკოვი, 15 მაისი, 93 წ.
შეთანხმებანი ინვესტიციის სფეროში	1 ინვესტ. გაზრდასთან დაკავშირებით საქ. რეს. და აშშ-ს მთაგ. შორის, 27 ივნ., 92 წ.
	2 საქ. რეს. და თურქეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 30 ივლ., 92 წ.
	3 საქ. რეს. და ჩინეთის სახალხო რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 1 მარტი, 95 წ.
	4 საქ. რეს. და ბულგარ-ლუქსემბურგის ეკონ. კავშირის შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 23 ივნ., 93 წ.
	5 საქ. რეს. და გერმანიის ფედერ. რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 25 ივნ., 93 წ.
	6 საქ. რეს. და აღანის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 9 ნოემბერი, 94 წ.
	7 საქ. რეს. და უკრაინის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 9 იანვარი, 95 წ.
	8 საქ. რეს. და ბულგარეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 19 იანვარი, 95 წ.
	9 საქ. რეს. და დიდი ბრიტანეთის მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 15 თებ., 95 წ.
	10 საქ. რეს. და ისრაელის მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 9 ივნ., 95 წ.
	11 საქ. რეს. და უზბეკეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 14 სექ., 92 წ.
	12 საქ. რეს. და ირანის ისლამური რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 26 სექ., 95 წ.
	13 საქ. რეს. და აზერბაიჯანის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 30 ივლ., 92 წ.
	14 საქ. რეს. და თურქმენეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 20 მარტი, 96 წ.
	15 საქ. რეს. და სომხეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 4 ივნ., 96 წ.
	16 საქ. რეს. და საფრანგეთის რესპ. მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 3 თებ., 1997 წ.
	17 საქ. რეს. და აშშ-ს მთაგ. შორის ინვესტ. გაზრდ. და ურთიერთდაც. შეს., 7 აპრილი, 94 წ.
ხელშეკრულებები ორმაგი დაბეგვრის თაგედან აცილებბაზე შემოსავალსა და სხვა საკუთრებზე ბეგვრის გათვალისწინებით	1 ხელშეკ. საქ. რეს. და უზბეკეთის რესპ. მთაგ. შორის ორმაგი დაბეგვრის თაგედან აცილებბისა და ფისკალური გადახრის ხელშეშლაზე ბეგვრის, საკუთრების და შემოსავლის გათვალისწინებით. 28 მაისი, 96 წ.
	2 ხელშეკ. საქ. რეს. და ირანის ისლამური რესპ. მთაგ. შორის ორმაგი დაბეგვრის თაგედან აცილებბისა და ფისკალური გადახრის ხელშეშლაზე ბეგვრის, საკუთრების და შემოსავლის გათვალისწინებით. 3 ნოემბერი, 96 წ.
	3 ხელშეკ. საქ. რეს. და უკრაინის მთაგ. შორის ორმაგი დაბეგვრის თაგედან აცილებბისა და ფისკალური გადახრის ხელშეშლაზე ბეგვრის, საკუთრების და შემოსავლის გათვალისწინებით. 14 თებ., 95 წ.
	4 ხელშეკ. საქ. რეს. და აზერბაიჯანის რესპ. მთაგ. შორის ორმაგი დაბეგვრის თაგედან აცილებბისა და ფისკალური გადახრის ხელშეშლაზე ბეგვრის, საკუთრების და შემოსავლის გათვალისწინებით. ბაქო, 18 თებ., 1997 წ.
	5 სსრკ-სა და საფრანგეთის რესპ. მთაგ. შორის ორმაგი დაბეგვრის აცილებბაზე. 4 ოქტომბერი, 1985 წ. (შეხანაბმისად - 3 თებ., 1997 წ.)
შეთანხმებები საგაჭრო-ეკონ. კოლოპერაციის შეს.	1 საგაჭრო ურთიერთობებზე საქ. რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის I აპრილი, 93 წ.
	2 საგაჭრო-ეკონ. შეთანხმება ჩინეთის სახალხო რეს. საქ. რესპ. მთაგ. შორის. 3 ივნ., 93 წ.
	3 ეკონ. კოლოპერაციასა და საგაჭრო ურთიერთობებზე პოლონეთის რეს. და საქ. რესპ. მთაგ. შორის. 29 აპრილი, 92 წ.
	4 საგაჭრო-ეკონ. და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობებზე ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფედერ. რეს. და საქ. რესპ. მთაგ. შორის. 20 მარტი, 92 წ.
	5 საგაჭრო-ეკონ. ურთიერთობებზე უნგრეთის რეს. და საქ. რესპ. მთაგ. შორის. 2 ნოემბერი, 92 წ.
	6 საქ. რეს. და ინდოეთის რესპ. მთაგ. შორის საგაჭრო და ეკონ. კოლოპერაციის შეს. თბ., 15 აგვ., 95 წ.
	7 საგაჭრო შეთანხმება საქ. რეს. და ირანის ისლამური რესპ. მთაგ. შორის. 20 იანვარი, 93 წ.
	8 საქ. რეს. და თურქეთის მთაგ. შორის ვაჭრობისა და ეკონ. კოლოპერაციის შეს. თბ., 30 ივლ., 92 წ.
	9 საქ. რეს. და უნგრეთის რესპ. მთაგ. შორის ვაჭრობისა და ეკონ. კავშირების, სამეცნიერო-ტექნიკური კოლოპერაციის შეს. 24 მარტი, 92 წ.
	10 საქ. რეს. და ბულგარეთი რესპ. მთაგ. შორის ვაჭრობისა და ეკონ. კოლოპერაციის შეს. 25 აგვ., 94 წ.
	11 საგაჭრო-ეკონ. შეთანხმება თურქმენეთის და საქ. რესპ. მთაგ. შორის. 17 აგვ., 93 წ.
	12 სატრანზიტო გადაზიდვების რეგულირების სფეროში უზბეკეთის რესპ., აზერბაიჯანის რეს., თურქმენეთისა და საქ. რესპუბლიკების მთავრობათა შორის. 13 მაისი, 96 წ.
	13 საგაჭრო და ეკონ. კოლოპერაციის პრინციპებზე საქ. რეს. და მოლდოვას რესპ. მთაგ. შორის. 92 წ.
	14 პროტოკოლი საქა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მთავრობათა შორის აზერბაიჯანის ნავთობის საქ. რესპუბლიკაზე ტრანსპორტირებისთან დაკავშირებით.
	15 საქა და აზერბაიჯანის შორის ნამდვილად არსებული ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლებლობის განვითარებისა და განახლებაზე, ნავთობის ტრანსპორტირების ახალ შესაძლებლობათა განვითარებისა და ტრანსპორტირების ამ საშუალებათა დახმარებით საქ. ტერიტორიის გარეთ. თბ., 8 მარტი, 96 წ.
	16 საქ. რეს. და აზერბაიჯანის რესპ. მთაგ. შორის საგაჭრო და ეკონ. კოლოპერაციის თათბაზე. 8 მარტი, 96 წ.
	17 საქ. რეს. და აღანის რესპ. მთაგ. შორის საგაჭრო და ეკონ. კოლოპერაციის შეს. ნოემბერი, 94 წ.
	18 საქ. რეს. და ავსტრიის რესპ. მთაგ. შორის საგაჭრო - ეკონ. კოლოპერაციის შეს. 24 მაისი, 94 წ.
	19 საქ. რეს. და რუსეთის ფედერაციის მთაგ. შორის საგაჭრო და ეკონ. კოლოპერაციის თათბაზე. 3 მაისი, 96 წ.
	20 დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეკონ. კავ. შექმნის შეს. 24 სექ., 93 წ.

ტრანსფერების პოლიტიკა

■ დავით ლომიძე

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა, სოციალურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, ნათლად დაგვანახა, თურა დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონალურ და ადგილობრივ ფინანსებს.

ქვეყნის რეგიონალური, ტერიტორიული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია საფინანსო ურთიერთობათა სრულყოფის გარეშე, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქვეყნის ცალკეული ტერიტორიებისა და რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრება.

ამიტომ, სწორედ ადგილობრივ ფინანსებს განსაკუთრებული როლი აკისრია ტერიტორიული ერთეულების რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებაში. აღნიშნული გამოსატულია ფინანსური რესურსებით დახმარების განვითარებით ტერიტორიული ერთეულებისათვის, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი პირობებითა და მდებარეობით, ან სხვა ობიექტურ მიზეზთა გამო ჩამორჩებიან ქვეყნის განვითარების მიღწეულ საშუალო დონეს. ამ დროს ცენტრალური მთავრობა მოვალეა საჭირო დახმარება გაუწიოს ასეთ რეგიონებს წინასწარ შედგენილი

მმართველობის უფრო მაღალ დონეებზე. მაგრამ ასეთმა პროცედურამ ან ზომებმა არ უნდა შეზღუდოს ის უფლებები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებას თავის გავლენის სფეროში აქვს“.

დღეს, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის პროცესები, პარლამენტის მიერ მიღებულია კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ და ასევე მიღების პროცესშია კანონი „ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ“. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის მიერ შესასრულებელი ფუნქციების უზრუნველსაყოფად საჭიროა მათ ჰქონდეთ სტაბილური და საკმარისი შემოსავალის წყარო. მათ შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსფერებს და მათ განაწილებას, როგორც ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების უთანაბრო ეკონომიკური და სოციალური განვითარების შედეგად წარმოქმნილი დისპროპორციის დაძლევისა და ერთიანი სოციალური პოლიტიკის გატარების მიზნით.

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ტრანსფერების სტრუქტურის ცვლილება ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ სისტემაზე. ტრანსფერების მოცულობის ზრდა ინვესწმინდა გადასახადების შემცირებასა და ზრდის მოხმარებას. როგორც წესი, წმინდა გადასახადების შემცირებას უფრო მცირე მულტიპლიკატურ ეფექტს იძლევა, ვიდრე მისი ტოლი აბსოლუტურ მაჩვენებელში გეგმიური ინვესტიციები და ხარჯები.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის პროცესი, ადგილობრივ ფინანსებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ტერიტორიული ერთეულების რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებაში

პროგრამების ფარგლებში.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები ევროსტრუქტურებში და თუ ჩვენ გადავხედავთ ევროპაში აღიარებულ „ევროპული ქარტია ადგილობრივ თვითმმართველობას“ (პრეამბულა, თავი 9, პუნქტი 5, სტრასბურგი, 15.10.1985), იქ ნათლად არის განსაზღვრული:

1998 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტერიტორიულ ერთეულებზე გადარიცხული ტრანსფერები შემცირდა 1,5-ჯერ და შეადგინა 29 720,4 ათასი ლარი, ხოლო გეგმასთან შედარებით შესრულდა 61,6 პროცენტით

„ფინანსურად უფრო სუსტი ადგილობრივი ხელისუფლების დაცვა მოითხოვს ფინანსური განონასწორების პროცედურის შემუშავებას ან გათანაბრების სპეციალური ზომების მიღებას

ამ თვალსაზრისით, თუ ვიმსჯელებთ 1998 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტერიტორიულ ერთეულებზე გადარიცხული ტრანსფერები შემცირდა 1,5 ჯერ და შეადგინა 29 720,4 ათასი

ლარი (იხ. ცხრილი №1). აღნიშნული არა გამართლებული ნაბიჯია დღევანდელ ეტაპზე მიმდინარესოციალურ-ეკონომიკური დეცენტრალიზაციის პირობებში, მაგრამ ეს უმთავრესად წლის განმავლობაში არსებული საბიუჯეტო-საგადასახადო კრიზისს უნდა მივაწეროთ.

ამ მხრივ მეტად საინტერესოა, თუ რა იყო დაგეგმილი ტრანსფერების განაწილებისას და როგორ შესრულდა ტერიტორიულ ერთეულებზე გადასაცემი ტრანსფერი ცალკეული მხარეების მიხედვით. კანონის „საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ მუხლი მე-5 თანახმად: დამტკიცდა საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერტები 1998 წლისათვის სულ 48 260 ათასი ლარის ოდენობით, (იხ. ცხრილი №2) აქედან, 14 340 ათასი ლარი უმწეო ოჯახების დასახმარებლად. ტრანსფერების საერთო მოცულობიდან განისაზღვრა:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის - მიზნობრივი ტრანსფერი 4.820 ათასი ლარის ოდენობით;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის - მიზნობრივი ტრანსფერი 4.077 ათასი ლარის ოდენობით;

მოდით განვიხილოთ და გავაანალიზოთ ტრანსფერების შესრულების მაჩვენებლები თითოეული მხარის მიხედვით:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, როგორც ზემოთ აღნიშნეთ 1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა განესაზღვრა 4 820 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №1). აქედან სპეც. ტრანსფერი - 1 051 ათასი ლარი, მათ შორის 500 ათასი ლარი - აფხაზეთში გენოციდის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარებისათვის, 350 ათასი ლარი - კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის პირველადი მოხმარების საქონლისა და სურსათის შესაძენად, 81 ათასი ლარი - კოდორის ხეობაში აღდგენითი სამუშაოებისათვის და 120 ათასი ლარი - კოდორის ხეობის მიმართულელებით ავიარეისების სუბსიდირებისათვის.

ამავე წელს აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მიიღო სულ ტრანსფერის სახით 4 081 ათასი ლარი ანუ გეგმის 84,7%. მათ შორის სპეც. ტრანსფერი შესრულდა 81,7%-ით და შეადგინა 859 ათასი ლარი. თუ შევადარებთ 1998 წელს წინა წელს მიღებულ საერთო ტრანსფერის მოცულობას, მაჩვენებელი 1,5-ჯერ არის გაზრდილი, რაც კარგ მომენტად შეიძლება ჩაითვალოს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა გამოეყოს 4 077 ათასი ლარის მოცულობის ტრანსფერი. აქედან სპეც. ტრანსფერით - 400 ათასი ლარი მათ შორის 300 ათასი ლარი - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შავი ზღვის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის და 100 ათასი ლარი - თბილისი-ბათუმის ავიარეისების სუბსიდირებისათვის. ფაქტიურად გეგმა 100%-ით შესრულდა (იხ. ცხრილი №1). თუ გავითვალისწინებთ, რომ გადარიცხული ტრანსფერებიდან ჩაეთვალა (ტრანსფერში) 2 911 ათასი ლარი. მათ შორის: ტრანსფერში - 1493 ათასი ლარი, სოციალურ (ოჯახური) ღონისძიებების დაფინანსებაში - 1 018 ათასი ლარი და სპეც. ღონისძიებების დაფინანსებაში - 400 ათასი ლარი. 1998 წელს მიღებული საერთო ტრანსფერი წინა წლის იგივე მაჩვენებლის 63%-ს შეადგენს.

თბილისი

რაც შეეხება საქართველოს დედაქალაქს 1996 წელს საერთოდ არ მიუღია ტრანსფერი, ხოლო 1998 წელს დაგეგმილი იყო 4 454 ათასი ლარი, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 3-ჯერ. მათ შორის სპეც. ტრანსფერზე დაიგეგმა - 950 ათასი ლარი, ქ. თბილისში მწვავე ავარიული საბინაო ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის. წინა წლის მაჩვენებელი შესრულდა 24,6%-ით და შეადგინა 1 095 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1), მათ შორის სპეც. ტრანსფერში ჩაეთვალა 70 ათასი ლარი.

კახეთის მხარე

კახეთის მხარეში 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 3 520 ათასი ლარის მოცულობის ტრანსფერის მიღება (რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 1,6-ჯერ). მათ შორის განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის - 1 490 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №2), აქედან 50 ათასი - თელავის რაიონის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დაფინანსებისათვის. ხოლო სპეც. ტრანსფერში კახეთის მხარისათვის გათვალისწინებული იყო 563 ათასი ლარი. აქედან:


230 ათასი ლარი, მათ შორის - 100 ათასი ლარი - ახმეტის რაიონის პანკისის ხეობის მდინარეების (ალაზანი, ილტო) ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, 50 ათასი ლარი - მოსახლეობის წყალმომარაგების რეაბილიტაციისათვის, 50 ათასი ლარი - კულტურის სახლის კაპიტალური შეკეთებისათვის და 30 ათასი ლარი ომალოს მიმართულელებით ავიარეისების სუბსიდირებისათვის;

100 ათასი ლარი, გურჯაანის რაიონში წყალსადენის რეკონსტრუქციისათვის;

53 ათასი ლარი, მათ შორის 50 ათასი ლარი ქ.

საგარეჯოს წყალსადენის შიდა ქსელის რეკონსტრუქციისათვის და 3 ათასი ლარი საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძელის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის;

დიაგრამა №1




180 ათასი ლარი, ყვარელის რაიონში მდინარე დურუჯის კალაპოტის განმენდის სამუშაოებისათვის.

1998 წელს მხარეში მისაღები საერთო ტრანსფერტის შესრულების მაჩვენებელი იყო 59,1% და შეადგინა 2 081 ათასი ლარი. აღნიშნულ მხარეში მისაღები ტრანსფერტის შესრულების ყველაზე დიდი მაჩვენებელი ჰქონდათ: ლაგოდეხს (100%-ით) და თელავს (78,5%-ით). ასევე ამ ორ რაიონს, უმთავრესად, წინა წელთან შედარებით გაეზარდათ საერთო ტრანსფერტის მოცულობა (იხ. დიაგრამა №1).

იმერეთის მხარე

1998 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმერეთის მხარისათვის გათვალისწინებული იყო მთლიანი ტრანსფერი 9 508 ათასი ლარის ოდენობით. საიდანაც განათლების ღონისძიებათა

დიაგრამა №2



დაფინანსებისათვის დაგეგმილი იყო 5 847 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №2). მათ შორის:

400 ათასი ლარი - ქ. ქუთაისის ავ. ნერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 400 ათასი ლარი - ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის, 50 ათასი

ლარი - ქ. ქუთაისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატისა და 30 ათასი ლარი - გუმათის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დაფინანსებისათვის;

ასევე 40 ათასი ლარი - ქ. ჭიათურის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დასაფინანსებლად.

ხოლო სპეც. ტრანსფერტით გათვალისწინებული იყო 1030 ათასი ლარის გამოყოფა. აქედან:

120 ათასი ლარი, ჭიათურის ზონაში მინისძვრის დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის;

60 ათასი ლარი, ტყიბულის ზონაში განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;

50 ათასი ლარი, ბაღდათის რაიონში კულტურის სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;

100 ათასი ლარი, ზესტაფონის რაიონში სოფელ სვირის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთებისათვის;

50 ათასი ლარი, თერჯოლის რაიონში სოციალური სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;

290 ათასი ლარი, მათ შორის 190 ათასი ლარი - სამტრედიის რაიონში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, 60 ათასი ლარი - საომარი მოქმედების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის და 40 ათასი ლარი წყალსადენის რეკონსტრუქციისათვის;

260 ათასი ლარი, მათ შორის 160 ათასი ლარი - საჩხერის რაიონში მინისძვრის დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის და 100 ათასი ლარი - განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;

100 ათასი ლარი, ხონის რაიონში წყალსადენის მშენებლობისათვის.

ცენტრალური ბიუჯეტიდან იმერეთის მხარის ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერტის მოცულობა შესრულდა 60,3%-ით და შეადგინა 5 732 ათასი ლარი (იხ. დიაგრამა №2). აქედან ტრანსფერტში ჩაეთვალათ: ვანს - 50 ათასი ლარი, ოჯახურ დახმარებებში სამტრედიას - 100 ათასი ლარი, სპეც. ტრანსფერტში თერჯოლას - 25 ათასი ლარი, ტყიბულს - 140 ათასი ლარი საბანკო კრედიტში.

მხარეში მთლიანი ტრანსფერტის მაჩვენებლის შესრულების ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი ჰქონდათ: ქ. ჭიათურას - 96,6%-ი, ვანს - 84,6%-ი, ხოლო ყველაზე სავალალო მაჩვენებელი იყო ქ. ზესტაფონში - 6%-ი (იხ. ცხრილი №1).


სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან 1998 წელს დაგეგმილი იყო 6 137 ათასი ლარის მოცულობის ტრანსფერტის

გადაცემა (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა 2 968 ათასი ლარი. მათ შორის:

35 ათასი ლარი - მარტვილის რაიონის სალხინოს სანატორიული სკოლა-ინტერნატის დაფინანსებისათვის;

35 ათასი ლარი - წალენჯიხის რაიონის სანატორიული სკოლა-ინტერნატის დასაფინანსებლად.

დიაგრამა №3



ხოლო მხარეში სპეც. ტრანსფერისათვის დაიგეგმა 1740 ათასი ლარი. აქედან:

350 ათასი ლარი, ქ. ფოთში შავი ზღვის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის;

640 ათასი ლარი, მათ შორის 200 ათასი ლარი - ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონში (ახალი კახათი, დარჩელი, ხურჩა) საომარი მოქმედების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღსადგენად, 130 ათასი ლარი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, 90 ათასი ლარი - სახელმწიფო თეატრის შენობის, 80 ათასი ლარი - დადიანის სასახლის კაპიტალური შეკეთებისათვის, 80 ათასი ლარი - ზუგდიდის ანაკლიის გზის მშენებლობისათვის და 60 ათასი ლარი - ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის;

60 ათასი ლარი, მათ შორის 30 ათასი ლარი - აბაშის რაიონში საომარი მოქმედების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების და 30 ათასი ლარი - ხანძრის შედეგად დაზიანებული სოციალური სფეროს ობიექტების აღდგენისათვის;

70 ათასი ლარი, მათ შორის 60 ათასი ლარი - მარტვილის რაიონში საომარი მოქმედების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის და 10 ათასი ლარი - მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კაპიტალური შეკეთებისათვის;

10 ათასი ლარი, მესტიის რაიონში სოფელ ქუბერის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთებისათვის;

240 ათასი ლარი, მათ შორის 100 ათასი ლარი - სენაკის რაიონში მდინარე ტეხურაზე

(ძველი სენაკი - მეორე ნოსირის ტერიტორია) ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის, 70 ათასი ლარი - სახელმწიფო თეატრის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის და 70 ათასი ლარი - საომარი მოქმედების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის;

100 ათასი ლარი, მათ შორის 50 ათასი ლარი - ჩხორონყუს რაიონში ადმისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის და 50 ათასი ლარი - ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის;

240 ათასი ლარი, მათ შორის 120 ათასი ლარი - წალენჯიხის რაიონში საომარი მოქმედებების დროს დანგრეული ადმინისტრაციული და განათლების სფეროს ობიექტების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოებისათვის, 100 ათასი ლარი - წყალსადენის მშენებლობისათვის და 20 ათასი ლარი - საომარი მოქმედებების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის;

30 ათასი ლარი, მათ შორის 20 ათასი ლარი - ხობის რაიონში საომარი მოქმედებების დროს დანგრეული საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის და 10 ათასი ლარი - განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები საერთო ტრანსფერის მოცულობა 1998 წელს შესრულდა 58,4%-ით და შეადგინა 3 585 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1). ამ მხრივ მეტად ჩამორჩენა იყო ქ. ფოთზე - 11%, ხოლო ყველაზე მაღალი შესრულების მაჩვენებელი ჰქონდა: ჩხორონყუს - 91% და მესტიას - 72,5%.

რაც შეეხება მხარეში 1998 წლის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი წინა წლის შესაბამის მაჩვენებლის 98%-ს შეადგენს (იხ. დიაგრამა №3).

შიდა ქართლის მხარე

შიდა ქართლის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა კანონის მიხედვით განისაზღვრა 1826 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან სპეც. ტრანსფერზე მოდიოდა 110 ათასი ლარი. მათ შორის:

50 ათასი ლარი, გორის რაიონში სოციალური სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;


60 ათასი ლარი, მათ შორის 50 ათასი ლარი - კასპის რაიონში წყალსადენის სათავე ნაგებობის მშენებლობისათვის და 10 ათასი ლარი - ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის.

შიდა მხარის რაიონების მიერ 1998 წელს მისაღები ტრანსფერი შესრულდა 36%-ით და შეადგინა 671 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1). ამასთან გადარიცხული ტრანსფერიდან ჩაეთვალათ (ტრანსფერში): ოჯახურ დახმარებებში კასპს - 68 ათასი ლარი, ქარელს - 35

ათასი ლარი. ხოლო შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, ჰქონდა ხაშურს - 8,6%.

1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან შიდა ქართლის მხარეში მიღებული ტრანსფერის

დიაგრამა №4




მოცულობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 1,6-ჯერ (იხ. ცხრილი №3 და დიაგრამა №4).

ქვემო ქართლის მხარე

ქვემო ქართლის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიულ ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერი განისაზღვრა 3 411 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა 765 ათასი ლარი. მათ შორის: 50 ათასი ლარი - გარდაბნის რაიონის მარტყოფის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დაფინანსებისათვის.

ხოლო სპეც. ტრანსფერებზე დაიგეგმა 862 ათასი ლარი. მათ შორის:

დიაგრამა №5



300 ათასი ლარი, ქ. რუსთავში წყალსადენის რეკონსტრუქციისათვის;

174 ათასი ლარი, მათ შორის 100 ათასი ლარი - ბოლნისის რაიონში განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის, 70

ათასი ლარი მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის (სოფელი დისველი - 60 ათასი ლარი, ხატისსოფელი - 10 ათასი ლარი) და 4 ათასი ლარი - სოფელ დისველში საცხოვრებელი სახლების გადახურვისათვის;

50 ათასი ლარი, მათ შორის 45 ათასი ლარი - გარდაბნის რაიონში მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის (სოფელი კრწანისი) და 5 ათასი ლარი - სოფელ ვაზიანში საცხოვრებელი სახლების გადახურვისათვის;

70 ათასი ლარი, დმანისის რაიონში წყალსადენის რეკონსტრუქციისათვის;

155 ათასი ლარი, მათ შორის 100 ათასი ლარი - თეთრიწყაროს რაიონში ქ. თეთრიწყაროსა და დაბა მანგლისის წყალსადენების შიდა ქსელების, აგრეთვე ჯორჯიაშვილის საკრებულოს სოფლების წყალსადენების შეკეთება-აღდგენისათვის და 55 ათასი ლარი - სოფლების სამღერეთის (35 ათასი ლარი), გოლდეთისა (10 ათასი ლარი) და ხაიშის (10 ათასი ლარი) მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის;

113 ათასი ლარი, მათ შორის 89 ათასი ლარი - მარნეულის რაიონის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის (სოფელი ახალი დიოკნისი - 48 ათასი ლარი, სოფელი ხიხანი - 41 ათასი ლარი) და 24 ათასი ლარი საცხოვრებელი სახლების გადახურვისათვის (სოფელი ახალი დიოკნისი - 16 ათასი ლარი, სოფელი ხიხანი - 8 ათასი ლარი).

1998 წელს ქვემო ქართლის მხარეში გადასაცემი ტრანსფერი შესრულდა 58,1%-ით და შეადგინა 1982 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1). აქედან გადარიცხული ტრანსფერებიდან (ტრანსფერში) ჩათვალათ: ოჯახურ დახმარებებში მარნეულს - 250 ათასი ლარი, გარდაბნს - 80 ათასი ლარი. გადასაცემი ტრანსფერის შესრულების მხრივ მხარეში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ბოლნისს - 12,6%-ი.

1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ქვემო ქართლის მხარეში გადაცემული ტრანსფერის მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1,4-ჯერ (იხ. ცხრილი №3). ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ 1997 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერი საერთოდ არ ჰქონდა გამოყოფილი: ბოლნისის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებს (იხ. დიაგრამა №5).

გურიის მხარე


გურიის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრა 2 234 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა 1 250 ათასი ლარი. სპეც. ტრანსფერში უნდა მიეღოთ 505 ათასი ლარი. მათ შორის:

70 ათასი ლარი, ლანჩხუთის რაიონში აცანის საშუალო სკოლის აღდგენით-სარემონტო

სამუშაოებისათვის;
435 ათასი ლარი, მათ შორის 270 ათასი

დიაგრამა №6

გურიის მხარეში რაიონების მიერ მიღებული ტრანსფერტები



ლარი - ოზურგეთის რაიონში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენისათვის, 75 ათასი ლარი - სახელმწიფო თეატრის შენობის კაპიტალური შეკეთებისათვის, 35 ათასი ლარი - სოფელ კონჭკათის ადმინისტრაციული შენობის აღდგენისათვის, 25 ათასი ლარი - განათლების სფეროს ობიექტების და 5 ათასი ლარი - ქალაქის საბავშვო ბაღის შეკეთებისათვის, 25 ათასი ლარი - კულტურის სფეროს სუბსიდირებისათვის.

1998 წელს გურიის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან რაიონებზე გასაცემი ტრანსფერი შესრულდა 65,8%-ით და შეადგინა 1471 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1).

აქედან ტრანსფერებში ჩათვალათ: ოზურგეთს - 225,9 ათასი ლარი, ლანჩხუთს - 100 ათასი ლარი, ჩოხატაურს - 50 ათასი ლარი.

რაც შეეხება წინა წელთან შედარებას, გურიის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 1,6-ჯერ (იხ. ცხრილი №3 და დიაგრამა №6). ხოლო ოზურგეთის რაიონში მოდის - 2,9-ჯერ.

სამცხე-ჯავახეთის მხარე


სამცხე-ჯავახეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა განისაზღვრა 2932 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა - 1797 ათასი ლარი, მათ შორის:

- 25 ათასი ლარი - ასპინძის რაიონის საბავშვო სახლის დაფინანსებისათვის;
- 35 ათასი ლარი - ქ. ახალციხის დამხმარე

სკოლა-ინტერნატის დაფინანსებისათვის. ხოლო სპეც. ტრანსფერისათვის დაიგეგმა 315 ათასი ლარი. მათ შორის: 15 ათასი ლარი, ასპინძის რაიონის სოფელ

დიაგრამა №7

სამცხე-ჯავახეთის მხარეში რაიონების მიერ მიღებული ტრანსფერტები



ივერიის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის; 200 ათასი ლარი, მათ შორის 70 ათასი ლარი - ახალქალაქის რაიონში განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის, 80 ათასი ლარი - მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის (სოფელი ოკამი - 5 ათასი ლარი, სოფელი აზმანა - 10 ათასი ლარი, სოფელი აფნია - 20 ათასი ლარი, სოფელი გოგაშენი - 20 ათასი ლარი, სოფელი პტენა - 20 ათასი ლარი, სოფელი ჩუნჩხა - 5 ათასი ლარი) და 50 ათასი ლარი - საცხოვრებელი სახლების გადახურვისათვის (სოფელი ოკამი - 20 ათასი ლარი, სოფელი აზმანა

საპარტიოლოში დღეს არსებული ტრანსფერების განაწილება, სახელმწიფოს მხრიდან, არაპიტიბრ სტრატეგიასა და პოლიტიკას არ ემყარება

- 3,6 ათასი ლარი, სოფელი აფნია - 12 ათასი ლარი, სოფელი გოგაშენი - 12 ათასი ლარი, სოფელი პტენა - 2,4 ათასი ლარი);

50 ათასი ლარი, ქ. ახალციხის წყალსადენის შიდა ქსელების რეკონსტრუქციისათვის;

50 ათასი ლარი, ნინოწმინდის რაიონში წყალსადენის მშენებლობისათვის.

1998 წელს სამცხე-ჯავახეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი შესრულდა 61,7%-ით და შეადგინა 1810 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1). აქედან ყველაზე პატარა შესრულების მაჩვენებელი მოდის ბორჯომზე - 16,4%.

წინა წელთან შედარებით 1998 წელს მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერის მოცულობა შემცირდა 1,3-ჯერ (იხ. დიაგრამა №7).

მცხეთა-მთიანეთის მხარე

მცხეთა-მთიანეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი

ტრანსფერი განისაზღვრა 3 166 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა 1017 ათასი ლარი. მათ შორის 35 ათასი ლარი - ახალგორის რაიონის საბავშვო სახლის დაფინანსებისათვის.

• ხოლო სპეც. ტრანსფერისათვის განისაზღვრა 1545 ათასი ლარი. მათ შორის:

250 ათასი ლარი, მათ შორის 100 ათასი ლარი - დუშეთის რაიონში განათლების სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის, 70 ათასი ლარი - ადმინისტრაციული შენობის აღდგენისათვის და 80 ათასი ლარი - არხოტ-


მიზნობრივი ტრანსფერები სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთი საშუალებაა

შატლის მიმართულებით ავიარისების სუბსიდირებისათვის;

245 ათასი ლარი, თიანეთის რაიონში წყალსადენის აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის;

40 ათასი ლარი, მცხეთის რაიონში

დიგრამა №8



სოციალური სფეროს ობიექტების კაპიტალური შეკეთებისათვის;

1010 ათასი ლარი, მათ შორის 1000 ათასი ლარი ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის სუბსიდირებისათვის და 10 ათასი ლარი - ნაპირგასამაგრი სამუშაოებისათვის.

1998 წელს მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერების მოცულობა შესრულდა 63,1%-ით და შეადგინა 1998 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1). აქედან გადარიცხული ტრანსფერებიდან ჩაეთვალათ (ტრანსფერში): სპეც. ტრანსფერში ყაზბეგს - 700 ათასი ლარი. მხარეში ტრანსფერების შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოდიოდა მცხეთაზე - 8,4%.

მცხეთა-მთიანეთის მხარეში 1998 წელს მიღებული ტრანსფერის მოცულობა წინა წელთან შედარებით შემცირდა 1,3-ჯერ (იხ. დიაგრამა №8).

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის

მხარე

რაჭა-ლეჩხუმის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიულ ერთეულთა ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერი განისაზღვრა 2 175 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი №2). აქედან განათლების ღონისძიებათა დაფინანსებისათვის დაიგეგმა 1017 ათასი ლარი, ხოლო სპეც. ტრანსფერისათვის - 1545 ათასი ლარი. მათ შორის:

230 ათასი ლარი, მათ შორის 150 ათასი ლარი - ქ. ამბროლაურის №1 საშუალო სკოლის, ხოლო 80 ათასი ლარი - მინისძვრის დროს დაზარეული სოციალური სფეროსა და საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის;


50 ათასი ლარი, ლენტეხის რაიონში

ნაპირგასამაგრი სამუშაოებისათვის;

40 ათასი ლარი, ონის რაიონში მინისძვრის დროს დაზარეული სოციალური სფეროსა და საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის.

1998 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო

დიგრამა №9



სვანეთის მხარეში ცენტრალური ბიუჯეტიდან გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა შესრულდა 52,3%-ით და შეადგინა 1 137,4 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1 და დიაგრამა №9). აქედან ტრანსფერში ჩაეთვალათ: სპეც. ტრანსფერში ლენტეხს - 7350 ლარი, ცაგერს - 20 ათასი ლარი.

რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე ტრანსფერების განაწილებას, საქართველოს საშუალო მაჩვენებელმა 1998 წელს შეადგინა 5,5 ლარი - ეს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 67% შეადგინა (იხ. დიაგრამა №10). აქედან მხარეების მიხედვით ყველაზე დიდი მაჩვენებელი ჰქონდათ: რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეს - 20,7 ლარი, მცხეთა-მთიანეთის მხარე - 14,3 ლარი და აჭარის ა.რ. - 10,2 ლარი.

1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე გადასაცემი ტრანსფერების გეგმის შეუსრულებლობის პირობებში წინა წელთან შედარებით

ერთ სულ მოსახლეზე ტრანსფერების ზრდის მაჩვენებლები ჰქონდათ: ქვემო ქართლს - 1,4 ჯერ და გურიას - 1,6 ჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ 1998 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერების გეგმა, წლის განმავლობაში მიმდინარე საფინანსო კრიზისის პირობებში, 61,6%-ით შესრულდა, ის მაინც ვერ უზრუნველყოფდა რეგიონალური ეკონომიკის გამო-

დლეობა

3. ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური ზრდა

ამ მხრივ უნდა გამოიკვეთოს სახელმწიფო პოლიტიკა, თუ რისი გავლენა სურს. ასევე აუცილებელია შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა, თუ როგორ უზრუნველყოს რეგიონალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და საერთო სახელმწიფოებრივი ფუნქციები მხარეებში. ამის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი, ჩემის აზრით, მიზნობრივი

ტრანსფერი უნდა იყოს. სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებიდან მიღებული სახსრების წილის, ტრანსფერების, სხვა საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების გაყოფა

სახელმწიფო მნიშვნელობის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებსა და სახელმწიფო მნიშვნელობის ქალაქის რაიონების, რაიონული

საქართველოს რაიონებს შიგნით შემოსავლების განაწილებაში სრული განუკითხაობა და აბისათვის სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია მის ყველაფერი დაკავშირდეს მათი საჭიროებებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების გათვალისწინებით

თანაბრებას. ამისათვის საჭიროა: რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების დახარისხება, გამოთანაბრებისთვის ერთიანი მექანიზმის შემუშავება.


აუცილებელია ამის შესახებ იქნას მიღებული კანონი, რომელიც არ არსებობს უნდა იქნეს მიღებული, რომელიც არ არსებობს. აღსაღნიშნავია, რომ ტრანსფერების განაწილება მხოლოდ მოლაპარაკების საგანია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

ამასთან ისმის კითხვა: რას უნდა ემყარებოდეს

ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერებიდან ოჯახურ დახმარებებზე გამოყოფილი 14 340 ათასი ლარიდან, რომელსაც უნდა უზრუნველყო სახელმწიფო დახმარება უნდა გამოგარეკოს მყოფი ოჯახებისთვის, შესრულდა მხოლოდ 30 პროცენტი

დიაგრამა №10

მხარეების მიერ ერთ სულ მოსახლეზე მიღებული ტრანსფერი



ტრანსფერების განაწილება?

ჩემის აზრით თანამედროვე ეტაპზე ტრანსფერების განაწილებამ და გადანაწილებამ უნდა უზრუნველყოს:

1. ქვეყნის უსაფრთხოება
2. საქართველოს მოქალაქეების კეთილ-

დაქვემდებარების ქალაქის, თემის, სასოფლო და სადაბო ბიუჯეტებს შორის ხდება სახელმწიფო მნიშვნელობის ქალაქის და რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების თვითმმართველობის ორგანოების შეთანხმებით. რაც მიზანშეუწონავად მიმაჩნია. ჩემის აზრით, ეს ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით. თუ არა და ასეთი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დეცენტრალიზებული ხერხები გამოიწვევენ ინფლაციას, უმუშევრობის ზრდასა და საფინანსო ბაზარზე განუკითხაობას.

თუ ჩვენ გადავხედავ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1998 წლის 30 მარტის №75 ბრძანებას: „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შედგენისა და შესრულების წესების შემუშავების საფუძვლები“, იქ ნათლად ჩანს, თუ როდის და რამიზნობრივობით გამოეყოფათ ადგილობრივ ბიუჯეტებს ტრანსფერები. მაგრამ საკითხავია აღნიშნულმა როგორ უნდა შეასრულოს ტერიტორიული გამოთანაბრება და ერთიანი ეკონომიკური ზრდა. ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, რადგან

ტრანსფერების განაწილებას არავითარი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტი არ განსაზღვრავს.

მოვიყვან ზოგიერთ ციტატას ამ ბრძანებიდან:

„2.7 საბიუჯეტო რეგულირება ხორციელდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის სახელმწიფო შემოსავლების განაწილებით. შემოსავლების უკმარისობის შემთხვევაში ზედა დონის ბიუჯეტიდან ქვედა დონის ბიუჯეტს შეიძლება გამოეყოს მიზნობრივი ტრანსფერი და თუ არის თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები - საბიუჯეტო სესხიც.

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერების განსაზღვრის წესი რეგულირდება ცალკე ნორმატიული აქტით.

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებზე გადასაცემი ტრანსფერების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის მიერ. ავტონომიური რესპუბლიკების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებიდან ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებიდან სოფლის, თემის, დაბის და რაიონის დაქვემდებარებაში არსებული ქალაქის (ქალაქის რაიონების) ბიუჯეტებზე გადასაცემი ტრანსფერების ოდენობას განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკების, ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები.

ტრანსფერებს აქვს მიზნობრივი დანიშნულება და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საკუთარ შემოსავლებთან ერთად ხმარდება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის და სოციალური სფეროს სხვა დანიშნულებების დაცული მუხლების (ხელფასი, სტიპენდია, სოციალური დახმარება, დანახარჯი კვებაზე, მედიკამენტის შეძენაზე, ჯანდაცვის პროგრამებზე და ანალოგიურ სხვა სოციალურ მიზნებზე. აგრეთვე სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციოდ კონკრეტული ღონისძიებებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას.

მიზნობრივი ტრანსფერები აუთვისებლობისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში უდავო წესით ექვემდებარება უკან დაბრუნებას. მიღებული ტრანსფერების მიზნობრივი გამოყენება ცალკეული სესხისა და ღონისძიებების მიხედვით აისახება ბიუჯეტის შესრულების სადეკლარაციო და ბუღალტრულ

ანგარიშგებებში“.

ხშირია ტრანსფერების არამიზნობრივი გამოყენება, რაც კანონის უხეში დარღვევაა

„5.3 ამასთან რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული სოფლის, თემის, დაბისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური გამოთანაბრებისა და ძირეული რგოლების მმართველობის ორგანოების ფინანსური დაინტერესების მიზნით სახელმწიფო გადასახადებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორმატივები, როგორც წესი, უნდა განისაზღვრებოდეს ერთიანი ყველასათვის. ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია ამ ნორმატივების დიფერენცირება შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობიდან გამომდინარე. ასეთ მარეგულირებელ გადასახადებად მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებთან ერთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მიწის გადასახადი“.

„6.4 მიზნობრივი ტრანსფერის გამოყენების კონკრეტულ მიმართულებებს საბიუჯეტო დანიშნულებებისა და ღონისძიებების მიხედვით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით დამოუკიდებლად განსაზღვრავენ წარმომადგენლობითი ორგანოები“.

„6.13 სოციალური დახმარებები და ხარჯები. საქართველოს პრეზიდენტის 31.12.97 წლის №780 ბრძანებულებით 1998 წლის 1 იანვრიდან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარებები ყოველთვიურად გაიცემა მხოლოდ არამომუშავე, მარტოხელა, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებზე, რომელთაც არა ჰყავთ კანონით გათვალისწინებული მარჩენალი, ამ უკანასკნელთა საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

მოსახლეობის სხვა კატეგორიისგან შემდგარი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სახელმწიფო სოციალური დახმარება გაიცემა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისიების გადაწყვეტილების საფუძველზე.

სოციალური დახმარება დაბეგვრას არ ექვემდებარება. ეს დახმარება 1998 წლიდან გაიცემა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან საჭიროების შემთხვევაში, ამ მიზნით საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერების ხარჯზე“.

ამ ბრძანებიდან გამომდინარე, საკითხავია, თუ რას ნიშნავს „შემოსავლების უკმარისობის შემთხვევაში ზედა დონის ბიუჯეტიდან ქვედა დონის

ბიუჯეტს შეიძლება გამოეყოს მიზნობრივი ტრანსფერი“. ეს საკითხი უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული, თორემ ამ მხრივ ყოველთვის იქნება თვივანობისა და კორუფციის საშუალება.

ასევე, არ შეიძლება არ ითქვას, რომ არ შესრულდა საქართველოს პრეზიდენტის 31.12.97 წლის №780 ბრძანებულება 1998 წლის 1 იანვრიდან უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარებების ყოველთვიურად გაიცემაზე. ეს მაჩვენებელი გეგმასთან შედარებით 30,2 %-ით შესრულდა და, ნაცვლად 14 340 ათასი ლარისა, შეადგინა 4 332 ათასი ლარი (იხ. ცხრილი №1).

გოლო წლებში გვირი ქვიჩანა ცდილობს უფრო გააძლიეროს რეგიონალური გამოთანაბრება და დააბალანსოს გადასახადები, რომლებსაც იღებს სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოები

ამასთან, ქვეყანაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც აღმასრულებელი ორგანოები, როგორც ცენტრალურ დონეზე, ისე ტერიტორიული ერთეულების დონეებზე არღვევენ საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს და ადგილი აქვს ფინანსური რესურსების არამიზნობრივ და არაკანონიერ ხარჯვას.

„კონტროლის პალატის 1997 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში“, რომლის მიხედვითაც: 1997 წლის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების ანალიზით კონტროლის პალატამ დაადგინა, რომ არ შესრულდა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნები. საანგარიშო პერიოდში კანონის, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა შეადგენდა 53 325,7 ათას ლარს. ფაქტიურად, ადგილობრივ ბიუჯეტებზე ტრანსფერის სახით გადაცემული იქნა 48 612,7 ათასი ლარი, ანუ მხოლოდ 91%.

საყურადღებოა ისიც, რომ გეგმიური ტრანსფერების დაუფინანსებლობის პირობებში, ცალკეული რაიონების ბიუჯეტებზე გაცემულია მოკლევადიანი სესხები 1 707 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც 1 273,9 ათასი ლარის დაბრუნება წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა. ამდენად, აღნიშნული თანხის ფარგლებში ცენტრალური ბიუჯეტიდან განეული იქნა არაგეგმიური ხარჯები.

უფრო მეტიც, ცალკეულ ტერიტორიულ

ერთეულებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერები გეგმის ფარგლებში იქნა გადარიცხული და მათვე მიეცათ მოკლევადიანი საბიუჯეტო სიხსრებიც, მაშინ, როდესაც სხვა რაიონებში განათლებისა და სპეციალური ღონისძიებებით გათვალისწინებული გეგმიური ხარჯების დაფინანსებაც ვერ მოხერხდა.

დადგენილი იქნა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების არამიზნობრივი ხარჯვის ფაქტებიც. კერძოდ, ხაშურის რაიონში განათლების ღონისძიებების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული - 119 ათასი ლარის ოდენობის ტრანსფერებიდან, 22,3 ათასი ლარი გადარიცხულია სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე, ხოლო სურამის ბავშვთა სახლის კაპიტალური რემონტის სამუშაოებისათვის გათვალისწინებული 30

ათასი ლარის სპეციალური ტრანსფერიდან არამიზნობრივადაა გახარჯული 20 ათასი ლარი, მათ შორის 15 ათასი ლარი რაიონის კამეგობის ნებართვით გადარიცხულია ხაშურის მერიაზე სესხის სახით.

ჩხოროწყუს რაიონში განათლების სფეროს მუშაკების ხელფასებისათვის მიღებული ტრანსფერების თანხიდან 19,2 ათასი ლარი კანონის დარღვევით, არამიზნობრივად, ჩაერიცხა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს. ამავე რაიონს საომარი მოქმედების დროს დამწვარი საცხოვრებელი სახლების აღდგენისათვის გათვალისწინებული ჰქონდა სპეციალური ტრანსფერი 50 ათასი ლარის ოდენობით. რაიონის გამგეობამ რაიმე ოფიციალური ნებართვის ან ტრანსფერის დანიშნულების შეცვლის თაობაზე კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიუ-

თანამედროვე ეტაპზე აზრ-ში ფედერალური სუბსიდიების, დოტაციებისა და კრედიტების როლი ადგილობრივი მართვის ორგანოებისათვის თანდათან მცირდება

ლებლად, ჩამორიცხული თანხა 50 ათასი ლარი ისევ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს გადაურიცხა. მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა სამხარეო პროკურატურას.

ადიგენის რაიონში ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები დროებით არადანიშნულებით იყო გამოყენებული. კერძოდ, იანვარში მიღებული 35 ათასი ლარიდან 15 ათასი ლარი მიმართული იყო არამიზნობრივად. მათ შორის 9 ათასი ლარი ჩაერიცხა რაიონის მმართველობას, საიდანაც 5,5 ათასი ლარით

შეძენილ იქნა მსუბუქი ავტომანქანა.

თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოთა დიდ ნაწილში შეიმჩნევა ეკონომიკური და სოციალური პროცესების რეგიონალიზაცია. ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური ორგანოები სახელმწიფოს ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გადასცემენ მათზე დაფინანსების შესაბამისი წყაროს მიმაგრებით. სწორედ ეს განაპირობებს ადგილობრივი ფინანსების როლის გაძლიერებას და სამოქმედო ზონის გაფართოებას.

რეგიონალური ფინანსების მეშვეობით ბევრი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლება წარმატებით ახორციელებს სოციალური გამოთანაბრების პოლიტიკას. ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებით წარმოებს ტერიტორიული ერთეულების განათლების, ჯანმრთელობის და ცვის, კულტურის, სპორტის, მოსახლეობის კომუნალური მომსახურების ხარჯების დაფინანსება.

ზოგიერთ ქვეყანაში ადგილობრივი ბიუჯეტების მეშვეობით ხორციელდება საშუალო-სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ღონისძიებათა დაფინანსება. მუნიციპალურ დონეზე მიმდინარეობს სამართალდამცავი ორგანოების, ბუნების დაცვის და ეკოლოგიური ღონისძიებათა დაფინანსება. ასევე, სახელმწიფო ხარჯების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება არის ხარჯები ინფრასტრუქტურაზე. აქ გადამწყვეტია სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები, რომელიც ქვეყნის შენონასწორებული ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ხელისუფლება ტრანსფერებისა და გადასახადების გადანაწილების დახმარებით აღწევენ ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრებას, რომლებიც გარკვეული ისტორიული და ბუნებრივი პირობების გამო ჩამორჩენილთა რიგებში აღმოჩნდნენ ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით.

მოდით განვიხილოთ ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მაგალითზე, თუ ამ სახელმწიფოებში როგორია დეცენტრალიზაციის ხარისხი და როგორ ხდება შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილება.

ექვს დიდ ფედერალურ სახელმწიფოში (ავსტრალია, ავსტრია, გერმანია, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები და შვეიცარია) ადგილობრივი ხარჯების წილი საერთო

სახელმწიფო ხარჯების მოცულობაში მერყეობს 7 %-დან (ავსტრალიაში) 26 %-მდე (შვეიცარიაში); შტატებისა და პროვინციების ხარჯების წილი საერთო ფედერალურ ხარჯების მოცულობაში მერყეობს 16 %-დან (ავსტრალიაში) 48 %-მდე (კანადაში). იმ სახსრების წილი, რომელსაც რიცხავს შემდგომი ხელისუფლების ორგანოები ადგილებზე, მერყეობს ადგილობრივი შემოსავლების საერთო მოცულობის 16%-დან (შვეიცარიაში) 48 %-მდე (კანადაში). საერთო ფინანსური რესურსების მოცულობიდან შტატებისა და პროვინციების მიერ ფედერაციიდან მიღებული დოტაციის წილი მერყეობს 16 %-დან (გერმანიაში) 50 %-მდე

აშშ-თან შედარებით, გერმანიაში ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას ფედერაციული მთავრობა უფრო მითად არის ჩართული, რათა ძველის მთელ ტერიტორიაზე უზრუნველყოს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ასევე, სახელმწიფო კისრულობს თამბაქოს შორის საბადასახადო შემოსავლების განაწილების უზენაესობას

(ავსტრალიაში). შემოთხსენებულ ყოველ ქვეყანას ამ მხრივ გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

საერთოდ, ავსტრალიასა და გერმანიაში შემოსავლების გამოთანაბრებითი გადანაწილება ხორციელდება დიდი მასშტაბებში; კანადაში მას პროვინციის საზღვრებში აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა; აშშ-ში რეგიონებს აძლევენ საშუალებას, თვითონ იზრუნონ თავის თავზე.

ამერიკის შეერთებული შტატები

ისტორიულად აშშ შეიქმნა, როგორც ძლიერი დეცენტრალიზებული სახელმწიფო, სრულ დამოუკიდებლობას მიღწეულ კოლონიებს შორის პოლიტიკური კავშირის საფუძველზე, რომლებმაც გაერთიანებისას შეინარჩუნეს თავიანთი უფლებების კონსტიტუციური გარანტიები.

ეკონომიკური და სოციალური რეგულირების სფეროში აშშ-სთვის დამახასიათებელია სახელმწიფოს ფუნქციების დეცენტრალიზაციის მაღალი დონე. შტატებსა და მართვის ადგილობრივ ორგანოებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ბიუჯეტების ფორმირების, საკუთარი გადასახადების და სხვა სახის შემოსავლების დაწესებისა და თავიანთ ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის რეგულირების უფლებები.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი ბიუჯეტების ფორმირებისას მათი ძირითადი შემოსავლის წყარო არის ადგილობრივი გადასახადები, ფედერალური მთავრობა მაინც აძლევს სუბსიდიებსა და დოტაციებს. ამ ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა XX საუკუნის მეორე

ნახევარში შეიმჩნეოდა.

შტატებისათვის ფედერალური სუბსიდიების სწრაფმა ზრდამ (1960 წელს 7 მლრდ. აშშ დოლარიდან - 1980 წელს 83 მლრდ. აშშ დოლარამდე) აშშ-ს მთელი ფედერალური სისტემის ფუნქციონირებაზე წინააღმდეგობრივი გავლენა მოახდინა. ერთის მხრივ, გაფართოვდა ეკონომიკური კავშირები სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა დონეებს შორის. მეორეს მხრივ — ხდებოდა ფედერალური მთავრობის შეჭრა რეგულირების იმსფეროში, რომელიც წარსულში შტატებისა და ადგილობრივი ორგანოების პრეროგატივას წარმოადგენდა. ამან გამოიწვია პოლიტიკური დაძაბულობა ფედერალურ მთავრობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

თანამედროვე ეტაპზე აშშ-ში ფედერალური სუბსიდიების, დოტაციებისა და კრედიტების როლი ადგილობრივი მართვის ორგანოებისათვის თანდათან მცირდება. აღნიშნული ადგილობრივი ბიუჯეტების თვითდაფინანსების ზრდაზე მიანიშნებს. ეს დაკავშირებულია „ახალი ფედერალიზმის“ პოლიტიკასთან, რომლის მიზანია ფედერალური მთავრობის თვით-ჩამოცილება ადგილობრივი პრობლემების გადაჭრისაგან. ამავდროს, ადგილობრივი მართვის ორგანოები ეწევიან უფრო ენერგიულ სამეურნეო საქმიანობას: ფართოვდება ფასიანი მომსახურება, დგინდება დამატებითი მოსაკრებლები (მაგალითად: ხიდებით, გვირაბებით, ავტოსადგომებით სარგებლობისათვის), ჩნდება ადგილობრივი გადასახადების ახალი სახეები, საგადასახადო ბაზის გაფართოებისათვის ხდება ახალი სამეურნეო ობიექტების მშენებლობის სტიმულირება და სხვა.

მოდით, მოკლედ შევხვით ვაშინგტონის შტატის ადგილობრივი ბიუჯეტის კანონს:

პუნქტი 10.
ბიუჯეტის შემადგენლები: ასიგნებები-ტრანსფერტები-დამატებითი ასიგნებები.

შვეიცარიაში ტრანსფერების მთავარი მიზანია კანტონებმა უზრუნველყონ ერთნაირი მოსახურება, ხოლო მიახლოებით მთელი მოცულობის 27 პროცენტს იყენებენ შემოსავლების გამოთანაბრებაზე

„დეტალიზებული და კლასიფიცირებული და საგრაფოს კომისიონერთა საბჭოს მიერ მიღებული ხარჯები წარმოადგენენ საგრაფოს ასიგნებებს მომდევნო საფინანსო წლისათვის.

საგრაფოს ყველა დაწესებულების ხელმძღვანელი შეზღუდული უნდა იქნას ხარჯების განევაში ან ვალდებულების აღებაში და უნდა ჩაეტიოს შესაბამისად ასიგნებების მოცულობასა და კლასებში. მას შემდეგ რაც საბჭო რიგით ან სპეციალურ შეკრებაზე ოფიციალურად მიიღებს რეზოლუციას და გააფორმებს ოქმს, შეიძლება გაკეთდეს ტრანსფერები ან დაზუსტებები დეპარტამენტებს შორის ან

ბიუჯეტის დამატებითი ასიგნებები გაუთვალისწინებელი ფედერალური ან შტატის ფონდიდან.

ამისათვის საჭიროა შემდგომი პირობა: საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს შეტყობინება, რომელშიც მითითებული იქნება შეკრების ადგილი და დრო, რომელზეც მოხდება დამატებითი ასიგნებების რეზოლუციის მიღება, და ასიგნების მოცულობა. განცხადება უნდა გამოქვეყნდეს საგრაფოს ოფიციალურ გაზეთში კვირაში ერთხელ შეკრებამდე ორი კვირის მანძილზე“.

აშშ-ში თვითმმართველობის ყველა ერთეული, მათ შორის ქალაქებიც, თავის გადასახადებს თვითონ ადგენენ. ამიტომ სხვადასხვა ქალაქების ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების ფორმირებაც ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება. მაგალითად, ბოსტონი (მასაჩუსეტსის შტატი) თავის ბიუჯეტების 80 %-ს ავსებს საკუთარი წყაროების ხარჯზე, ხოლო კოლუმბუსათვის (ოჰაიოს შტატი) ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 6 %-ს შეადგენს. ბოსტონისა და პროვინდენსისათვის (როდ-აილენდის შტატი) ქონებრივი გადასახადი ადგილობრივი შემოსავლების თითქმის ერთადერთი წყაროა, ხოლო ნიუ-იორკისათვის იგი შეადგენს 48 %-ს, საკრამენტოსათვის (კალიფორნიის შტატი) - მხოლოდ 4,6 %-ს. ქალაქ ტალსაში შემოსავლების 70 %-ზე მეტი მოდის გაყიდვიდან გადასახადებზე. მაშინ, როცა აშშ-ს ქალაქების ნახევარი საერთოდ არ ახდენენ ასეთ გადასახადს.

პირდაპირი ფედერალური დახმარება (სუბსიდიები) სხვადასხვა ქალაქებისათვის შეადგენს მათი ადგილობრივი შემოსავლების 3-დან 70 %-მდე (ნიუ-იორკისათვის ფედერალური დახმარება ადგილობრივი შემოსავლის 8 %-ს

აღწევს). საერთო ჯამში, ამერიკული ქალაქები საკუთარი ძალებით უზრუნველყოფენ თავიანთი საბიუჯეტო შემოსავლების 2/3-ზე მეტს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ადგილობრივი მმართველობა გერმანიაში კომუნალური მმართველობით იწოდება. ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით ადგილობრივ ბიუჯეტების ფორმირებისას ფედერაციული მთავრობა უფრო მეტად არის ჩართული, რათა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უზრუნველყოს ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ფედერალურმა მართვამ

უზრუნველყო სახელმწიფო ამოცანების შესრულების პროცესში საქალაქო და სასოფლო თემების ჩართვა. სახელმწიფომ იკისრა თემებს შორის

საგადასახადო შემოსავლების განაწილების ფუნქცია, რაც წინათ მხარეთა პრეროგატივა იყო.

სახელმწიფო შემოსავლებისა და დაზავების სისტემის გადაწესების უნდა ჰქონდეს სტაბილური ხასიათი, რათა უზრუნველყოს ინვესტირების სტიმული, ეკონომიკური ზრდა და შეინარჩუნოს ძველის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი ეკონომიკური ბარათი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კომუნალური ორგანოების ფინანსები დამოუკიდებელი სისტემაა. კომუნალური ბიუჯეტი არ შედის მხარის ბიუჯეტში, რომელიც თავის მხრივ, ასევე არ ერთიანდება ფედერალურ ბიუჯეტში.

კომუნალური ბიუჯეტების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი საგადასახადო შემოსავლები, ფედერაციისა და მხარეების რეგულარული დოტაციები და კრედიტები.

გერმანიის ფინანსური პოლიტიკით დაწესებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მატერიალური დახმარების მიზანია მხოლოდ მათი ეკონომიკური პირობების გამოთანაბრება. თანაც, მხარეები ლეზულობენ ბრუნვის გადასახადის 37 %-ს, რომლის 75 % ნაწილდება მხარის ცალკეულ ტერიტორიებს შორის, მოსახლეობის რიცხოვნობის შესაბამისად. დარჩენილი 25%—მათი ფინანსური შესაძლებლობის პოტენციალის გათვალისწინებით.

საგადასახადო შემოსავლების განაწილება ფედერაციას, მხარეებსა და თემებს შორის ძალზე დახლართულია. მათ შორის ყოველთვის წარმოიშობა მწვავე საკითხები, რომლებიც ნაწილობრივ წყდება ყოველწლიური დამატებითი შეთანხმებების შედეგად. თემებს გააჩნიათ ორი სახის საგადასახადო შემოსავლები: შემოსავლები, რომელიც მხოლოდ თემებს ეკუთვნის და შემოსავლები, რომელიც ნაწილდება ფედერაციას, მხარეებსა და თემებს შორის.

თემების, მხარეებისა და ფედერაციის ბიუჯეტებში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილის შედარება საერთო ხარჯებთან, რომლებიც ნაწილდება ფედერაციის, მხარეებსა და თემებს შორის, შემდეგ სურათს იძლევა: თემების წილი ყველა დანახარჯებში დაახლოებით 25%—ა, მხარეების - 30 %, ფედერაციისა - 45 %; საგადასახადო შემოსავლების ხარჯზე დანახარჯების დაფარვის წილი თემებისათვის შეადგენს - 26 %-ს, მხარეებისათვის - 62 %-ს და ფედერაციისათვის - 69 %-ს.

თემების ბიუჯეტების ფორმირებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ცენტრალური ხელისუფლების სუბსიდიებს. ფაქტიურად, საქმე ეხება საგადასახადო შემოსავლების გადანაწილებას.

თემების შემოსავლების ნაწილი, საკუთარი

გადასახადები და სახელმწიფო სუბსიდიები, 60 %-ს აღემატება. სუბსიდიების პრაქტიკა მიუთითებს ფინანსური საშუალებების განმგებლობის

ცენტრალიზაციის პროცესზე, რაც აძლიერებს კომუნალური ორგანოების საქმიანობის პირდაპირი ადმინისტრირებისა და კონტროლის შესაძლებლობას. გერმანიაში სუბსიდიებს აქვს სპეციალური დანიშნულება. მათი სიდიდე, მეტწილად, დამოკიდებულია არა თემების მცხოვრებთა რიცხოვნებაზე და თემების ფინანსურ ბაზაზე, არამედ სახელმწიფოს საერთო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელიც ხორციელდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფინანსური გათანაბრების საშუალებით. სუბსიდიები განსაზღვრავენ თემების ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებებს, გამოხატავენ ფედერაციასა და მხარეების ხელისუფლებისაგან მათი ეკონომიკური და ფინანსური დამოკიდებულებების მაღალ დონეს.

დღეისათვის თემების მთელი ხარჯების 4/5 განისაზღვრება ფედერალური და მხარეთა კანონმდებლობით. ქალაქებში, კი ადმინისტრაციული ბიუჯეტის 6 % რჩება კომუნალური ორგანოების თავისუფალ განკარგულებაში.

შვეიცარია

როგორც ბევრი თვლის შვეიცარია ფედერალურ სახელმწიფოებს შორის ყველაზე დეცენტრალიზებული ქვეყანაა, სადაც ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციები მინიმუმამდეა დასული.

კანტონების ბიუჯეტების შემოსავლები ფორმირდება: საშემოსავლო გადასახადი (32%), ფედერალური ტრანსფერი და ზოგიერთი ფედერალური შემოსავლების წილი (27%), არასაგადასახადო შემოსავლები (19%) და სხვა პირდაპირი გადასახადები საწარმოებზე და ქონებაზე (18%). ხოლო ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსავლების წყაროებად ითვლება: პირდაპირი გადასახადი (50%), არასაგადასახადო შემოსავლები (32%), ზემდგომი აღმასრულებელი ორგანოებიდან ჩამორიცხული ტრანსფერები და წილი ფედერალური შემოსავლებიდან (18%).

კანტონებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ბიუჯეტებში ტრანსფერების უდიდესი ნაწილი და ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი რესურსების წილის მიზანმიმართულება იძლევა იმის საშუალებას, რომ შვეიცარიის ფედერალურ

საფინანსო-საბიუჯეტო სისტემაში მთავარი მიზანი იყოს რეგიონებში შემოსავლების გამოთანაბრება.

საერთოდ ასეთი რესურსების განაწილება ეფუძნება სხვადასხვა ფორმულებს. ამ განაწილების მთავარი მიზანია - კანტონებმა უზრუნველყონ ერთნაირი დონის მომსახურება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობას დაწვება გადასახადების მთელი სიმძიმე. შვეიცარიაში კანტონები ფედერალური ტრანსფერტების 27%-ს ძირითადად იყენებენ შემოსავლების გამოთანაბრებითი გადანაწილებისათვის.

ერთი შეხედვით შვეიცარიის შემოსავლების გამოთანაბრებითი სისტემა მუშაობს ეფექტურად. 1960 წლიდან დღემდე კანტონებს შორის ერთსულ მოსახლეზე შემოსავლის დონეთა განსხვავება მნიშვნელოვნად შემცირდა. ამასთან უფრო მდიდარი კანტონებიდან წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება შემოსავლების ასეთი გადანაწილებისას მინიმუმამდე არის დაყვანილი.

ხოლო ევროპის უმრავლესი უნიტარული სახელმწიფოთათვის, ხარჯების თვალსაზრისით, ძირითადია: რეგიონებს შორის ეკონომიკური უთანაბრობის კომპენსაცია, სოციალური დაზღვევა, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება. ამდენად ამ ფუნქციების შესრულება უმეტესად დამოკიდებულია რესურსების გადანაწილებაზე.

ის ფაქტი, რომ ცენტრალური მთავრობა ისწრაფვის ყველა რეგიონს მისცეს საშუალება განახორციელოს ერთნაირი მომსახურება და ერთნაირი განაკვეთით ამოიღონ გადასახადები - ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, იძლევა რეგიონების მატერიალურ გამოთანაბრებას. ბევრის აზრით, რეგიონებს შორის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა სოციალური სფეროს დარგების გამოთანაბრების მიღწევა პასუხობს საზოგადოების ინტერესებს.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილების თანახმად და ზოგიერთი მეცნიერ-მკვლევარის აზრით დეცენტრალიზაციის ძირითად უპირატესობაა, ის რომ წარმოშვას ადგილობრივი

საზოგადოებრივ კეთილდღეობას არ გააჩნია საბაზრო ფასები და მისი რეგულირება არ ხდება მიწოდება-მოთხოვნის მოდელით.

საბიუჯეტო პროცესის მიზანია: მოახდინოს ხარჯებისა და შემოსავლების სწორ განაწილებაზე კონცენტრირება, ისინი მიმართოს მიზნობრივად. აგრეთვე მათი გამოყენების კანონიერების დაცვა და ეფექტურობა.

ზოგიერთი საბიუჯეტო საკითხის პოლიტიკური მგძნობიარობა ამცირებს მათი განხილვის და გადახედვის მიმზიდველობას. ფისკალური პოლიტიკის ერთერთი ძირითადი მიზანია შეინარჩუნოს ბალანსი საზოგადოებრივ სექტორსა და კერძო სექტორს შორის ქვეყნის ეკონომიკაში, მათ მიერ გამოყენებულ რესურსებს შორის დაიცვას სასურველი თანაფარდობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების პირობებში სახელმწიფო ხელისუფლება, ზოგიერთი ჯგუფის პოლიტიკური ზენოლით, იძულებული გახდა ბიუჯეტის სტატიების ნაწილი გადაეცა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის. ამის შედეგად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსირდება უმრავლესობა სახელმწიფო ხარჯებისა, რომლებსაც გააჩნია ადგილობრივი და საერთო ეროვნული მნიშვნელობა. მათ შორის არის ხარჯები - განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მოთხოვნილებებზე.

ასეთი დეცენტრალიზაციის ტენდენცია არ შეხება გარდამავალი ეკონომიკის უმრავლეს ქვეყანათა სახელმწიფო შემოსავლებს.

ეს უმთავრესად საჭიროა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, სადაც ლიბერალიზაცია ბადებს დეცენტრალიზაციისა და რეგიონალური დიფერენციაციის ტენდენციას.

80-იანი წლების ბოლოს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ევროპის ქვეყნების ბიუჯეტის ტრანსფერტები ოჯახებზე და სანარმოებზე წარმოადგენდა მშპ-ის 10-30%-ს. საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით გაზრდილი ეს მაჩვენებელი უმთავრესად მოდიოდა სანარმოებზე გაცემულ ტრანსფერტების მოცულობაზე (იხ. ცხრილი №4).

ამ ქვეყნებში მიმდინარე რეფორმების ძირითადი საკითხი არის დეცენტრალიზაციის მასშტაბი, რომელიც სახელმწიფოზეა დამოკიდებული და შეთავსებულია პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისმის კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია დასავლეთის გამოცდილების პირნმინდათ გადმოღება? პასუხი ცალსახაა. ამით დიდ, სასიკეთო შედეგებს არ უნდა ველოდოთ. დასავლეთ ევროპის გამოცდილება -

დღეს საპარტიველოს ადგილობრივი თვითმმართველობა და მმართველობა წარმოდგენილია ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ეფექტური მუშაობა.

ბიუროკრატიული სტრუქტურა პატარა მასშტაბით მუშაობს უფრო ეფექტურად, რადგან არ ვლინდება „პირამიდის ეფექტი“.

ქვეყანაში სახელმწიფო გაცემებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაოდენობრივი შეფასების ყოველი ცდა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელებები უპირველეს ყოვლისა, იქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს მიერ მოსახლეობისათვის გაღებულ

მართვის ადგილობრივი ორგანოების განვითარების თაობაზე საშუალებას მისცემს საბაზრო ეკონომიკის გზაზე დამდგარ ჩვენს ქვეყანას იქონიოს ზოგადი წარმოდგენა დასავლეთ ევროპაში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურასა და ფუნქციონირებაზე, გამოყოს ზოგიერთის გამოცდილება, განსაზღვროს საერთო პრობლემები და შეიმუშაოს კონკრეტული წინადადებები საკუთარ ქვეყანაში მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

სახელმწიფო ხარჯების დეცენტრალიზაციამ, გადასახადების ცენტრალიზებული მობილიზაციის პირობებში, შეამცირა ბიუჯეტის დეფიციტი. ამასთან, ხარჯების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე გადაკისრებით,

განანილების განსაზღვრა და ასევე კანონში „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო

რეგიონებისათვის გადასაცემი ტრანსფერები უნდა დაიწოს. მიზნობრივ ტრანსფერებად და სუბსიდიებად

უფლებამოსილების შესახებ“ დასავლეთის მონინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას ცენტრალურ და ტერიტორიულ ერთეულებს შორის შემოსავლების განანილებას საფუძვლად დაედოს ტერიტორიული ერთეულების მონანილეობის ხარისხი ამა თუ იმ გადასახადის ფორმირების საქმეში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მმართველი ორგანოები

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ტრანსფერტების წილი მთლიან შიდა პროდუქტში (პროცენტებში)

	ბულგარეთი	ჩეხოსლოვაკეთი	უნგრეთი	პოლონეთი	რუმინეთი	იუგოსლავია
ტრანსფერტი ოჯახებზე	10	13	16	10	11	19
სუბსიდია და მიმდინარე ტრანსფერტი საწარმოებზე	15	19	16	17	1	13

ცენტრალურმა ხელისუფლებამ არ უზრუნველყო მათი შემოსავლების გაზრდა. იმ ვარაუდით, რომ ისინი თვითონ შეამცირებდნენ დანახარჯებს. ამან სერიოზულად შეზღუდა ადგილობრივი ბიუჯეტები. ამის შედეგად დანახარჯებზე დაგროვდა დავალიანებები. ხოლო ზოგიერთმა ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა სესხისათვის მიმართეს ფინანსურ სექტორს, რამაც ბევრი გაუგებრობა გამოიწვია.

ხარჯების დეცენტრალიზაციას, რომელსაც არ ახლავს საგადასახადო უფლება-მოსილებათა დეცენტრალიზაცია - მივყავართ რეგიონებს შორის უფრო დიდ უთანაბრობამდე. მაგალითად, რუსეთში ყველაზე მდიდარი ოლქი ხარჯავს 16-ჯერ უფრო მეტ სახსრებს (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით), ვიდრე ყველაზე ღარიბი.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან და ასევე საქართველოში მოქმედი ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“. თავი VI. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ეკონომიკური საფუძვლები, მუხლი 35. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, მეორე პუნქტის მიხედვით:

„ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების დიფერენცირება, მათგან მიღებული შემოსავლების გამიჯვნა და შემოსავლების ჩარიცხვის პროპორცია სოფლის, თემის, დაბის, ქალაქისა და რაიონის ბიუჯეტებს შორის განისაზღვრება კანონით „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა — მართლაც აუცილებელია შემოსავლების

გადასახადების მოცულობის გაზრდაში ჩაახშობენ ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოების ინიციატივას და დაუკარგავენ სტიმულს.

ფაქტობრივად, მათ არა აქვთ საშუალება შეასრულონ მათზე მინიჭებული უფლებები. ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა ჰქონდეთ უფლება დამოუკიდებლად განკარგონ თავიანთი ფინანსები, უფლებამოსილებათა შესასრულებლად.

როგორც ცნობილია, რაიონის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შემოსავლებიდან ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებისა და საჭიროების შემთხვევაში, რაიონული ბიუჯეტებიდან გადასაცემი ტრანსფერების საფუძველზე ქვემო დონის მმართველობის ორგანოები დამოუკიდებლად ადგენენ, ამტკიცებენ და ასრულებენ თავიანთ ბიუჯეტებს.

ამ მოთხოვნების უხეში დარღვევით სოფლის, თემის, დაბისა და რაიონის შემადგენლობაში შემაჯავალი ქალაქის ბიუჯეტების მომსახურე ბანკის დანესებულებები ამ ბიუჯეტების კუთვნილ საგადასახადო შემოსავლებს მთლიანად რიცხავენ რაიონული ბიუჯეტის შემოსავლებში.

აღნიშნულის გამო სოფლის, თემის, დაბისა და რაიონის შემადგენლობაში არსებული ქალაქის გამგებობები ექცევიან რაიონის გამგებობის დამოკიდებულებაში იმ თვალსაზრისით, რომ რაიონული ბიუჯეტებიდან კუთვნილი თანხების ქვემო დონის ბიუჯეტებზე გადაცემა ხდება არა შემოსავლების მიღებისთანავე და სრული

ოდენობით, არამედ რაიონის გამგეობის შეხედულებისამებრ, ამასთან ხშირ შემთხვევაში არასრულყოფილად.

ქვედა დონის ბიუჯეტების შესრულების ასეთი მანკიერი სტილი კანონის უმოქმედობასთან ერთად სოფლის, თემის, დაბისა და რაიონის შემადგენლობაში შემავალი ქალაქის მმართველობის ორგანოებს უხშობს ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალური და დროული მობილიზაციისათვის დაინტერესებასა და სტიმულს.

პირველ რიგში საჭიროა რეგიონების მიხედვით ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი და უახლოეს პერსპექტივაში გადასაწყვეტი პრობლემების ფორმირება, იმ მთავარი მიმართულებების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც უნდა წარიმართოს ტერიტორიული ერთეულების განვითარება მათი თავისებურებების გათვალისწინებით.

რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის აუცილებელია მათი განვითარების ტერიტორიული პროპორციების სრულყოფა და განვითარების დონეებში არსებული მკვეთრი განსხვავებების რამდენადმე გამოთანაბრება.

დღეს არსებული ტრანსფერების სისტემა ვერ პასუხობს თავის მიზნებსა და ამოცანებს. ჩემის აზრით, ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებისათვის გადასაცემი ტრანსფერები უნდა

დაიყოს ორად: მიზნობრივი ტრანსფერებად და სუბსიდიებად. ხოლო რაც შეეხება 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულ სპეც. ტრანსფერებს - იგი თავის მნიშვნელობით შედის მიზნობრივ ტრანსფერში.

მიზნობრივი ტრანსფერებით უნდა მოხდეს სახელმწიფოს პროგრამების განხორციელება, რაც ამჟამად მოქმედებს. ხოლო სუბსიდიებს თავის შეხედულებისამებრ იყენებს და განკარგავს ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, რომლის განაწილება უნდა ემყარებოდეს რეგიონებს შორის შემოსავლების გამოთანაბრებას.

ამასთან ერთად, უნდა შემუშავდეს შესაბამისი გრაფიკი ან გეგმა, რომელშიც აისახება ტრანსფერების შემცირების ტენდენცია, ოღონდ მხოლოდ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე შესაბამისი შემოსავლის წყაროს მიმაგრებით. ეს ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოჰყვებოდეს რეგიონების განვითარებას და გამოთანაბრებას.

ასევე აუცილებელია სხვადასხვა დონის ხელისუფლებათა ს შორის ურთიერთობის სისტემა იყოს ტრანსფარენტული. ე.ი. მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, რომელი ხელისუფლების დონე პასუხობს ნებისმიერ დასამულ, კონკრეტულ მომსახურებას და ამისათვის იგი აუცილებლად უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ფინანსური რესურსებით.

ცხრილი №1

ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1998 წელს გადასაცემი ტრანსფერტების შესახებ (ათას ლარებში)	1998 წელს გადასაცემი ტრანსფერტი						გადარიცხულია 31 დეკემბრის მდგომარეობით						იანვარ-დეკემბერი პროცენტულად წლიურთან					
	მათ შორის			მათ შორის			მათ შორის			მათ შორის			სულ			სულ		
	სულ	ტრანსფერტი	ოჯახური დახმ.	საქვ-ტრანსფერტი	სულ	ტრანსფერტი	ოჯახური დახმ.	საქვ-ტრანსფერტი	სულ	ტრანსფერტი	ოჯახური დახმ.	საქვ-ტრანსფერტი	სულ	ტრანსფერტი	ოჯახური დახმ.	საქვ-ტრანსფერტი		
აფხაზეთის ავრესკ	4820	3769		1051	4081	3222		859	4081	3222		859	4081	3222		859		
აჭარის ავრესკ	4077	2500		400	4077	2500		1177	4077	2500		1177	4077	2500		1177		
ქ. თბილისი	4454	0		3504	1095			795	1095			795	1095			795		
კახეთის მხარე	3520	1615		563	2081	1480		346	2081	1480		255	2081	1480		255		
ახმეტის რაიონი	513	150		230	300	150		20	300	150		130	300	150		130		
ბურჯანის რაიონი	438	100		238	175	100		30	175	100		45	175	100		45		
დვლოვლისწყაროს რაიონი	108	0		108	15			15	15				15			15		
თელავის რაიონი	962	725		237	755	725		30	755	725		30	755	725		30		
ლაგოდეხის რაიონი	351	190		161	351	190		161	351	190		161	351	190		161		
საგარეჯოს რაიონი	450	210		187	180	160		20	180	160		20	180	160		20		
სიღნაღის რაიონი	147	0		147	55			55	55				55			55		
ყვარელის რაიონი	551	240		131	250	155		15	250	155		80	250	155		80		
იმერეთის მხარე	9508	6157		2321	5732	4932		530	5732	4932		270	5732	4932		270		
ქ. ქუთაისი	3222	2500		722	1890	1860		30	1890	1860			1890	1860				
ჭიათურის ზონა	895	566		209	865	566		209	865	566		90	865	566		90		
ტყელების ზონა	768	600		108	575	530		25	575	530		20	575	530		20		
წყალტუბოს ზონა	668	440		228	334	316		18	334	316			334	316				
ბაღდათის რაიონი	425	282		93	215	205		10	215	205			215	205				
ვანის რაიონი	396	280		116	335	280		55	335	280			335	280				
ზესტაფონის რაიონი	332	0		232	20			20	20				20					
თერჯოლის რაიონი	448	325		73	265	205		10	265	205		50	265	205		50		
სამტრედიის რაიონი	493	0		203	171			121	171				171					
საჩხერის რაიონი	687	284		143	320	250		10	320	250		60	320	250		60		
ხარაგაულის რაიონი	606	520		86	391	385		6	391	385			391	385				
ხონის რაიონი	568	360		108	351	335		16	351	335			351	335				

ცხრილი №1 (გაგრძელება)

სამეგრელოსა და ზედა სვანეთის მხარე	6137	3078	1319	1740	3585	2873	392	320	58,4	93,3	29,7	18,4
ქ. უთი	500	0	150	350	55		55		11,0		36,7	0,0
ქ. ზუგდიდი	1537	510	387	640	702	510	72	120	45,7	100,0	18,6	18,8
ახალის რაიონი	399	250	89	60	285	215	40	30	71,4	86,0	44,9	50,0
მარტვილის რაიონი	579	370	139	70	392	370	22		67,7	100,0	15,8	0,0
მესტიის რაიონი	665	610	45	10	482	470	12		72,5	77,0	26,7	0,0
სენაკის რაიონი	640	240	160	240	364	240	54	70	56,9	100,0	33,8	29,2
ჩხოროწყუს რაიონი	543	350	93	100	494	350	64	80	91,0	100,0	68,8	80,0
ვალენჯიხის რაიონი	835	468	127	240	510	468	32	10	61,1	100,0	25,2	4,2
წაბვის რაიონი	439	280	129	30	301	250	41	10	68,6	89,3	31,8	33,3
ზედა ქართლის მხარე	1826	580	1136	110	671	428	203	40	36,7	73,8	17,9	36,4
გორის რაიონი	1121	500	571	50	423	358	50	15	37,7	71,6	8,8	30,0
მათ შორის: ერედვისა და ქუთის თემები	559	500	59						0,0	0,0	0	
ვახტანგის რაიონი	228	0	168	60	113		88	25	49,6		52,4	41,7
ქარეჯის რაიონი	268	80	188		117	70	47		43,7	87,5	25,0	
მათ შორის: აგნევის თემი	88	80	8						0,0	0,0	0,0	
ხაშურის რაიონი	209	0	209		18		18		8,6		8,6	
ქვემო ქართლის მხარე	3411	765	1784	862	1982	601	1126	255	58,1	78,6	63,1	29,6
ქ. რუსთავი	766	0	466	300	671		466	205	87,6		100,0	68,3
ბოლნისის რაიონი	397	0	223	174	50		50		12,6		22,4	0,0
ბარდბანის რაიონი	463	50	363	50	275	41	194	40	59,4	82,0	53,4	80,0
ღმანის რაიონი	421	240	111	70	178	170	8		42,3	70,8	7,2	0,0
თეთრიწყაროს რაიონი	588	325	108	155	268	240	18	10	45,6	73,8	16,7	6,5
მარნეულის რაიონი	494	0	381	113	375		375		75,9		98,4	0,0
წაჯუკის რაიონი	282	150	132		165	150	15		58,5	100,0	11,4	
ბურთის მხარე	2234	1250	479	505	1471	1250	56	165	65,8	100,0	11,7	32,7
დაბაჩხუთის რაიონი	525	330	125	70	340	330	10		64,8	100,0	8,0	0,0
თხუბუეთის რაიონი	1210	500	275	435	706	500	41	165	58,3	100,0	14,9	37,9
ჩხობაჯურის რაიონი	499	420	79		425	420	5		85,2	100,0	6,3	
სამცხე-ჯავახეთის მხარე	2932	1917	700	315	1810	1631	127	52	61,7	85,1	18,1	16,5
აკოტინის რაიონი	461	396	65		275	270	5		59,7	68,2	7,7	
ასპინძის რაიონი	386	330	41	15	289	275	14		74,9	83,3	34,1	0,0
ახალქალაქის რაიონი	870	466	204	200	553	466	45	42	63,6	100,0	22,1	21,0
ახალციხის რაიონი	563	350	163	50	255	245	10		45,3	70,0	6,1	0,0
ბორჯომის რაიონი	122	0	122		20		20		16,4		16,4	
ნინოწმინდის რაიონი	530	375	105	50	418	375	33	10	78,9	100,0	31,4	20,0
მცხეთა-მთიანეთის მხარე	3166	1207	414	1545	1998	918	45	1035	63,1	76,1	10,9	67,0
ახალბორის რაიონი	401	366	35		303	300	3		75,6	82,0	8,6	
ღუბეთის რაიონი	614	250	114	250	247	200	22	25	40,2	80,0	19,3	10,0
თიანეთის რაიონი	704	411	48	245	290	285	5		41,2	69,3	10,4	0,0
მცხეთის რაიონი	238	0	198	40	20		10		8,4		5,1	25,0
ვახუშტის რაიონი	1209	180	19	1010	1138	133	5	1000	94,1	73,9	26,3	99,0
რაჭა-ლეჩხუმის მხარე	2175	1591	164	420	1137,4	1040	30	67,4	52,3	65,4	18,3	16,0
ამბროლაურის რაიონი	700	420	50	230	279	270	9		39,9	64,3	18,0	0,0
ღუბტეხის რაიონი	447	367	30	50	265,4	250	8	7,4	59,4	68,1	26,7	14,8
თნის რაიონი	444	367	37	40	280	235	5	40	63,1	64,0	13,5	100,0
ცაგერის რაიონი	584	437	47	100	313	285	8	20	53,6	65,2	17,0	20,0
სულჯანი	48260	24429	14340	9491	29720,4	20875	4332	4513,4	61,6	85,5	30,2	47,6

ცხრილი №2

საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში გადასაცემი ტრანსფერები (ათას ლარებში)

ტერიტორიული ერთეულების დასახელება მხარეების მიხედვით	სულ გადასაცემი ტრანსფერის მთლიანი ჯამი	მ ა თ შ ო რ ი ს						1998 წლის I და III კვარტალებიდან ტრანსფერული ხარჯებში		
		განათლების დონორების დაფინანსება	ჯანდაცვის დონორების დაფინანსება	კულტურის დონორების დაფინანსება	სპორტის დონორების დაფინანსება	სოციალური (ოჯახური დახმარების)	მმართველობის დონორების დაფინანსება	სპეციალური დონორების დაფინანსება	1998 წლის I და III კვარტალებიდან ტრანსფერული ხარჯებში	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1 აფხაზეთის ავრქსა	4820	776	533	500	50		1910	1051	380	
2 აჭარის ავრქსა	4077	2500				1177		400	1252	
3 ქ. თბილისი	4454					3504		950		1969
კახეთის მხარე	3520	1490	0	125	0	1342	0	563	677	240
5 ახმეტის რაიონი	513	150				133		230	107	
6 გურჯაანის რაიონი	438	100				238		100	100	85
7 დედოფლისწყაროს რაიონი	108					108				61
8 თელავის რაიონი	962	600		125		237			170	
9 ლაგოდეხის რაიონი	351	190				161			102	
10 საგარეჯოს რაიონი	450	210				187		53	112	
11 სიღნაღის რაიონი	147	240				147		180	86	94
12 ყვარელის რაიონი	551					131				
იმერეთის მხარე	9508	5847	50	200	0	2381	0	1030	1419	305
13 ქ. ქუთაისი	3222	2300		200		722			423	
14 ჭიათურის ზონა	895	566				209		120	175	
15 ტყიბულის ზონა	768	600				108		60	98	
16 წყალტუბოს ზონა	668	440				228		50	151	
17 ბაღდათის რაიონი	425	282				93			84	
18 ვანის რაიონი	396	280				116		100	88	
19 ზესტაფონის რაიონი	332					232		50	89	175
20 თერჯოლის რაიონი	448	265				133		290		
21 სამტრედიის რაიონი	493					203		260	105	130
22 სანჯურის რაიონი	687	284				143			97	
23 ხარაგაულის რაიონი	606	470	50			86			109	
24 ხონის რაიონი	568	360				108		100		

ცხრილი №2 (გაგრძელება)

	სამეგრელოსა და ზედა სვანეთის მხარე	6137	2968	35	45	20	1319	10	1740	942	167
25	ქ. ვითი	500					150		350		167
26	ქ. ზუგდიდი	1537	510				387		640	279	167
27	აბაშის რაიონი	399	250				89		60	69	
28	მარტვილის რაიონი	579	370				139		70	102	
29	მესტიის რაიონი	665	500	35	45	20	45	10	10	98	
30	სენაკის რაიონი	640	240				160		240	114	
31	ჩხოროწყუს რაიონი	543	350				93		100	87	
32	წაფენჯინის რაიონი	835	468				127		240	97	
33	ხობის რაიონი	439	280				129		30	96	
	ზედა ქართლის მხარე	1826	312	50	113	60	1136	45	110	68	661
34	ბორის რაიონი	1121	250	43	107	60	571	40	50	60	282
35	მათ შორის: ერედვისა და ქუთაის თემები	559	250	43	107	60	59	40	60	60	110
36	ქარელის რაიონი	228	62	7	6		188	5	60	8	110
	მათ შორის: აწვევის თემი	88	62	7	6		8	5		8	
37	ხაშურის რაიონი	209					209				159
	ქვემო ქართლის მხარე	3411	765	0	0	0	1784	0	862	245	1067
38	ქ. რუსთავი	766					466		300		337
39	ბოლნისის რაიონი	397					223		174		195
40	ბარდბანის რაიონი	463	50				363		50		260
41	დმანისის რაიონი	421	240				111		70	85	
42	თუთრიწყაროს რაიონი	588	325				108		155	81	
43	მარნეულის რაიონი	494					381		113		275
44	წაფეის რაიონი	282	150				132			79	
	ბურთის მხარე	2234	1250	0	0	0	479	0	505	372	0
45	ღანაბუთის რაიონი	525	330				125		70	105	
46	თხუმბუთის რაიონი	1210	500				275		435	196	
47	ჩოხატაურის რაიონი	499	420				79			71	
	სამცხე-ჯავახეთის მხარე	2932	1797	70	50	0	700	0	315	594	81
48	აღიბენის რაიონი	461	326	40	30		65		15	50	
49	ასპინძის რაიონი	386	280	30	20		41		200	213	
50	ახალქალაქის რაიონი	870	466				204		50	147	
51	ახალციხის რაიონი	563	350				163				81
52	ბორჯომის რაიონი	122					122		50		
53	ნინოწმინდის რაიონი	530	375				105		50	125	
	მცხეთა-მთიანეთის მხარე	3166	1017	85	105	0	414	0	1545	229	109
54	ახალბორის რაიონი	401	306	30	30		35		250	110	
55	დუშეთის რაიონი	614	250				114		245	52	
56	თიანეთის რაიონი	704	321	40	50		48		40		109
57	მცხეთის რაიონი	238					198		1010	28	
58	ყაზბეგის რაიონი	1209	140	15	25	12	19		420	226	0
	რეზერვაციების მხარე	2175	1274	135	160		164	10	230	61	
59	ამბროლაურის რაიონი	700	330	40	50		50		50	50	
60	დუნტუხის რაიონი	447	292	25	50		30		40	40	
61	ონის რაიონი	444	265	30	444		37	10	100	75	
62	ცაგერის რაიონი	584	387	40	10		47		9491	6404	4599
	სულჯავაში	48260	19996	958	1298	142	14400	1975	9491	6404	4599

ტერიტორიული ერთეულების დასახელება მხარეების მიხედვით	ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის 1997 წელს გადასაცემი ტრანსფერტების შესახებ (ათას ლარებში)								
	1997 წელს გადასაცემი ტრანსფ.			გადარიცხულია 31 დეკემბრის მდგომარეობით			იანვარ-დეკემბერი %-ლად წლიურთან		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		ტრანსფ.	სპეც. ტრანსფ.		ტრანსფ.	სპეც. ტრანსფ.		ტრანსფ.	სპეც. ტრანსფ.
I. აფხაზეთი	2786	2686	100	2706	2606	100	97,1	97,0	100
II. აჭარა	6506	3156	3350	6506	3156	3350	100,0	100,0	100
ცხინვალის	1000		1000	995,7	0	995,7	99,6		99,6
III. თბილისი	14045	6745	7300	12862,4	6012,1	6850,3	91,6	89,1	93,8
IV. კახეთის მხარე	2350	1950	400	2150	1950	200	91,5	100,0	50
1. ახმეტის რაიონი	394	294	100	344	294	50	87,3	100,0	50
2. გურჯაანის რაიონი	428	428		428	428	0	100,0	100,0	
3. დედოფლისწყაროს რაიონი	0			0	0	0			
4. თელავის რაიონი	489	489		489	489	0	100,0	100,0	
5. ლაგოდეხის რაიონი	218	218		218	218	0	100,0	100,0	
6. საგარეჯოს რაიონი	170	170		170	170	0	100,0	100,0	
7. სიღნაღის რაიონი	50	50		50	50	0	100,0	100,0	
8. ყვარელის რაიონი	601	301	300	451	301	150	75,0	100,0	50
V. იმერეთის მხარე	6116	4471	1645	5759,7	4471	1288,7	94,2	100,0	78,3
1. ქ. ქუთაისი	1805	1000	805	1700	1000	700	94,2	100,0	87,0
2. ქ. ჭიათურის ზონა	906	766	140	806	766	40	89,0	100,0	28,6
3. ქ. ტყიბული	823	423	400	681,7	423	258,7	82,8	100,0	64,7
4. ქ. წყალტუბოს ზონა	348	348		348	348	0	100,0	100,0	
5. ბაღდათის რაიონი	258	258		258	258	0	100,0	100,0	
6. ვანის რაიონი	146	146		146	146	0	100,0	100,0	
7. ზესტაფონის რაიონი	100	100		100	100	0	100,0	100,0	
8. თერჯოლის რაიონი	328	308	20	328	308	20	100,0	100,0	100
9. სამტრედიის რაიონი	50		50	50	0	50	100,0		100
10. საჩხერის რაიონი	634	404	230	624	404	220	98,4	100,0	95,7
11. ხარაგაულის რაიონი	441	441		441	441	0	100,0	100,0	
12. ხონის რაიონი	277	277		277	277	0	100,0	100,0	
VI. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე	3787	2747	1040	3667	2697	970	96,8	98,2	93,3
1. ქ. ფოთი	0			0	0	0			
2. ზუგდიდის რაიონი	509	139	370	509	139	370	100,0	100,0	100
3. აბაშის რაიონი	208	158	50	208	158	50	100,0	100,0	100
4. მარტვილის რაიონი	424	374	50	424	374	50	100,0	100,0	100
5. მესტიის რაიონი	625	625		575	575	0	92,0	92,0	
6. სენაკის რაიონი	697	377	320	627	377	250	90,0	100,0	78,1

7. ჩხორწყუხს რაიონი	364	314	50	364	314	50	100,0	100,0	100
8. წაღუნჯიხის რაიონი	652	502	150	652	502	150	100,0	100,0	100
9. ხობის რაიონი	308	258	50	308	258	50	100,0	100,0	100
VII. შიდა ქართლის მხარე	1074	1044	30	1074	1044	30	100,0	100,0	100
1. გორის რაიონი	606	606		606	606	0	100,0	100,0	
2. კასპის რაიონი	52	52		52	52	0	100,0	100,0	
3. ქარელის რაიონი	267	267		267	267	0	100,0	100,0	
4. ხაშურის რაიონი	149	119	30	149	119	30	100,0	100,0	100
VIII. ქვემო ქართლის მხარე	1391	1391	0	1391	1391	0	100,0	100,0	
1. ქ. რუსთავი	577	577		577	577	0	100,0	100,0	
2. ბოლნისის რაიონი	0			0	0	0			
3. გარდაბნის რაიონი	0			0	0	0			
4. დმანისის რაიონი	290	290		290	290	0	100,0	100,0	
5. თეთრიწყაროს რაიონი	222	222		222	222	0	100,0	100,0	
6. მარნეულის რაიონი	0			0	0	0			
7. წაღკის რაიონი	302	302		302	302	0	100,0	100,0	
IX. გურიის მხარე	914	864	50	914	864	50	100,0	100,0	100
1. ლანჩხუთის რაიონი	298	298		298	298	0	100,0	100,0	
2. ოზურგეთის რაიონი	241	191	50	241	191	50	100,0	100,0	100
3. ჩოხატაურის რაიონი	375	375		375	375	0	100,0	100,0	
X. სამცხე-ჯავახეთის მხარე	2264	1864	400	2264	1864	400	100,0	100,0	100
1. ადიგენის რაიონი	370	370		370	370	0	100,0	100,0	
2. ასპინძის რაიონი	307	307		307	307	0	100,0	100,0	
3. ახალქალაქის რაიონი	622	322	300	622	322	300	100,0	100,0	100
4. ახალციხის რაიონი	193	193		193	193	0	100,0	100,0	
5. ბორჯომის რაიონი	269	269		269	269	0	100,0	100,0	
6. ნინოწმინდის რაიონი	503	403	100	503	403	100	100,0	100,0	100
XI. მცხეთა-მთიანეთის რაიონი	2602	1134	1468	2553	1134	1419	98,1	100,0	96,7
1. ახალგორის რაიონი	303	303		303	303	0	100,0	100,0	
2. დუშეთის რაიონი	361	261	100	312	261	51	86,4	100,0	51
3. თიანეთის რაიონი	343	343		343	343	0	100,0	100,0	
4. მცხეთის რაიონი	150		150	150	0	150	100,0		100
5. ყაზბეგის რაიონი	1445	227	1218	1445	227	1218	100,0	100,0	100
XII. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარე	1767	1487	280	1627	1487	140	92,1	100,0	50
1. ამბროლაურის რაიონი	546	346	200	446	346	100	81,7	100,0	50
2. ლენტეხის რაიონი	340	340		340	340	0	100,0	100,0	
3. ონის რაიონი	406	326	80	366	326	40	90,1	100,0	50
4. ცაგერის რაიონი	475	475		475	475	0	100,0	100,0	
სულ ჯამი	46602	29539	17063	44469,8	28676,1	15793,7	95,4	97,1	92,6